

ISSN 0206 — 569X

675-25 / 2
1980

67



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

3. 1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე




ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



3. 1980

ბამონცხელოზა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

• თბილისი
ТБИЛИСИ

ს ა რ ე დ ა კ ტ ი რ კ ო ლ ე გ ი ა : ა. გუნია (რედაქტორი), პ. გუგუშვილი, ი. დოლიძე, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, ვ. მელქაძე, ი. მიქელაძე, ი. ფუტკარაძე, თ. შავეგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. წერეთელი, თ. ხოშტარია (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гугушвили П. В., Долидзе И. С., Лилуашвили Т. С., Мелкадзе В. И., Микеладзе И. С., Путкарадзе Я. В., Тодуа Г. С., Хоштария Т. С. (зам. редактора), Церетели Т. В., Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь Шенгелия А. Л.

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1980.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19

Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 რეფონი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.X.80; შეკვ. 2539; ანაწყოების ზომა 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 10.2; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,2;
უე 14044; ტირაჟი 1900;

ფასი 70 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

ეკონომიკა

მ. ჯიბუჭი, ღირებულების კანონის შემეცნებისა და გამოყენების ზოგიერთი საკითხი სოციალიზმის დროს	5
ა. თოქმაჯიშვილი, წარმოებით ურთიერთობათა არსებისა და სუბსტანციის ურთიერ- ობის საკითხისათვის	18
თ. ქონიაშვილი, სოციალისტური საკუთრების ფორმების განსაზოგადოების დონის შემდგომი ამაღლება	24
დ. კურბანიძე, ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობის საკითხები საქართველოს სსრ მანქანათმშენებელ მრეწველობაში	34
მ. წიკლაური, მ. ოდიშვილი, მეცხოველეობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხი- სათვის საქართველოს სსრ მაღალმთიან რაიონებში	46
ლ. გვენებაძე, ლ. ღათუნაშვილი, აჭარის ასსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოების ეკონომიკის ძირითადი საკითხები	53
მ. პაპაშვილი, დარგთაშორისო ბალანსის გაფართოებული მოდელების ეკონომიკურ-მათემა- ტიკური ანალიზის საკითხები	67

სამართალი

მ. მაღრაძე, არასრულწლოვან დამნაშავეთა ფიქსირებული განწყობის ტიპის თავისებურებანი	80
ი. გომიაშვილი, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის შესწავლის ზოგიერთი შედეგი აფ- ხაზეთის ასსრ-ში	88

ინფორმაცია, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია

მ. უგრეხელიძე, ცნობილი ამერიკელი კრიმინალისტის ფუნდამენტური ნაშრომი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში	101
თინათინ წერეთლის ხსოვნა	108
	115

84991

კ. შარტავას ნაწ. ნაგ. ნაწ.
საბიბლიოთეკო

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИКА

М. Ч. ДЖИБУТИ, Некоторые вопросы познания и использования закона стоимости при социализме	5
М. Д. ТОКМАЗИШВИЛИ, К вопросу о взаимоотношении сущности и субстанции производственных отношений	18
Т. Т. КОЧИАШВИЛИ, Дальнейшее повышение уровня обобществления форм социалистической собственности	24
Д. А. КУРТАНИДЗЕ, Вопросы эффективности использования основных производственных фондов в машиностроительной промышленности Грузинской ССР	34
К. М. ЦИКЛАУРИ, М. А. ОДИШВИЛИ, К вопросу о повышении эффективности животноводства в высокогорных районах Грузинской ССР	46
Л. И. ГВЕНЕТАДЗЕ, Л. Е. ДАТУНАШВИЛИ, Основные вопросы экономики межхозяйственных предприятий Аджарской АССР	53
В. Г. ПАПАВА, Вопросы экономико-математического анализа расширенных моделей межотраслевого баланса	67

ПРАВО

Г. А. МАГРАДЗЕ, Особенности типа фиксированной установки несовершеннолетних преступников	80
И. В. ГОДЗИАШВИЛИ, Некоторые результаты изучения преступности несовершеннолетних в Абхазской АССР	88

ИНФОРМАЦИЯ, КРИТИКА, БИБЛИОГРАФИЯ

М. Г. УГРЕХЕЛИДЗЕ, Фундаментальный труд известного американского криминалиста	101
В Президиуме Академии Наук Грузинской ССР	103
В память Тинатин Церетели	115

მიხეილ ჯიბუაძე

ღირებულების კანონის შემცენებისა და გამოყენების ზოგიერთი
საკითხი სოციალიზმის დროს

საქონელწარმოების ურთიერთობებთან დაკავშირებული პოლიტეკონომიური საკითხები იყო და რჩება ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკისათვის. აღნიშნულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილება „დადგენის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“. აღნიშნული დადგენილება სკკპ ცკ-ის 1965 წლის ცნობილი პლენუმების, პარტიის XXIII, XXIV, XXV ყრილობათა გადაწყვეტილებების კანონზომიერ განვითარებას წარმოადგენს. იგი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის საეტაპო მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული სამეურნეო ანგარიშის განვითარებისა და ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულირების როლის გაძლიერების შესახებ. აქედან გამომდინარეობს ის გლობალური ამოცანები, რაც ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დგას საქონელწარმოების ურთიერთობების შესწავლის საქმეში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღირებულების კანონის არსის უფრო სიღრმისეული შეცნობა, რადგანაც ამ კანონის შეგნებულ გამოყენებაზე დიდადაა დამოკიდებული სამეურნეო ანგარიშთანბის სწორი წარმართვა და ამდენად, სამეურნეო მექანიზმის ქმედითობა და ეფექტიანობა.

ღირებულების კანონი ერთ-ერთი უძველესი ეკონომიკური კანონია. ის წარმოიშვა იქ და მაშინ, სადაც და როდესაც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე შრომის პროდუქტი საქონლად იქცა. ღირებულების კანონი აღმოჩენილ იქნა გაცილებით გვიან, — თავისი არსებობის მერვე ათასწლეულის დასაწყისში¹, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსების მიერ. რაც შეეხება ღირებულების კანონის მეცნიერულ თეორიას, ის მოგვცა კ. მარქსმა, რომელმაც პირველმა გაარკვია ღირებულების კატეგორიის არსი, კატეგორიისა, რომელზედაც ნათქვამია რომ „აღამიანის გონება ამაოდ ცდილობდა მის გაგებას 2000 წელზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში“². კ. მარქსი, ვიდრე თავის მთავარ შრომაში — „კაპიტალიზმი“ ღირებულების კანონის ბუნების ახსნას შეუდგება, ანალიზს უკეთებს კატეგორიებს, რომლებიც საქონელწარმოების ურთიერთობის თვისებრივ განსაზღვრულობას წარმოადგენენ. კატეგორიების შესწავლა შემეცნების თეორიის თანახმად, როგორც ლოგიკურად, ისე ისტორიულად, წინ უნდა უძღოდეს კა-

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, თბ., 1959, გვ. 548.

² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 4.

ნონების შესწავლას. მოგლენებმა და ფაქტებმა ჯერ ასახვა უნდა ჰპოვოს კატეგორიებში და გარკვეული ანალიზის შემდეგ ჩამოყალიბდეს კანონი. კატეგორიებიდან—კანონებისაკენ, აი, გზა, რომლითაც მიდის კ. მარქსი ღირებულების კანონის შესწავლის დროს. ეს კატეგორიებია: საქონელი და მისი ფაქტორები (სახმარი ღირებულება და ღირებულება), შრომა და მისი ორადი ხასიათი (აბსტრაქტული და კონკრეტული), საცვლელი ღირებულება და მისი განვითარების ფორმები, ფული, ფასი და ა. შ.

ვფიქრობთ, აქ საჭირო არ არის ამ კატეგორიების არსის კონსტატაცია. ჩვენ გვიანტირესებს ღირებულების კანონის შესწავლის მეთოდოლოგია კ. მარქსის შეცნიერულ ლაბორატორიაში. მართალია, ტერმინს „ღირებულების კანონი“ კ. მარქსი პირველად ხმარობს პირველი ტომის მესამე განყოფილებაში— „აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოება“³, მაგრამ, თვით კანონი გამოყავს პირველსავე პარაგრაფში, სადაც ამბობს, რომ „საქონლის ღირებულების სიდიდე იცვლება პირდაპირი პროპორციით მასში განხორციელებულ შრომის რაოდენობის მიმართ და შებრუნებული პროპორციით ამ შრომის მწარმოებლური ძალის მიმართ“⁴. მართლაც, ღირებულება, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია საწარმოო ძალების განვითარებასთან, საბოლოო ანგარიშით სხვა არაფერია, თუ არა ღირებულების კანონი⁵.

საქონელწარმოების ურთიერთობების კატეგორიების ანალიზის შემდეგ, კ. მარქსი ღირებულების კანონის ასეთ განმარტებას იძლევა:

„ღირებულების კანონი განსაზღვრავს, თუ რამდენი შეუძლია საზოგადოებას მის განკარგულებაში მყოფი სამუშაო დროიდან დახარჯოს ყოველი განსაკუთრებული სახეობის საქონლის წარმოებაზე“⁶.

კ. მარქსი, თავისი კვლევის დროს, ყოველთვის მოქმედებდა შემდეგი სქემის მიხედვით: კონკრეტული—აბსტრაქტული—კონკრეტული. პირველი „კონკრეტული“, ეს უშუალოდ ცხოვრებისეული მოცემულობაა, ხოლო მეორე „კონკრეტული“ შემეცნების შედეგია და წარმოადგენს ყოველგვარი კვლევის მიზანს.

ღირებულების კანონის არსის გარკვევის შემდეგ საჭირო იყო მისი მოქმედების მექანიზმში ჩაწვდომა, ამასთან, ჯერ „წმინდა სახით“ და შემდგომ კაპიტალიზმის სინამდვილისათვის. მართლაც, კ. მარქსი თავდაპირველად იღებს ღირებულების კანონის მოქმედების იდეალურ შემთხვევას, როცა მოთხოვნა და მიწოდება ურთიერთს ფარავს, როცა საქონელი იყიდება მისი ღირებულების მიხედვით. ასეთი აზრით გაგებული „მარქსის ღირებულების კანონს, — აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — საყოველთაო ძალა აქვს, — რამდენადაც საერთოდ ძალა აქვს ეკონომიკურ კანონებს, — მარტივი საქონელწარმოების მთელი პერიოდისათვის, მაშასადამე, იმდრომდე, როცა მარტივი საქონელწარმოება კაპიტალისტური წარმოების ფორმის აღმოცენების გამო გარკვეულ მოდიფიკაციას

³ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 239.

⁴ იქვე, გვ. 56.

⁵ „საქონელწარმოების ზოგადი კანონი ასეთია: შრომის ნაყოფიერება და მის მიერ ღირებულების შექმნა შებრუნებულ შეფარდებაშია ერთიმეორის მიმართ“ (კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 185).

⁶ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 452.



განცდის⁷ და გრძელდება ასე, გაცვლის დასაწყისიდან, რამაც პროდუქტები საქონლად აქცია, ჩვენი წელთაღრიცხვის XV საუკუნემდე⁸. ამ ეტაპზე კ. მარქსი იკვლევს ლირებულების კანონის მოქმედების მექანიზმის არსებით ნიშნებს: რომ ყოველი საქონლის ლირებულების რეალიზაცია ხდება ექვივალენტურ გაცვლაში, საქონლის ლირებულება იზომება მასში განთავსებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობით, ლირებულების კანონი მოითხოვს შრომის ნაყოფიერების ზრდას და სხვ.

„თეორიაში იგულისხმება, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის კანონები წმინდა სახით ვითარდება. სინამდვილეში ყოველთვის ადგილი აქვს მხოლოდ მიახლოებას; მაგრამ ეს მიახლოება მით უფრო დიდია, რაც უფრო განვითარებულია კაპიტალისტური წარმოების წესი, რაც უფრო დამახინჯებულია და გართულებულია იგი წინანდელ ეკონომიკურ წყობათა გადმონაშთებით“⁹. ამიტომ, მას შემდეგ რაც „წმინდა სახით“ (პრინციპში) შესწავლილ იქნა ლირებულების კანონი, მომზადდა ნიადაგი კაპიტალიზმის სინამდვილის შეცნობილი კონკრეტულის პოზიციებიდან განხილვისა. კ. მარქსის წინაშე საკითხი უკვე შემდეგნაირად დადგა: კაპიტალიზმის სინამდვილისათვის ლირებულების კანონი ხომ არ კარგავს თავის მნიშვნელობას და ხომ არაა შეუძლებელი ლირებულების თეორიაზე დაყრდნობით კაპიტალიზმის მოვლენების ახსნა? ამისათვის მას სჭირდებოდა მაჩვენებელი, ის ბარომეტრი, რომელიც უჩვენებდა, ლირებულების კანონის მოქმედებას. საჭირო იყო იმის გარკვევა, თუ რაში გამოიხატება ლირებულების კანონის მოქმედება ზოგადი სახით. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, რომ ლირებულების კანონი ცალკეული საქონლისათვის კი არ გამომყდნენდება, არამედ საქონელთა გარკვეული ერთობლობისათვის. „მართლაც, ლირებულების კანონი ძალაშია არა ცალკეულ საქონელთა ანუ საგანთა მიმართ, არამედ თითოეულ შემთხვევაში, შრომის დანაწილების გამო განკერძოებულ საზოგადოებრივ წარმოების სფეროთა პროდუქტების ერთობლიობის მიმართ“¹⁰.

კაპიტალიზმის დროს ლირებულების კანონის მოქმედების მექანიზმის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს არა ერთეულ საქონელზე დახარჯულ შრომას, არამედ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯების ჯამს საზოგადოების მასშტაბით წარმოებული პროდუქციისათვის¹¹.

სამრეწველო გადატრიალების შემდეგ იწყება ისტორიულად ახალი ეტაპი ლირებულების კანონის მოქმედებაში, როცა მისი მოქმედება გამომყდნენდება მონდიფიცირებული სახით და მისი, როგორც რეგულატორის როლი გამოიხატება ტოლობით:

$$\sum_{i=1}^n l_i = \sum_{i=1}^n q_i$$

სადაც l_i — პროდუქტის ლირებულებაა

q_i — პროდუქტის ფასია.

⁷ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 548.

⁸ იქვე, გვ. 548.

⁹ კ. მარქსი, კაპიტალი ტ. III, ნაწ. 1, თბ., 1959, გვ. 222.

¹⁰ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ., 2, გვ. 228.

¹¹ იქვე, გვ. 226.

ეს ტოლობა გამოხატავს, რომ ღირებულების კანონი ადგენს საქონელთა ღირებულებებისა და ფასების საბოლოო დამოკიდებულებას. ამ ტოლობის არსებობა კაპიტალიზმის დროს ღირებულების კანონის მოთხოვნის-ექვივალენტურობის განხორციელების გამოხატულებაა. ტოლობა მართებულია წარმოების ფასების ჯამისთვისაც. „თუ წარმოების ყველა დარგს, როგორც ერთ მთელს განვიხილავთ, — წერს კ. მარქსი წარმოებულ საქონელთა წარმოების ფასების ჯამი საქონელთა ღირებულების ჯამის თანატოლია“¹².

კ. მარქსი „კაპიტალის“ მესამე ტომის პრობლემებს განიხილავს ღირებულების კანონის საფუძველზე. ის ამტკიცებს, რომ მოგების საშუალო ნორმის ჩამოყალიბება საზოგადოების მასშტაბით არ არღვევს ტოლობას

$$\sum_{i=1}^n l_i = \sum_{i=1}^n w_i, \text{ „მოგების ნორმა წარმოების ყველა სფეროში ერთი და იგივეა სახელდობრ გათანაბრებულია წარმოების იმ საშუალო სფეროთა მიხედვით, სადაც კაპიტალის საშუალო შედგენილობა ბატონობს. ამიტომ, წარმოების ყველა სფეროს მოგების ჯამი უნდა უდრიდეს ზედმეტი ღირებულების ჯამს და საზოგადოებრივი ერთობლივი პროდუქტის წარმოების ფასების ჯამი უნდა უდრიდეს მისი ღირებულების ჯამს“}^{13}.$$

ეს საკმარისია მისთვის, რათა გააკეთოს დასკვნა: პროცესი მიმდინარეობს ღირებულების კანონის შესაბამისად. ამ ტოლობიდან გამომდინარე მტკიცდება ღირებულების კანონის არსებობა მონოპოლისტური კაპიტალიზ-

მის პირობებშიც. ტოლობა $\sum_{i=1}^n l_i = \sum_{i=1}^n w_i$ გამოხატავს ობიექტურად

ჩამოყალიბებად ჯამს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით მონოპოლისტები შექმნიდნენ პირობებს საზოგადოების მასშტაბით,

რათა $\sum_{i=1}^n l_i < \sum_{i=1}^n w_i$ როგორც ამას აკეთებენ ცალკეულ საქონელთა

ერთობლიობისათვის.

აქ საინტერესოა გავარკვიოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ღირებულების კანონის კვლევის მარქსისტული მეთოდოლოგიის გამოყენებას სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიისათვის. ჩამდენადაც სოციალიზმის დროს შენარჩუნებულია საქონელწარმოების ურთიერთობანი, ამდენად მოქმედებს ღირებულების კანონი. პირობების შეცვლასთან დაკავშირებით იცვლება კანონის მხოლოდ გამოვლენის ფორმები, ხოლო „ბირთვი“ უცვლელი რჩება, ამიტომაც ღირებულების კანონის არსის მარქსიზმის კლასიკოსებისეული გაგება ძალაში რჩება. ღირებულების კანონი არ შეიძლება სოციალიზმის დროსაც მოქმედებდეს ისე, როგორც მანამდე. საჭიროა სწორედ ამ სპეციფიკურობაში გარკვევა. ჩვეულებრივ, როცა სოციალიზმის დროს ღირებულების კანონის სპეციფიკურობა უნდათ აღნიშნონ, ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ის აღარ არის წარმოებისა და კვლავწარმოების მთავარი რეგულატორი, რომ ის გამოხატავს თვისებ-

¹² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ., 1, გვ. 202.

¹³ იქვე, გვ. 219.

რივად ახალ წარმოებით ურთიერთობებს, სადაც აღარ არის კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, სამუშაო ძალა არ წარმოადგენს საქონელს და სხვ. ყოველივე ეს უდაოდ სწორია, მაგრამ საკმარისი არაა სოციალიზმის დროს ლირებულების კანონის თავისებურებების გასარკვევად. ერთია კანონის არსი და მეორე მისი მოქმედება, ამ მოქმედების გამოხატულება, გამოვლენა, როცა კ. მარქსი იხილავდა ლირებულების კანონის მორიფიკაციას ზედმეტი ლირებულების კანონად, მაშინ ის გამოდიოდა შესაბამისი კატეგორიების მორიფიკაციიდან, მაგრამ ჩვენ გვინტერესებს არა ლირებულების კანონის მორიფიკაცია სხვა კანონად, არამედ ერთი და იმავე კანონის მოქმედების სპეციფიკურობა ორ სხვადასხვა გარემოში, გვინტერესებს თუ რაში გამოიხატება მოქმედების ეს სპეციფიკურობა და როგორ ხორციელდება ის.

კ. მარქსი, როცა აღარებდა ლირებულების კანონის მოქმედებას მარტივი საქონელწარმოებისა და კაპიტალიზმის დროს, თვლიდა, რომ მარტივი საქონელწარმოების პირობებში ლირებულების კანონის მოქმედება გამოიხატება ექვივალენტურობაში, იმაში რომ საქონელთა ფასები მათი ლირებულების ტოლი იყო და ხორციელდებოდა ლირებულების ირგვლივ ფასების მერყეობის

მექანიზმით, კაპიტალიზმის დროს ის გამოიხატება ტოლობით $\sum_{i=1}^n li = \sum_{i=1}^n fi$,

ანუ ექვივალენტურობით, ოღონდ უკვე მხოლოდ საზოგადოებრივი მასშტაბით და ხორციელდება წარმოების ფასების მერყეობით. სოციალიზმის პირობებისათვის საჭიროა ლირებულების კანონის მოქმედების სპეციფიკურობაში გარკვევა. კატეგორიიდან—კანონისაკენ მსჯელობა აქ არ გამოდგება. ჯერ ერთი, კატეგორია განსხვავდება კანონისაგან, ამიტომ მასში ცვლილება ადექვატურად არ ასახავს კანონში ცვლილებას. კატეგორიების შესწავლით შეიძლება კანონის აღმოჩენა, მისი არსის ახსნა, ხოლო ამის შემდეგ კანონი, მისი მოქმედების მექანიზმი უნდა იქნეს შესწავლილი დამოუკიდებლად. მეორეც, კატეგორიების შინაარსი წარმოებითი ურთიერთობების შეცვლის გამო იცვლება, ფორმა კი იგივე რჩება. კანონის ერთი და იგივე არსი კი სხვადასხვანაირად გამოიხატება. კანონის დამოუკიდებლად შესწავლის შემდეგ ის შესწავლილ უნდა იქნეს სხვა კანონებთან ურთიერთობაში. ყოველივე ზემოთ თქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სოციალიზმის დროს ლირებულებითი კატეგორიების შესწავლას აზრი არ ჰქონდეს. პირიქით, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ლირებულების კანონის არსებობით კი არ აიხსნება საქონელწარმოების ურთიერთობანი სოციალიზმის დროს, არამედ პირიქით, ეს უკანასკნელია პირველის მიზეზი და განმსაზღვრელიც.

კაპიტალიზმის დროს ლირებულების კანონის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა საქონლის ლირებულება უდრის მათში განიეთებული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯებს, ფასები მერყეობს ლირებულების ირგვლივ მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად და ის გამოიხატება ლირებულებათა და ფასების ჯამების ტოლობაში საზოგადოების მასშტაბით. რა მნიშვნელობა აქვს ჯამების ამ ტოლობას ლირებულების კანონის შესწავლისათვის სოციალიზმის პირობებში? საქონელწარმოების ურთიერთობების სფერო სოციალიზმის დროს შეზღუდულია, მაგრამ შენარჩუნებულ ურთიერთობათა შიგნით ლირებულების კანონის მოქმედება არ შეიძლება შეცვალოს რომელი-



მე სხვა ეკონომიკურმა კანონმა, რადგანაც არცერთ ეკონომიკურ კანონს, ერთი და იმავე ფორმაციის შიგნით, არ შეუძლია არც სხვა კანონად გარდაქმნა და არც სხვა კანონის ადგილის დაკავება.

თუ ფასებისა და ღირებულებების ჭამების ტოლობა, საზოგადოების მასშტაბით, აუცილებლად ვულისხმობს ღირებულების კანონის მოქმედებას, მაშინ არის თუ არა აუცილებელი ეს ტოლობა ღირებულების კანონის მოქმედებისათვის? კაპიტალისტური — სტიქიური მეურნეობრიობისაგან განსხვავებით, სადაც ეს დებულება არავითარ გაურკვეველობასთან არაა დაკავშირებული, სოციალიზმის დროს მისი განხორციელებისათვის საჭიროა: ან ღირებულების კანონის სტიქიური მოქმედება, ან ყოველი საქონლის ღირებულებისა და ფასის ტოლობა. ეკონომიკური კანონების სტიქიური მოქმედებისათვის სოციალიზმის დროს არ არსებობს შესაბამისი პირობები. ისინი მოქმედებენ ობიექტურად და გამოვლინდებიან შეგნებულ გამოყენებაში. რაც შეეხება იმას, რომ ყოველი საქონლის ღირებულება და ფასი იყოს ტოლი, რეალურ სინამდვილეში თითქმის შეუძლებელია. ამასთან, ღირებულების კანონი ღირებულებისაგან ფასების გადახრით ხორციელდება და ღირებულებისაგან ფასების გადახრა ის მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც ხდება ღირებულების კანონის გამოყენება და გათვალისწინება სოციალიზმის დროს. ტოლობა რომ არ დაირღვეს ფასების გადახრამ ღირებულებისაგან საბოლოო ანგარიშით ერთმანეთი უნდა დაფაროს. კაპიტალიზმის დროს ეს ხდება სტიქიურად, სოციალიზმის დროს ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ ჭერ-ერთი, ღირებულების სიდიდე (რომლის გაანგარიშება ჭერ არ ვიცით) და მეორეც, ფასების ღირებულებებისაგან გადახრის ზომა. ამ შემთხვევაში, საზოგადოება გაითვალისწინებს ღირებულების კანონის მოქმედებას და თავისი შეხედულების მიხედვით ფასებს ისე დააწესებს, რომ საბოლოო ანგარიშით საზოგადოების მასშტაბით არ დაირღვეს ტოლობა:

$$\sum_{i=1}^n l_i = \sum_{i=1}^n f_i.$$

სოციალიზმისათვის ამ ტოლობის არსებობის პრობლემა ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველად წამოაყენეს ნ. ა. ვოზნესენსკიმ და ვ. ვ. რეიჰარდტმა¹⁴. დღეისათვის ამ საკითხზე ავტორთა შორის არ არსებობს ერთიანი პოზიცია. ზოგიერთი ავტორი ამ ტოლობას ღებულობს სოციალიზმისათვის, როგორც ფაქტს და მისგან გამომდინარე ახდენს სხვადასხვა გაანგარიშებას¹⁵. რა თქმა უნდა, ასეობი, „პოლიტეკონომიკურ აქსიომებზე“ დამყარებული გაანგარიშებანი, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით არ შეიძლება იყოს მისაღები. ლოგიკურ შეცდომებზე დამყარებული მათემატიკური გაანგარიშებანი არასდროს არ

¹⁴ Вознесенский Н. А. Военная экономика СССР в период Отечественной войны. М., 1948, с. 147; Рейхардт В. В. Использование закона стоимости в социалистическом плановом хозяйстве. Л., 1948. с. 30.

¹⁵ Протас Ф. М. Товарно-денежные отношения в колхозном производстве на современном этапе по материалам колхозов Украинской ССР. Автореф. докт. дисс., Киев, 1969, с. 24.

შეიძლება იყოს სწორი. აღრიცხვაში შეცდომა, ყოველთვის არ ნიშნავს და არ გამომდინარეობს ლოგიკური შეცდომებისაგან.

ავტორთა მეორე ჯგუფის შეხედულებით, ფასებისა და ღირებულებათა ჯამების ტოლობა საზოგადოების მასშტაბით სოციალიზმის დროს არ მტკიცდება. მათი აზრით, ეს ტოლობა მართებულია ცალკეულ საქონელთა ერთობლიობისათვის, რომლებიც მიმოქცევიან საცალო ვაჭრობის სფეროში, ე. ი. მხოლოდ მოხმარების საგნებისათვის¹⁶. ფაქტიურად ეს მოხმარების საგნების წარმოების რეგულატორად ღირებულების კანონის აღიარებას ნიშნავს.

ავტორთა მესამე ჯგუფი უარყოფს სოციალიზმის დროს $\sum_{i=1}^n \text{ღ}_i = \sum_{i=1}^n \text{ფ}_i$ თი

არსებობას¹⁷. კ. მარქსი შემთხვევას $\sum_{i=1}^n \text{ღ}_i \neq \sum_{i=1}^n \text{ფ}_i$ იხილავს სარენტო ურ-

თიერთობების ანალიზის დროს, მაგრამ აქედან გამომდინარე არ უარყოფს ღირებულების კანონის მოქმედებას, თუ კაპიტალიზმის დროს ღირებულებისაგან ფასების გადახრას აქვს არამყარი (სარენტო ურთიერთობების გარდა) ხასიათი, სოციალიზმის დროს ფასები ღირებულებას არ ემთხვევიან დიდი ხნის განმავლობაში და იქმნება პირობები ტოლობის არარსებობისათვის. თუ ღირებულების სიდიდის განგარიშება შეუძლებელია, მაშინ სოციალიზმის დროს ღირებულებისაგან ფასების გადახრა პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოებისათვის საჭირო სხვა მოსაზრებებით წარმოადგენს თეორიულ საფუძველს მტკიცებისათვის, რომ ეს ტოლობა შეუძლებელია. აქედან არ გამომდინარეობს ღირებულების კანონის მოქმედების უარყოფის აუცილებლობა სოციალიზმის დროს. ღირებულების კანონის არსი მარტო ფასისა და ღირებულების საბოლოო დამოკიდებულებაში არ მდგომარეობს. ღირებულების კანონის მთავარი მოთხოვნები ექვივალენტური გაცვლის აუცილებლობის გარდა მდგომარეობს ინდივიდუალური შრომის საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებამდის დაყვანაში, წარმოების სტიმულირებაში და ა. შ.

თუ დაუშვებთ, რომ ეკონომისტები შეძლებენ ღირებულების სიდიდის გადანგარიშებას, მაშინ აღარ იქნება ღირებულების კანონის მოქმედების გამოყენების საჭიროება სოციალიზმის დროს: ჯერ ერთი, არ იქნება ფასების გადახრა ღირებულებისაგან და მეორეც, საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯები განისაზღვრება საათებში და არ გამოვსახავთ მას ფულში. ასე ესმით ეს საკითხი გერმანელ ეკონომისტებს ჰ. ერბეტსა და კ. თომასს¹⁸. აქ უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტია არა „აუცილებლობის შეცნობა“, არამედ „საზოგადოებრივი მოქმედება“, არა ღირებულების განგარიშება, არა სა-

¹⁶ Кантор Л. М. Ценообразование в СССР. М., 1964, с. 182; Лопаткин В. Г. Товарные отношения и закон стоимости при социализме (очерк теории). М., 1966, с. 153.

¹⁷ Милиц Б. Политическая экономия социализма, М., 1965, с. 266; Газанчян В. М. Диалектика закона стоимости и совершенствование народнохозяйственного планирования. Автореф. докт. дисс., Ереван, 1975, с. 14—15.

¹⁸ Эберт Х., Томас К. Анализ затрат на основе потребительной стоимости. М., 1975, с. 163.

ზოგადობრივად აუცილებელი შრომის დანახარჯების გამოსახვა საათებში, არამედ ისეთი პირობების შექმნა, როცა გვაქვს ყველა სახეობის პროდუქტის სიუხვე. მაშინ მიწოდება დაფარავს მოთხოვნას, ფასები დაემთხვევა ღირებულებას არა მარტო საზოგადოების მასშტაბით, არამედ თითოეული საქონლის მიხედვით. ფასი დაკარგავს თავის ეკონომიკურ შინაარსს და საქონელი გადაიქცევა პროდუქტად.

მარქსიზმის კლასიკოსები საქონელწარმოების ურთიერთობის პრობლემებს განიხილავდნენ კომუნიზმამდელი ფორმაციებისათვის, ამიტომ ამ ურთიერთობებთან დაკავშირებული მათი დებულებები განალიზებულ უნდა იქნეს სოციალიზმის პრიზმაში, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს სოციალურ-ეკონომიკურ კანონებთან და არა ეკონომიკურ კანონებთან საერთოდ. ყველა ეკონომიკური კანონი სოციალურია და იმ წარმოებით ურთიერთობებს ასახავს რომელ გარემოშიაც ის მოქმედებს. აქედან გამომდინარე, ღირებულების კანონის მოქმედება კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დროს მთელი რიგი სპეციფიკურობით ხა-

სიათდება. ტოლობა $\sum_{i=1}^n li = \sum_{i=1}^n fi$ კაპიტალიზმის დროს გამოხატავს

ღირებულების კანონის, როგორც მეთაური რეგულატორის მოქმედებას. ამ ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ ღირებულების კანონის მოთხოვნა არის საზოგადოების მასშტაბით ექვივალენტური გაცვლის აუცილებლობა. სოციალიზმის დროს ღირებულების კანონი, ისე როგორც სისტემის ყველა კანონი, გამოდის წარმოებითი ურთიერთობების გარკვეულ სფეროთა რეგულატორად, მაგრამ იგი მეთაური რეგულატორის როლს აღარ ასრულებს. მისი მოქმედება შემოიფარგლება საწარმოთა დონეზე. ეკონომიკური კანონების სისტემაში ცალკეულ კანონთა მოქმედების სხვადასხვა დონის არსებობა სოციალისტურ ეკონომიკაში არ ნიშნავს, რომ ეკონომიკური კანონები დავყოთ თვით მეურნეობას „ჩვეულებრივ“ და „ზედა“ კანონებად¹⁹. ღირებულების კანონის არსი არ ამოიწურება იმით, რომ ღირებულება არის ფასების კანონი. ღირებულების კანონი მხოლოდ მას შემდეგ კი არ მოქმედებს რაც წარმოიშვა ფული და შესაბამისად ფასები, არამედ გაცილებით ადრიდან, როცა პროდუქტი იქცა საქონლად. ღირებულების კანონის მოქმედებისათვის ვადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ფასებს, არამედ ღირებულების კატეგორიას.

როცა წარმოების საშუალებების დარგთაშორისი განაწილება ხდება ცენტრალიზებული წესით, ღირებულების კანონს არ შეუძლია გამოვიდეს საზოგადოების დონეზე მარეგულირებლის როლში. საკამათოა სოციალიზმის დროს ექვივალენტური გაცვლის პრობლემაც. ეს პრობლემა წარმოიშობს ერთგვარ წინააღმდეგობას თეორეტიკოს-ეკონომისტებსა და პრაქტიკოს-ეკონომისტებს შორის. სოციალიზმის დროს ფასი არ შეიძლება სტიქიურად ჩამოყალიბებადი სიდიდე იყოს. ავიღოთ ღირებულების სტრუქტურა $c+v+m$. წარმოების საშუალებებისა და მათ შორის ძირითადი ფონდების ფასი ჩვენთან დაბალია მათ ღირებულებაზე; ხელფასის მთელი ფონდი არ უდრის v -ს სიდიდეს; $c+v$ არის

¹⁹ Черковец В. И. Планомерность социалистического производства. М., 1965. с. 212; Товарно-денежные отношения в системе планомерного организованного социалистического производства. Под редакцией Н. А. Цаголова. М., 1971, с. 49—50.

თვითლირებულება და ფასების ქვედა საზღვარი, მაგრამ დამოკიდებულება თვითლირებულებასა და ლირებულებას შორის არაა პირდაპირპროპორციული, არ ვიცით III-ის აბსოლუტური სიდიდე. თუ მოთხოვნა მეტია მიწოდებაზე III-ის რეალიზაციის სიდიდე არაა შემოსაზღვრული. ეკონომისტ-პრაქტიკოსები კი ანგარიშობენ ყველა სიდიდეს, მათ განგარიშებას საფუძვლად უდევს „კერძო სფეროსათვის“ დაკონკრეტებული ლირებულების კანონი. გეგმაზომიერების ურთიერთობებით გამსჭვალული მოთხოვნა-მიწოდების კანონი, რომელიც თავის მხრივ წარმოების დანახარჯებზეა დამყარებული²⁰. მართალია წარმოების დანახარჯები სოციალიზმის დროს განსხვავდება წარმოების დანახარჯებისაგან კაპიტალიზმის დროს და უდრის არა მარტო C+V-ს, არამედ ცოცხალი და განუთვებელი შრომის მთელ დანახარჯებს, მაგრამ ლირებულება საწარმოებლად საჭირო შრომის დანახარჯებით კი არ განისაზღვრება, არამედ საკვლავწარმოებოდ საჭირო შრომით.

ლირებულების კანონის თეორიის მთავარი დანიშნულება ისაა, რომ ეს კანონი შეგნებულად იქნეს გამოყენებული კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკაში. ლირებულების კანონის, ისე როგორც ყველა ეკონომიკური კანონის, შეგნებული (პრაქტიკული) გამოყენება შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: შეცნობა \neq გათვალისწინება \neq გამოყენება.

საბჭოთა ეკონომიკური ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი შეხედულება ამ სქემის ელემენტების თანაფარდობისა და დამოკიდებულების, კანონთა შეგნებული გამოყენების ეტაპების თავისებურებისა და მნიშვნელობის შესახებ.

ლირებულების კანონი ობიექტური კანონია და მოქმედებს ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. მიუხედავად იმისა შეცნობილია იგი თუ არა. ამავე დროს, მისი მოქმედებისათვის აუცილებელია ადამიანთა საქმიანობა. სანამ ეკონომიკური კანონი შეუცნობელია, მისი მოქმედების შედეგები შეიძლება გამოიყურებოდეს როგორც გაუთვალისწინებელი შემთხვევითობა, როგორც პრაქტიკის წარმატება ან წარუმატებლობა. მსგავსად სხვა ეკონომიკური კანონებისა, ადამიანებს შეუძლიათ შეისწავლონ ლირებულების კანონი, გაითვალისწინონ ის თავიანთ მოქმედებაში და გამოიყენონ საზოგადოების ინტერესებისათვის²¹.

ყოველი საზოგადოება ცდილობს კანონების მოქმედების მექანიზმის შეცნობას, მაგრამ სხვადასხვა ფორმაციაში სხვადასხვა პირობაა ასეთი შეცნობისათვის. არსებობს კანონთა შეცნობის ორი გზა ემპირიული და მეცნიერული.

მარქსიზმ-ლენინიზმი ადამიანთა მიერ კანონებისადმი თავიანთი საზოგადოებრივი საქმიანობის დაქვემდებარებას ახასიათებს, როგორც ნახტომს „აუცილებლობის სამეფოდან—თავისუფლების სამეფოში“²², ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ „მარტოდონ შემეცნება,—ამბობდა ენგელსი,—საკმარისი არ არის იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ძალები საზოგადოების ბატონობას დაემორჩილონ. ამისათვის უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი მოქმედება

²⁰ К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., 2-е изд., т. 46, ч. 1, с. 78.

²¹ ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1952, გვ. 4.

²² ფ. ენგელსი, ანტი-დირინგი, თბ., 1952, გვ. 338.

საქირო²³. სოციალიზმის დროს პირველად იქმნება ობიექტური პირობები წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებისა და საყოველთაო გეგმიანობის წყალობით საზოგადოებრივი საქმიანობის ისეთი ორგანიზაციისათვის, რომელიც მთელი საზოგადოების მასშტაბით მოახდენდა „შეცნობილი აუცილებლობის“ რეალიზაციას. ეკონომიკური კანონების გამოყენება, ისე როგორც შეცნობა, შესაძლებელია ემპირიულად და მეცნიერულად, სოციალიზმის დროს შესაძლებელია როგორც ერთი, ისე მეორე. კაპიტალიზმის დროს, ზემოთ აღნიშნული პირობების უქონლობის გამო შესაძლებელია მხოლოდ ემპირიული შეგუება თუნდაც მეცნიერულად შეცნობილი ეკონომიკური კანონის მოქმედებასთან.

შეცნობა, გათვალისწინება, გამოყენება ერთიანი პროცესის—კანონთა გამოყენების ლოგიკური საფეხურია. მათ შორის პრაქტიკულად ძნელია ზუსტი ზღვარის გავლება, მაგრამ თეორიულად ეს არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა. არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ ეკონომიკური კანონების შეცნობა და გამოყენება. ისინი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც თეორია-პრაქტიკისაგან. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „თეორია და პრაქტიკა ორი სხვადასხვა საგანია“ და რომ „საკითხის პრაქტიკულად ან თეორიულად გადაწყვიტა სრულიად არ არის ერთი და იგივე“²⁴. კანონის შეცნობასა და მის გამოყენებას შორის არ შეიძლება არ დაეინახოთ კიდევ ერთი საფეხური—სამეურნეო საქმიანობის შემუშავებისა და დასაბუთების. ეს არის კანონთა გათვალისწინება. ეკონომიკურ კანონთა გათვალისწინება განსხვავდება როგორც შეცნობისაგან, ასევე მათი გამოყენებისაგან. კანონების შეცნობა უპირატესად თეორიული პროცესია, გამოყენება კი—თითქმის მხოლოდ პრაქტიკული. გათვალისწინება, გარკვეული აზრით, შემეცნების ეტაპის გაგრძელებაა, რადგანაც გვევლინება როგორც თეორიული საქმიანობა. ამავე დროს, ის არცაა ამ ეტაპის გაგრძელება, რადგან არაა შემეცნებითი. ის არის მაკონსტრუირებელი, მპროექტებელი საქმიანობა. გარკვეული აზრით გათვალისწინება პრაქტიკული საქმიანობაა და გამოდის როგორც პრაქტიკის წარმმართველი, მაგრამ მისი აღრევა გამოყენებასთან არ შეიძლება. გათვალისწინების გაიგივებას გამოყენებასთან მივეყვართ იმის აღიარებამდე რომ კანონთა მოქმედება და მათი გამოყენება იდენტური ცნობებია²⁵. საკითხისადმი ასეთი მიდგომა შლის ზღვარს ერთი მხრივ, ეკონომიკური ურთიერთობის გამომხატველ კატეგორიებსა და კანონებს შორის და მეორეს მხრივ, სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას შორის; არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ კანონები „სავესებით შეცნობადია ადამიანისათვის, მაგრამ არასოდეს არ შეიძლება ბოლომდე შეცნობილ იქნეს მის მიერ“²⁶. ვ. ი. კანონების არც ბოლომდე გამოყენებაა შესაძლებელი; გამორიცხავს შეცდომებს, როგორც კანონთა შეცნობაში, ისე გამოყენებაში. კანონის მოქმედება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მისი გამოყენება. ადამიანის ყველა შეგნებულ-პრაქტიკულ საქმიანობას როდი შეიძლება ეწოდოს კანონის გამოყენება. ადამიანი ცდილობს შეანელოს ან თავიდან აიცილოს

²³ იქვე, გვ. 380.

²⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 618.

²⁵ Сергеев А. А. Структура производственных отношений социализма, М., 1979, с. 28.

²⁶ ვ. ი. ლენინი, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, თხზ., ტ. 14, გვ. 234.

სტიქია. ეს ჭერ კიდევ არაა გამოყენება. ძველ ეგვიპტეში ნილოსის აღილებას ჰქონდა სტიქიური ხასიათი და სტიქიური შედეგიც. დროთა განმავლობაში აღამიანებმა შეიციან მდინარის მოქმედების კანონზომიერება და დაიწყეს ჭებირების კეთება, ე. ი. თავიდან აიშორეს სტიქია. ეს არ ნიშნავდა გამოყენებას, ეს იყო გათვალისწინება. უკვე მიწების მორწყვისათვის წყლის გამოყენება კი ნიშნავდა გამოყენებას. თუ კანონის შეცნობა ნიშნავს იმის ცოდნას, თუ როგორ მოქმედებს ის, გათვალისწინება ეს არის ამ მოქმედებაზე რეაგირებისათვის, მიღებული ცოდნის საფუძველზე ღონისძიებების შემუშავება. ასეთი რეაგირება მიმართულია ეკონომიკური კანონების მოქმედების უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. კანონის შეცნობის შემდეგ ჩვენ ვიცით რა გავითვალისწინოთ. თვით ეკონომიკურ კანონთა გათვალისწინება მდგომარეობს გამოყენებისა და არგამოყენების სფეროების გარკვევაში. გათვალისწინება ყველგანაა საჭირო, სადაც კი საქმე ეხება რომელიმე ეკონომიკურ კანონს სოციალიზმის დროს, რადგანაც ყველა კანონი სისტემაში ურთიერთდაკავშირებულია და ერთი რომელიმე მათგანის მოქმედების უგულვებელყოფა გამოიწვევს გარკვეული ზომის უზუსტობასა და შეცდომას პრაქტიკაში. საჭიროა კანონის მოქმედების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგების გათვალისწინება. ხოლო, როცა საქმე ეხება კანონის გამოყენებას, აქ მთავარია მოქმედება. საჭიროა განვასხვავოთ კომუნისტური ფორმაციის სპეციფიკური კანონებისა (კანონებისა, რომლებიც მოქმედებენ ორივე ფაზაში) და იმ ეკონომიკური კანონების გათვალისწინება, რომლებიც თავიანთი არსებობის ისტორიას იწყებენ კომუნისტური წარმოების წესებში და განაგრძობენ მოქმედებას სოციალიზმის დროსაც (ლირებულების კანონი, მოთხოვნა-მიწოდების კანონი და სხვ.) საერთო კომუნისტური კანონების მოქმედება განაპირობებს საზოგადოების მოძრაობას კომუნისტურისაკენ, ეს კანონები კაცობრიობის განვითარების უმაღლეს საფეხურზე აღწევენ სრულ განვითარებას. აქედან გამომდინარეობს მათი გათვალისწინებისა და გამოყენების აუცილებლობა. საჭიროა ამ კანონების სრული გამოყენება, ამისათვის მათი განხორციელების გზაზე შესაძლებლობის მიხედვით უნდა მოიხსნას ყველა წინააღმდეგობა და შეიქმნას პირობები მათი თავისუფალი მოქმედებისათვის. რაც შეეხება მეორე რიგის კანონებს, საჭიროა მათი გათვალისწინება. შეძლებისდაგვარად უნდა შეიზღუდოს ამ კანონების ყველა ის მოქმედება, რომელიც არაა სასარგებლო გეგმაზომიერი მეურნეობისათვის.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს ის, რომ თეორიიდან პრაქტიკაში გადასვლა ხორციელდება არა კანონების შეცნობიდან მათ გამოყენებაზე, არამედ იწყება შეცნობით, შემდეგ ხდება გათვალისწინება და ბოლოს გამოყენება. ამ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური კანონების შეგნებული გამოყენებისათვის, მათ შორის ლირებულების კანონის გამოყენებისათვისაც.

ლირებულების კანონი, მოქმედებს რა ეკონომიკურ კანონთა სისტემაში, თავისი მოქმედებით ზოგიერთ მოვლენას განსაზღვრავს, ზოგიერთზე კი ზემოქმედებს²⁷. ამის მიხედვით იყოფა მისი გამოყენებისა და გათვალისწინების სფეროები.

ლირებულების კანონის გათვალისწინებაზე, თავის დროზე, მიუთითებდა

²⁷ Курс политической экономии. Под ред. Н. А. Цаголова. М., 1974, с. 272.

ი. ბ. სტალინი: „უბედურება ის კი არ არის, რომ ღირებულების კანონი ჩვენი ში ზემოქმედებას ახდენს წარმოებაზე, უბედურება ის არის, რომ ჩვენი სამეურნეო მუშაკები და მგეგმავები, მცირეოდენის გამოკლებით, არ სწავლობენ ამ ზემოქმედებას და უნარს ვერ იჩენენ გაითვალისწინონ იგი თავიანთ ვარაუდებში“²⁸.

ღირებულების კანონის გათვალისწინება საჭიროა მისი მოქმედების ყველა მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, ის მოქმედებს როგორც საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის საზოგადოებრივი შრომის განაწილების კორექტორი; მეორე, როგორც საზოგადოებრივი შრომისა და წარმოების სტიმულატორი; მესამე, როგორც შრომის დანახარჯთა აღრიცხვისა და გაზომვის საშუალება. ღირებულების კანონის გათვალისწინება და გამოყენება სამეურნეო პრაქტიკაში ურთიერთგადახლართული პროცესებია. წარმოების, პროცესში ღირებულების კანონი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც დანახარჯთა შემცირების მასტიმულირებელი, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ღირებულების კანონის მიერ ექვივალენტობის მოთხოვნა, თუმცა საზოგადოებას პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა მოსაზრებებით შეუძლია დაარღვიოს ეს პრინციპი. ღირებულების კანონის მოქმედების გათვალისწინება საჭიროა აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებში საწარმოთა გაადგილების დროს ახალი ტექნიკისა და კაპიტალ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის და სახელმწიფო და საკოლმეურნეო საწარმოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის დროს.

ღირებულების კანონის გათვალისწინება და გამოყენება საჭიროა არა მარტო წარმოების სფეროში, არამედ განაწილების სფეროშიც. კაპიტალისტური ეკონომიკის მეთაური რეგულატორი—ღირებულების კანონი, განსაზღვრავს განაწილებას, მასთან დაკავშირებული ეკონომიკური კანონების მეშვეობით. მაგალითად, აუცილებელი პროდუქტის მოცულობასა და განაწილებას არეგულირებს სამუშაო ძალის ღირებულების კანონი, ხოლო ზედმეტი ღირებულების განაწილებას — მოგების საშუალო ნორმის კანონი. სოციალიზმის დროს შრომის ანაზღაურებას აქვს ორადი ხასიათი. ინდივიდუალური ფონდების განაწილებაში წამყვანი როლი ეკუთვნის შრომის მიხედვით განაწილების კანონს, რომელიც არეგულირებს მუშაკის ძირითად ხელფასს. ხელფასი გაიანგარიშება შრომის მწარმოებლურობის ფაქტორების (შრომის რაოდენობა და ხარისხი, კვალიფიკაცია და ინტენსიურობა) მიხედვით, მაგრამ ის არ წყვეტს მატერიალური დაინტერესების პრობლემას. აქ ღირებულების კანონის გამოყენება იმას ნიშნავს, რომ წარმოების ღირებულებითი შედეგების საფუძველზე ყალიბდება ხელფასის დამატებითი პრემიული ნაწილი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ღირებულების კანონის გათვალისწინებასა და გამოყენებას გაცვლის დროს. მთელი სასაქონლო ბრუნვა სოციალიზმის დროს შეიძლება წარმოვიდგინოთ გეგმიანად რეგულირებადი და არაპირდაპირ რეგულირებადი (საკოლმეურნეო) ბაზრის სახით. დიდი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო ბაზრის ფარგლებში ღირებულების კანონის შეზღუდვას. საჭიროა სახალხო მეურნეობის გეგმაში ბაზრის მოთხოვნილებათა

²⁸ ი. ბ. სტალინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

გათვალისწინება, რაც გამოირიცხავს წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში მთელ რიგ საქონლურ-მატერიალურ ფასეულობათა სიჭარბეს, შეუსაბამობას წარმოების პროექტირებასა და რეალურ მოთხოვნებს შორის.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს ღირებულების კანონი მოსახლეობისადმი მისაცემი მოხმარების საგნებისა და მათი მსყიდველობითი ფონდების თანაფარდობის ჩამოყალიბებაში. ღირებულების კანონი გამოყენებულ უნდა იქნეს არა მარტო პირადი მოხმარების, არამედ საერთოდ საზოგადოებრივი მოხმარებისათვისაც. ეს აუცილებლობა გამომდინარეობს იქიდან, რომ სახალხო მეურნეობის გეგმაში არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ყველა კონკრეტული საჭიროებანი. საწარმოო მოხმარების ამ კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება წარმოების განვითარების ფონდები.

ღირებულების კანონი, როგორც ეს მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ზემოქმედებს სოციალისტური კვლავწარმოების ყველა ეტაპზე, ამიტომ საჭიროა მისი გათვალისწინება როგორც წარმოების, ისე გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების დროს.

М. Ч. ДЖИБУТИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПОЗНАНИЯ И ИСПОЛЬЗОВАНИЯ ЗАКОНА СТОИМОСТИ ПРИ СОЦИАЛИЗМЕ

Резюме

16648
Вопросы, связанные с действием закона стоимости при социализме, являются одной из сложнейших проблем теории и практики. Сознательное использование закона стоимости во многом зависит от степени познания механизма его действия, от правильного ведения хозяйственного расчета и действительности и эффективности хозяйственного механизма.

Действие закона стоимости является необходимым условием равенства суммы цен и суммы стоимостей в масштабе общества. Это равенство показывает степень регулирующей роли закона стоимости. При социализме равенство сумм стоимостей и цен для всей совокупности товаров теоретически не доказывается. Закон стоимости перестает быть главенствующим регулятором.

Сознательное использование закона стоимости возможно через постепенное прохождение соответствующих ступеней: познания, предвидения и использования. Предвидения и использование закона стоимости необходимо не только в сфере производства, но и в фазах обмена, распределения и потребления.

წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტმა

მიხეილ თოქაჯიშვილი

წარმოებით ურთიერთობათა არსებისა და სუბსტანციის ურთიერთობის საკითხისათვის

წარმოებით ურთიერთობათა სისტემის კვლევის პროცესი ეკონომიკურ მოვლენათა საყოველთაო კავშირებისა და მათი განვითარების კონკრეტული ფორმების შესწავლის პროცესია. იგი მოითხოვს დიალექტიკურ მიდგომას, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ გამოვიკვლიოთ ის, თუ რა ქმნის წარმოებით ურთიერთობებს ასეთად და რა არის მათი არსებობისა და განვითარების საყოველთაო საფუძველი და სუბსტანცია.

ეკონომიკურ მოვლენათა დიალექტიკური შესწავლის ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს ვ. ი. ლენინის დებულება: „ერთიანის გაორება და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილების შემეცნება“¹. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყოველი მოვლენა არის ერთი მთელი, რომელიც გაორებულია საკუთარ თავთან მიმართებაში დაპირისპირებულ მხარეებად. დაპირისპირებული მხარეები წარმოიშობა მოვლენის, როგორც თვითმოძრავი სუბსტანციის განვითარების საფუძველზე. მოვლენის მთლიანობა მასში არსებული სუბსტანციით არის განპირობებული, სუბსტანცია კი ყველაზე ზოგადი განმარტებით არის სუბსტრატო, მრავალგვარ მოვლენათა შინაგანი საფუძველი. აქვე უნდა დაფუძალოთ ისიც, რომ სუბსტრატისაგან განსხვავებით იგი ისეთი არსებითი საფუძველია, რომელიც ერთსა და იმავე დროს განსაზღვრავს კიდევ ამ მოვლენათა განვითარებას, მათ ერთიანობას და მათგან დამოუკიდებელი მნიშვნელობაც ენიჭება. იგი თვითგანსაზღვრავს, თვითგანსაზღვრავს კი მასში არსებული წინააღმდეგობის განვითარების გზით ხდება.

სუბსტანცია ობიექტურ რეალობასა და მოვლენათა შინაგან ერთიანობას წარმოადგენს. იგი გულგრილია იმ ნაირგვარობისა და ცვალებადობისადმი, რომლებშიც თვითონ ვლინდება. სწორედ, ამ ნაირგვარ და გარეგნულ ფორმებში ერთი საყოველთაო შინაგანი არსების, საფუძვლის დაღვენა არის შემეცნების მთავარი მიზანი.

წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის შესწავლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოვლენათა ურთიერთკავშირის ერთიანობის პოზიციებიდან, მათი არსებითი საფუძვლის პოზიციებიდან მიდგომას. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ერთის მხრივ, მატერიის შემეცნება უნდა გაღრმავდეს სუბსტანციის შემეცნებამდე (ცნებამდე), რათა მოვლენათა მიზეზი მოინახოს, მეორეს მხრივ მიზეზის ნამდვილი შემეცნება არის გაღრმავება შემეცნებისა მოვლენათა გარეგნობიდან სუბსტანციამდე“².

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 371.

² იქვე, გვ. 153.

საერთოდ, მოვლენათა სუბსტანცია შესწავლილი უნდა იქნეს მისი განვითარებისა და გამოვლენის ფორმებთან ურთიერთკავშირში. პირველად მასში დგინდება მოვლენათა საყოველთაო მსგავსება-იგივეობა, რაც საფუძვლისა და არსების განსაზღვრას წარმოადგენს. შემდეგ, მიზეზშუდგებობრივი კავშირის ანალიზი კი იძლევა ურთიერთმომქმედების ანუ წინააღმდეგობის შემეცნებას. ამგვარად, სუბსტანცია წარმოგვიდგება როგორც: 1) საწყისი; 2) ყველაფრის მიზეზი; 3) ამიტომ ყველაფრის საფუძველი და საბოლოოდ 4) როგორც არსება. მისი შესწავლა, ამასთანავე, არსების შესწავლას წარმოადგენს, და იგი მხოლოდ თვისებების პოვნით არ შემოიფარგლება³.

პოლიტიკურ ეკონომიაში, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების შესწავლა პირველად დაიწყეს მერკანტილისტებმა. ისინი გამოჩნდნენ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქაში და, როგორც ლოგიკურად მოსალოდნელი იყო, მეცნიერული კვლევა დაიწყეს მოვლენების ზედაპირული ფაქტების აღწერით. ამ პერიოდში განვითარებული იყო სავაჭრო კაპიტალი და მათი ანალიზიც კაპიტალის მიმოქცევით იყო შემოფარგლული. მხოლოდ შრომის მანუფაქტურული დანაწილების დროს, როდესაც წარმოებას მიენიჭა განმსაზღვრელი როლი, ჩაისახა კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია. იგი კლასიკური იყო იმიტომ, რომ მან პირველმა დაიწყო ეკონომიკური მოვლენების შინაგანი საფუძვლის კვლევა. «კლასიკური პოლიტიკური ეკონომია, — აღნიშნავდა კ. მარქსი, — ცდილობს ანალიზის მეშვეობით სიმდიდრის სხვადასხვა ფიქსირებული და ერთიმეორისათვის უცხო ფორმები დაიყვანოს მათს შინაგან ერთიანობაზე და მოაშოროს მათ ის ფორმა, რომელშიც ისინი ინდიფერენტულად დგანან ერთიმეორის გვერდით; მას სურს გაიგოს შინაგანი კავშირი მთელისა განსხვავებით გამოვლენის ფორმათა მრავალსახეობისაგან. ამიტომ რენტა დაჰყავს მას დამატებითს მოგებაზე, რის გამოც რენტა ქრება როგორც განსაკუთრებული, თავისთავადი ფორმა და აღმოჩნდება მისი მოჩვენებითი წყაროსაგან, მიწისგან განცალკევებული. სწორედ ასევე ჩამოაცლის იგი სარგებელს მის დამოუკიდებელ ფორმას და გვიჩვენებს, რომ სარგებელი არის მოგების ნაწილი»⁴. სხვაგან კ. მარქსი მიუთითებდა, რომ ინგლისურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ეს პრინციპი თანმიმდევრულად ვერ გამოიყენა და სწორედ ამაშია მისი საერთო ნაკლი. ეს პრინციპი მოვლენების საკუთარ საფუძველთან მიმართებას წარმოადგენს და ეს მოვლენები არის «ერთი და იმავე სუბსტანციის განსხვავებული გამოხატულებანი»⁵. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსები უკვე საერთოს პოულობენ. ა. სმიტი მიუახლოვდა იმ აზრს, რომ საცვლელი ღირებულების საფუძველი ღირებულების საყოველთაო სუბსტანციაა — შრომა. შრომა ქმნის სიმდიდრის და საქონლის ღირებულებების სიდიდე დამოკიდებულია არა ცალკეულ წარმოებაში ფაქტურად დახარჯულ შრომასზე, არამედ საზოგადოებრივად აუცილებელ შრომასზე. აქედან გამომდინარე, კ. მარქსი ასკვნის: «ა. სმიტის შეხედულებით კი პირიქით, ღირებულებას ქმნის საყოველთაო საზოგადოებრივი შრომა, — სულ ერთია რა სახმარ ღირებულებაშიც არ

³ ჯერ კიდევ ძველი ბერძენები სუბსტანციად აღიარებდნენ მხოლოდ საერთო თვისებებს რის გამოც ვერ სწვდებოდნენ მოვლენათა ნამდვილ არსებას.

⁴ კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. III, გვ. 601.

⁵ იქვე, გვ. 154.

უნდა იყოს წარმოდგენილი ეს შრომა, — ქმნის მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი შრომის რაოდენობა“⁶.

შემდგომ, ა. სმიტი მიჰყვება ლოკის ინდუქციის მეთოდს, და გაორებულ შედეგამდე მივიდა. ერთის მხრივ, მან შრომა გამოაცხადა საერთო საფუძვლად და ღირებულება განსაზღვრა როგორც შრომის რაოდენობა, რომლითაც შეიძლება იყიდო ყველა საქონელი; მაგრამ, მეორეს მხრივ, მან კაპიტალისტური წარმოების წესი განიხილა ინდუქციური მეთოდის საფუძველზე და აღმოაჩინა, რომ კაპიტალისტმა, რომელმაც იყიდა მუშის შრომა, მიიღო მეტი ღირებულება, ვიდრე გადაიხადა მასში, რაც ღირებულების კანონის დარღვევას ნიშნავს. მაშინ ა. სმიტმა ეს განსაზღვრა მიკუთვნა მხოლოდ საზოგადოების პირველყოფილ მდგომარეობას, ხოლო კაპიტალიზმისათვის შემოიტანა მესამე განსაზღვრება, სადაც ღირებულება გააიგივა წარმოების ფასთან და მის ქვეშ გააერთიანა მუშის ხელფასი, კაპიტალისტის მოგება და მიწათმფლობელის რენტა.

რიკარდოს მთავარი დამსახურებაა ღირებულების შრომითი თეორიის შექმნა. იგი ცდილობს სიმდიდრის წარმოებისა და განაწილების ყოველი კონკრეტული ფორმა გამოიყვანოს ღირებულების შრომითი თეორიიდან. და ეკონომიკური მოვლენები დაიყვანოს მათ საერთო სუბსტანციაზე. რიკარდო აღნიშნავდა, რომ „შრომა არის ყოველი ღირებულების საფუძველი და მისი შეფარდებითი რაოდენობა განსაზღვრავს (თითქმის უკლებლივ) საქონელთა შეფარდებით ღირებულებას“⁷.

„საფუძველი, ამოსავალი წერტილი ბურჟუაზიული სისტემის ფიზიოლოგიისათვის — მისი შინაგანი ორგანული კავშირისა და მისი სასიცოცხლო პროცესის გაგებისათვის — არის ღირებულების განსაზღვრა სამუშაოდ რ ო თ. აქედან გამოდის რიკარდო — წერდა კ. მარქსი — და აიძულებს შემდეგ მეცნიერებას მიატოვოს ძველი რუტინა და ნათლად წარმოიდგინოს, თუ რამდენად შეეფერება ან ეწინააღმდეგება ამ საფუძველს, ამ ამოსავალ წერტილს მის მიერ განვითარებული და წამოყენებული დანარჩენი კატეგორიები, — წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობანი;... ეს არის სწორედ რიკარდოს დიდი ისტორიული მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“⁸, მაგრამ ეს მეთოდი ვერც რიკარდომ გამოიყენა ბოლომდე „ყველა საქონელი — აღნიშნავდა კ. მარქსი, — შეიძლება დაყვანილ იქნას შრომაზე, როგორც მათს ერთიანობაზე, რასაც რიკარდო არ იკვლევს. ეს არის სპეციფიკური ფორმა, რომელშიც ვლინდება შრომა როგორც საქონელთა ერთიანობა. ამიტომაც რიკარდოს არ ესმის ფული. ამიტომ გვევლინება მასთან, საქონელთა გადაქცევა ფულად როგორც მხოლოდ ფორმალური რამ, რომელიც ღრმად ვერ სწვდება კაპიტალისტური წარმოების შინაგან რაობას“⁹.

ასეთივე მეთოდისათვის აკრიტიკებდა კ. მარქსი აგრეთვე ბეილის, რადგან მან ეს ეკონომიკური კატეგორიები არ დაიყვანა ერთ კატეგორიაზე — სუბსტანციაზე და არ გააერთიანა ისინი დიალექტიკურად. „ბეილის უხამსობის შესახებ — წერს კ. მარქსი, — საჭიროა შევნიშნოთ კიდევ შემდეგი: როცა ის ლაპარაკობს, რომ A საგანი იმყოფება ამა თუ იმ მანძილის დაშორებით B საგნისაგან, იგი მათ არ აღარებს ერთმანეთს, არ აერთიანებს ერთ კატეგორიად, არამედ

⁶ კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაშ. I, გვ. 68.

⁷ Рикардо D. Соч., т. I, с. 40.

⁸ კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაშ. II, გვ. 215—216.

⁹ კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაშ. III, გვ. 165.



განასხვავებს სივრცეში. მათ ერთი და იგივე სივრცე არ უკავიათო. მიუხედავად ამისა (არსებითად) იგი ამბობს ორივეს შესახებ, რომ ისინი სივრცისეულნი არიან და რომ მათ განასხვავებენ როგორც სივრცეში მყოფ საგნებს. ამრიგად, იგი წინასწარ აერთიანებს მათ კატეგორიად, მიაწერს მათ ერთსა და იმავე ერთიან საწყისს. აქ კი სწორედ ლაპარაკია ერთ ერთიან კატეგორიაში მათ მოქცევაზე¹⁰.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო საფუძვლის პოვნა წარმოებით ურთიერთობათა დიალექტიკური შესწავლისათვის არასაკმარის პირობას წარმოადგენს. «Подведение массы случаев под общий принцип—წერდა ვ. ი. ლენინი—не есть диалектика»¹¹.

კ. მარქსი „კაპიტალში“ ყველა ეკონომიკურ კატეგორიას დაიყვანს ერთ საფუძველზე, სუბსტანციაზე და შემდეგ იწყებს მასში წინააღმდეგობის კვლევას, რომლის გაშლა-განვითარების გზით იძლევა კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემის გადმოცემას. იგი იწყებს საქონლით, მაგრამ კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა კვლევის ამოსავალი პუნქტია აბსტრაქტულად ზოგადი კი არ არის, არამედ ისეთი ზოგადი, რომელიც ყველაფრის საფუძველია და შეიცავს დაპირისპირებულ მხარეებს¹². ასეთი კატეგორია კი ღირებულებაა. ღირებულება სუბსტანცია და მისი შინაარსი ადამიანის აბსტრაქტული შრომით შექმნილი პროდუქტია. კაპიტალიზმის ყველა დანაჩრენი კონკრეტული ურთიერთობა შეიცავს ღირებულებას როგორც საერთო საფუძველს. ღირებულება მათი საყოველთაო საფუძველია, მაგრამ იგი არ არის კაპიტალისტურ ურთიერთობათა არსება. ღირებულება მარტივი სასაქონლო წარმოების არსებაა, ხოლო კაპიტალიზმის დროს არსებად იქცევა მისი განსაკუთრებული ფორმა — ზედმეტი ღირებულება.

ღირებულება, როგორც სუბსტანცია და ღირებულება, როგორც არსება განსხვავდებიან ერთმანეთისაგან¹³. ღირებულება, როგორც სუბსტანცია მოგების, რენტის, პროცენტის და სხვ. ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ არ განსაზღვრავს მათ მოძრაობას. იგი მხოლოდ მათი არსებობის პირობაა. მათ მოძრაობას კი განსაზღვრავს ზედმეტი ღირებულება, რომელიც

¹⁰ კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. III, გვ. 171.

¹¹ Ленин В. И. Конспект „Переписки К. Маркса и Ф. Энгельса 1844—1883 гг.“ М., 1968, с. 298.

¹² ამოსავალი ცნების წინააღმდეგობრივ ბუნებას რომ ეხებოდა ჰეგელი აღნიშნავდა, რომ ფილოსოფიის საწყისად ხან უშუალოს იღებდნენ და ხან გაშუალებულს. ადვილი საჩვენებელია, რომ იგი ვერ იქნება ვერც ერთი და ვერც მეორე ცალ-ცალკე აღებული, რადგან, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთოდ არ არსებობს არაფერი არც ცაში, არც ბუნებაში, არც სულში, არც საღმესხვევან, რაც არ შეიცავდეს ამოთუ იმ შოშით როგორც უშუალობას, ასევე გაშუალებას. ასე რომ ეს ორი განსაზღვრება ერთმანეთისაგან განუყოფელია (Гегель, наука логики, т. I, стр. 124).

¹³ სუბსტანციისა და არსებას შორის განსხვავება დღესაც საკმაოდ საკითხია. აბსტრაქტული აზრით, ისინი იდენტური ცნებებია, მაგრამ კონკრეტული მიდგომით, კი განსხვავდებიან და თეორიულ შემეცნებაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ. ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომ არსება არის სუბსტანციის კონკრეტობა, სუბსტანციის კონკრეტულებული ფორმა, რომელსაც სუბსტანციის გამოვლენის ფორმების ჩამოყალიბებაში საყოველთაო მნიშვნელობა ენიჭება. სუბსტანციასთან მიმართებაში არსება განსაკუთრებულია, ხოლო გამოვლენის ფორმებთან კი იგი საყოველთაო მნიშვნელობისაა. არსება არის სუბსტანციის თავისებური მოძრაობა, რომელიც როგორც განვითარების ფორმა უპირისპირდება თავისივე განვითარების საფუძველს.

ლირებულების განვითარების კონკრეტულ ფორმას წარმოადგენს. მოგება, რენტა, სარგებელი, ზედმეტი ლირებულების გამოვლენის ფორმებია. ხოლო ლირებულება, როგორც არსება განსაზღვრავს თავისივე ფორმებს — საქონელს, ფულს, გაცვლელ ურთიერთობებს. ლირებულებისა და ზედმეტი ლირებულების ურთიერთდამოკიდებულებაში ლირებულება საყოველთაოა, ზედმეტი ლირებულება კი — განსაკუთრებული. ლირებულება არეგულირებს ეკვივალენტებს შორის გაცვლას, ხოლო ზედმეტი ლირებულება კი ექვივალენტური გაცვლის საფუძველზე აღმოცენებულ უთანაბრო მითვისების შედეგს წარმოადგენს. ეს არის მათ შორის დადგენილი წინააღმდეგობა, რომელიც გადაიჭრება განსაკუთრებულ საქონელში — სამუშაო ძალაში. ამ უკანასკნელის აუნაზღაურებელი შრომა ზედმეტი ლირებულების საიდუმლოებას შეადგენს და იგი არსებასა და სუბსტანციას შორის დაპირისპირების სინთეზური ფორმაა. სამუშაო ძალა ზედმეტი ლირებულების შექმნის წყაროა და აქვს ლირებულება. მას რომ ლირებულება არ ჰქონდეს, ვერ იქნებოდა ზედმეტი ლირებულების წყარო. კაპიტლისტი მუშისაგან ყიდულობს სამუშაო ძალას ლირებულების მიხედვით. ამ ექვივალენტური გაცვლის საფუძველზე აღმოცენდება ეკონომიკური უთანასწორობა. მუშა, როგორც სამუშაო ძალის მფლობელი, ამიერიდან უცხოვდება თავისი შრომის პროდუქტისაგან, ხოლო კაპიტალისტი კი სამუშაო ძალის მოხმარების გზით ითვისებს მის მიერ შექმნილ ზედმეტ ლირებულებას. აქ უკვე ირდევია ექვივალენტური გაცვლითი ურთიერთობა და ლირებულება როგორც სუბსტანცია, უპირისპირდება ზედმეტ ლირებულებას, როგორც არსებასა და თავის განვითარების კონკრეტულ ფორმას. ეს ურთიერთობა ვლინდება, როგორც კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის.

კ. მარქსის წინამორბედებმა ვერ შესძლეს დაესაბუთებინათ ზედმეტი ლირებულების არსი და მას აიგივებდნენ მის ფორმებთან — მოგებასთან, რენტასთან და სარგებელთან. ისინი ამოდიოდნენ არსების ემპირიული განსაზღვრებიდან, რაც მიაჩნდათ ყველა წარმოებით ურთიერთობათა ზოგად და საერთო საფუძველად. ამ აბსტრაქტული ზოგადიდან ისინი ცდილობდნენ გამოეყვანათ განსაკუთრებული ფორმები, რის შედეგადაც მათი მსჯელობა იღებდა მეტაფიზიკურ სახეს.

კ. მარქსი ზედმეტი ლირებულების ცნებას სრულიად სხვაგვარად მიუღმა მისი აზრით, კაპიტალისტური ურთიერთობის არსება არის არა აბსტრაქტულად ზოგადი, არამედ სუბსტანციის განვითარების განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში საყოველთაო მნიშვნელობა ენიჭება. მისი გარკვევა ნიშნავს გავხსნათ წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის ბუნება, მათი შინაგანი მოძრაობა. არსება არის ურთიერთმოქმედების, ერთიანობის გამომხატველი ცნება და იგი ქმნის წარმოებით ურთიერთობებს ისეთად როგორც იგი არის. სუბსტანციასთან ერთად არსება ქმნის ერთიანობას, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი მოვლენის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს მათი, როგორც შინაგანი საფუძვლის შესწავლის გარეშე. მათ გარეშე ვერ ჩაეწვდებით, თუ რატომაა ეს მოვლენა ასეთი და არა სხვანაირი. ასე მაგალითად, ოქროს, როგორც საყოველთაო ეკვივალენტის გაგება მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებების შესწავლის გზით კი არა, მხოლოდ მისი შინაგანი არსების გამოკვლევის გზით შეიძლება. ოქრო ფული გახდა მხოლოდ განსაზღვრულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში და მისი ფუ-

ნქცია ჩამალულია იმ ურთიერთობებში, რომლებმაც აიძულეს ოქრო შეესრულებინა ფულის ფუნქცია. ანდა, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების არსი მდგომარეობს არა გაცვლილი და მოხმარებული პროდუქტების რაოდენობაში, არამედ იმაში, თუ ვინ აწარმოებს პროდუქტებს, ვინ ითვისებს და რა პრინციპით ხდება მისი მითვისება.

არსებასა და სუბსტანციას შორის ერთიანობა შეიცავს წინააღმდეგობას. არსება, როგორც სუბსტანციის განვითარების კონკრეტული ფორმა უპირისპირდება სუბსტანციას და ქმნის „თავისთავად არსებულსა“ და „თავის სხვას“ შორის არსებულ წინააღმდეგობას. მათი ერთიანობა შეფარდებითად შინაგანისა და გარეგნულის წინააღმდეგობრივი ერთიანობაა. ისინი ერთ სისტემად აერთიანებენ მთელ წარმოებით ურთიერთობებს და განსაზღვრავენ მისი განვითარების სპეციფიკას, რადგან ამ ურთიერთობათა შინაგან საფუძველს შეადგენენ.

ამრიგად, წარმოებით ურთიერთობათა სისტემის არსება ორგანულად უკავშირდება სუბსტანციას, რომელთა შორის ურთიერთობა პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიათა და კანონთა განვითარების მთავარ ლერძს წარმოადგენს¹⁴. ამ საკითხისადმი დიალექტიკური მიდგომა ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ძირითადი წარმოებით ურთიერთობის, მისი წინააღმდეგობისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელი სისტემის მოძრაობა-განვითარებაში შესწავლის წინაპირობაა.

М. Д. ТОКМАЗИШВИЛИ

К ВОПРОСУ О ВЗАИМООТНОШЕНИИ СУЩНОСТИ И СУБСТАНЦИИ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ ОТНОШЕНИЙ

Резюме

Задача политической экономии как научной системы состоит в том, чтобы теоретически воспроизвести закономерность развития производственных отношений в их конкретности. Такое исследование приобретает диалектический характер и становится подлинно научным лишь постольку, поскольку определяющим фактором в развитии производственных отношений является специфическое содержание субстанции и сущности способа производства. Их взаимодействие обуславливает диалектическое движение экономических отношений и вместе с непосредственными формами проявления сущности составляет суть основного противоречия общества.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის განყოფილებამ

¹⁴ ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ „ურთიერთმოქმედება არის ნივთთა ქეშმარიტი *ausa finalis* (საბოლოო მიზნები). ამ ურთიერთმოქმედების შემეცნების იქით წასვლა ჩვენ იმიტომ არ შეგვიძლია, რომ მის უკან შესამეცნებელი აღარა არის რა“ (ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 241).

თემატიკა მონათხრობი

სოციალისტური საკუთრების ფორმების განსაზოგადების დონის შემდგომი ამაღლება

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის საფუძველი არის წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, სახელმწიფო (საერთო სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერატიული საკუთრების ფორმით. საკუთრების ამ ორ ფორმას შორის არსებობს, როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები.

სოციალისტური საკუთრების ფორმათა შორის ძირითადი განსხვავება არის მათი განსაზოგადების დონეთა სხვაობაში. კერძოდ, სახელმწიფო-საკუთრება თავის განსაზოგადების დონითა და სიმწიფით მაღლა დგას საკოლმეურნეო-კოოპერატიულ საკუთრებასთან შედარებით. ამიტომ, სოციალისტური საკუთრების ფორმების დაახლოება გულისხმობს ორივე ფორმის შემდგომ განვითარებას, მათი განსაზოგადების დონეთა გამოთანაბრებას, რაც ერთდროული აქტი კი არა, არამედ რთული მიმდინარე ეკონომიკური პროცესია და გარკვეულ პერიოდს მოითხოვს.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის მთავარი ეკონომიკური ამოცანაა წარმოების საშუალებათა სოციალისტური განსაზოგადობა. პროლეტარიატის დიქტატურამ შეასრულა ეს ამოცანა — კაპიტალისტური საკუთრება შეცვალა სოციალისტურით, მაგრამ ამით საკუთრების განსაზოგადების პროცესი არ დამთავრებულა. სოციალისტური მშენებლობის განვითარების შესაბამისად მიმდინარეობდა განსაზოგადების დონის თანდათანობითი გაფართოება და სრულყოფა. ამასთან, წარმოების განსაზოგადების განვითარება პირდაპირ კავშირშია მატერიალური წარმოების პროცესთან.

რამდენადაც მატერიალური წარმოების პროცესი გულისხმობს საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობას, იმდენად განსაზოგადების პროცესი განხილულ უნდა იქნეს წარმოების მატერიალურ-ნივთობრივი და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმების დიალექტიკურ ერთიანობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების განსაზოგადების პროცესს საფუძველი კაპიტალიზმის წიაღში ჩაეყარა. მანქანურმა ინდუსტრიამ წარმოების განსაზოგადების არნახული ტემპი გამოიწვია. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „კაპიტალისტური განსაზოგადების ისტორიულ მისიას წარმოადგენს სოციალიზმის მატერიალური საფუძვლის შექმნა“¹.

წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის წინააღმდეგობის გაძლიერება განსაზოგადებაში აუცილებლობით იწვევდა რევოლუციურ ნახტომს. სოციალისტურმა რევოლუციამ

¹ Ленин В. И. Полн. собр. соч., изд. 5-е, т. 26, с. 73.

მოსპო კაპიტალიზმის ეს ძირითადი წინააღმდეგობა და საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ განსაზოგადოებას. ვ. ი. ლენინს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთ მთავარ სიძნელედ წარმოების ნამდვილად განსაზოგადოება მიაჩნდა, როცა აღნიშნავდა... „მთავარი სიძნელე ეკონომიკურ დარგში ძვეს: პროდუქტების წარმოებისა და განაწილების უსასტიკესი და საყოველთაო აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, წარმოების ნამდვილად განსაზოგადოება“².

ვ. ი. ლენინი წარმოების ნამდვილად განსაზოგადოებაში გულისხმობდა ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ამოცანის გადაჭრას:

პირველი, კაპიტალიზმთან შედარებით საწარმოო ძალების განვითარების მაღალი დონის მიღწევას ახალ წარმოებით ურთიერთობათა ყველა უბირატესობის გამოყენების საფუძველზე;

მეორე, წარმოებით ურთიერთობათა ახალი სისტემის განვითარების შემდგომ სრულყოფას.

საკუთრების განვითარებისა და განსაზოგადოების პროცესის დიალექტიკური ერთიანობის გარეშე განხილვას ზოგიერთი ეკონომისტი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ თითქმის განსაზოგადოების დონის ამაღლება არ ეხება სახელმწიფო საკუთრებას. საბჭოთა ეკონომისტი მ. კოლგანოვი ამის შესახებ წერს: „სახელმწიფო საკუთრების მიმართ არ დგას საკითხი განსაზოგადოების დონის ამაღლების შესახებ. მათში განსაზოგადოების პრინციპი მის გარეშეც ზღვრული სიცხადითაა გამოსახული. აქედან გამომდინარე სოციალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალ პერიოდში შეიძლება საკითხი იდგეს მხოლოდ საკუთრებით ურთიერთობათა თანდათანობითი განვითარების შესახებ მთელი რიგი შინაგანი პროცესებისა და მისი საზღვრების გაფართოების შედეგად“³. მაგრამ ამ შინაგანი პროცესებიდან იგი გამორიცხავს განსაზოგადოების დონეზე მოქმედ საწარმოო ძალების ისეთ ელემენტებს, როგორცაა სპეციალიზაცია, კოოპერაცია, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. მისი აზრით, ისინი თავისთავად, უშუალოდ მიეკუთვნებიან საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების ფარგლებს და არ გამოხატავენ საკუთრებით ურთიერთობათა სისტემაში ცვლილებებს. მ. კოლგანოვის ეს შეხედულება არ შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული, რადგანაც აგროსამრეწველო ინტეგრაციის ფართოდ განვითარება თანამედროვე ეტაპზე, ნათლად აჩვენებს როგორც საკუთრების განსაზოგადოების დონის ამაღლებას, ისე ცვლილებებს საკუთრებრივ ურთიერთობაში.

ანალოგიურ შეხედულებებს ანვითარებს ეკონომისტი ი. კუმაჩენკო, როცა წერს: „საერთო-სახალხო საკუთრების განვითარების პერსპექტივა, თუ მხედველობაში მივიღებთ განსაზოგადოების დონეს, არ ექვემდებარება არსებით ცვლილებებს“⁴.

იგი სახელმწიფო საკუთრების განვითარებას საზღვრავს მხოლოდ წარმოებით ურთიერთობათა სფეროთი.

² Ленин В. И. Полн. собр. соч., т. 36, с. 171.

³ Колчанов М. В. Собственность в период перехода к коммунизму. М., 1963, с. 65.

⁴ Кумаченко Я. С. О двух формах социалистической собственности. М., 1959, с. 23.

სახელმწიფო საკუთრება საერთო-სახალხო საკუთრებაა, თუმცა განსაზოგადოების დონით იგი ჯერ კიდევ დაბლა დგას კომუნისტურ საკუთრებაზე. სოციალიზმის დროს სახელმწიფო საკუთრებასა და საზოგადოებას შორის დგას სახელმწიფო. სახელმწიფო საკუთრების მფლობელის, გამომყენებლისა და გამსხვიებლის როლში სახელმწიფო გამოდის იმდენად, რამდენადაც სხვაგვარად შეუძლებელია მთელი სახალხო მეურნეობის გეგმიანი მართვა, შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგის ჰარმონიული განვითარება ისეთ პირობებში, როცა სახელმწიფო საკუთრება არის ცალკეულ საწარმოო კოლექტივების მფლობელობაში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სოციალიზმის ამოცანაა, რომ წარმოების ყველა საშუალება გახდეს მთელი ხალხის საკუთრება და არა ის, რომ გემები გადაეცეს გემის მუშებს, ბანკები ბანკის მოსამსახურეებს“⁵.

სახელმწიფო საკუთრების საერთო-სახალხო ხასიათის დამადასტურებელია სახელმწიფო საწარმოო ნამეტი პროდუქციის ცენტრალიზება მთელი სახელმწიფოს მასშტაბით და მისი გამოყენება სახალხო მეურნეობის ინტერესების შესაბამისად. საერთო-სახალხო ხასიათი ვლინდება მმართველობაშიც. ყოველი საწარმოო კოლექტივი სახელმწიფო სამეურნეო ერთეულია და მას განაგებს სახელმწიფოს ზემდგომი ორგანოებისაგან დანიშნული ხელმძღვანელი. საწარმოო ერთეულთა დაქვემდებარება ქვემოდან ზემოთ გულისხმობს მთელი სამეურნეო მექანიზმის ერთიანობას, რომლის დროს გამორიცხულია კონკურენცია და მათ შორის ურთიერთობა აგებულია ურთიერთ დახმარებისა და თანამშრომლობის პრინციპებზე.

სახელმწიფო საკუთრების საერთო-სახალხო ხასიათი ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმის აღიარებას, რომ იგი განვითარების თვალსაზრისით დამთავრებული პროცესია და კომუნისტური საკუთრების ერთგვარობა.

სოციალიზმის დროს სახელმწიფო საკუთრება გულისხმობს ყველა ადამიანის თანაბარ უფლებას წარმოების საშუალებათა გამოყენების თვალსაზრისით, ყველა ამ საკუთრების თანამფლობელია. თუ თანაბრობას აქვს ადგილი მატერიალური დოვლათის წარმოებისას, არათანაბრობაა მისი განაწილების დროს. სახელმწიფო საწარმოებში წარმოებული მატერიალური დოვლათის ერთი ნაწილი ამ კოლექტივის ინტერესებს ემსახურება, მეორე ნაწილი კი მთელი საზოგადოების საჭიროებისათვის გამოიყენება.

სახელმწიფო საკუთრების არასრული, საერთო-სახალხო ხასიათი ვლინდება იმაშიც, რომ საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების გამოყენება ჯერ კიდევ ვერ ხდება შრომის რაოდენობისა და ხარისხის გაუთვალისწინებლად, მოთხოვნების მიხედვით. მართალია, ამ ფონდების ერთი ნაწილი, რომელიც უფასო დახმარების სახით არსებობს (ჯანმრთელობის დაცვა, განათლება და სხვ.), ნაწილდება მოთხოვნების მიხედვით, მაგრამ მეორე ნაწილი, წარმოდგენილი ფასიანი დახმარების სახით (პენსიები, სტიპენდიები, სხვა მატერიალური დახმარებანი), ნაწილდება შრომის რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით. მაგალითად პენსიების ოდენობა დამოკიდებულია საპენსიო ასაკის მიღწევამდე მუშაკის საშუალო წლიურ გამოიმუშავებაზე.

სოციალისტური მშენებლობის პროცესში იზრდება სახელმწიფო საკუთრების მოცულობა, ტექნიკურ პროგრესს თან სდევს მისი სტრუქტურის ცვლილე-

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 411.

ბა. ადგილი აქვს სახელმწიფო საკუთრების განსაზოგადოების დონის ამაღლებას.

სახელმწიფო საკუთრების განსაზოგადოების პროცესი განხილულ უნდა იქნეს როგორც საწარმოო ძალების, ისე წარმოებით ურთიერთობათა ზეგავლენის მიხედვით.

სახელმწიფო საკუთრების განსაზოგადოების დონის ამაღლებაზე საწარმოო ძალების მოქმედება გამოიხატება შემდეგ მაჩვენებლებში: ძირითადი ფონდების რაოდენობრივი ზრდა და ხარისხობრივი გაუმჯობესება; წარმოების სპეციალიზაციის, კოოპერაციის და შრომის დანაწილების გაღრმავება; ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება და სხვ.

წარმოებით ურთიერთობათა ხაზით სახელმწიფო საკუთრების განსაზოგადოება გამოიხატება წარმოების გეგმიანობის ამაღლებაში, წარმოების ორგანიზაციის ფორმათა სრულყოფაში, საკუთრების ფორმების, ქალაქსა და სოფელს შორის სოციალური ნიშნების მიხედვით დაახლოებაში; მატერიალური დოვლათის დანაწილების ფორმის სრულყოფაში; მუშებსა და გლეხებს შორის საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების გამოყენებისას არსებული განსხვავების დაძლევაში და სხვ.

სახელმწიფო საკუთრების წამყვან როლზე და მისი განსაზოგადოების დონის შემდგომი ამაღლებაზე მიუთითებს სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო საწარმოთა—საბჭოთა მეურნეობების რიცხვის ზრდა, რომელიც შედეგია როგორც ახალი მეურნეობების ჩამოყალიბებისა, ისე ზოგიერთ კოლმეურნეობათა საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნისა. კერძოდ, 1970 წელს საბჭოთა მეურნეობათა რიცხვი რესპუბლიკაში შეადგენდა—232; 1975 წელს 283; 1976 წელს 318; 1977 წელს 430, 1978 წელს—431; ე. ი. 1978 წელს საბჭოთა მეურნეობების რიცხვი 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 85,7%-ით.

საბჭოთა მეურნეობებში წარმოების განსაზოგადოების ამაღლებაზე მეტყველებს ძირითადი ფონდების განუზრეღი ზრდა. თუ 1970 წელს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში ძირითადი ფონდების მოცულობამ შეადგინა 72861 ათასი მანეთი; 1975 წელს იგი გაიზარდა 67,3%-ით და მიაღწია 1218434 ათას მანეთს; 1976 წელს — 1473424 ათას მანეთს; 1977 წელს — 1613893 ათას მანეთს; 1978 წელს — 1731899 ათას მანეთს. ე. ი. 1970 წელთან შედარებით იგი გაიზარდა 137,8%-ით.

საბჭოთა მეურნეობებში წარმოების განსაზოგადოების ამაღლების მაჩვენებელია კონცენტრაციის ამაღლება, რაც მიწის ფართობის მოცულობის ზრდასა და სტრუქტურის გაუმჯობესებაში გამოიხატება⁶.

დასახელება	1970 წ.	1975 წ.	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.
მიწის საერთო ფართობი (ჰა)	1122088	1383755	1722900	1618834	1923245
მ. შ. სასოფლო-სამეურნეო სავარსკლავი (ჰა)	700780	989491	1129100	1140357	1314686
მ. შ. სახნავი (ჰა)	204457	246862	296600	301589	296755

⁶ 1970—78 წწ. საბჭოთა მეურნეობის რესპუბლიკური ჟურნალი.

როგორც ვხედავთ, მიწის საერთო ფართობი 1978 წელს, 1970 წელთან შედარებით, გაიზარდა 71,3%-ით, მათ შორის. სასოფლო-სამეურნეო საეარგულების მოცულობა — 87,6%-ით, ხოლო სახნავის მოცულობა 45,1%-ით.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მიწის საერთო ფართობის დაახლოებით 66% მოდის საბჭოთა მეურნეობებზე.

წარმოების განსაზოგადოების ამაღლებას ახასიათებს პირუტყვის კონცენტრაციის დონის ზრდა, რომელიც წლების მიხედვით რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში შეადგენს⁷:

წლები	მსხ. რქოს. პირუტყვი /ათასი სულ/	ლორი /ათასი სულ/	ცხვარი და თხა /ათასი სულ/	ფრინველი /ათას/
1970	170594	67788	357314	2401
1975	229856	94292	439179	8370
1976	272694	112203	565596	5968
1977	293962	135038	489035	5229
1978	306301	149732	495235	6359

როგორც ჩანს, 1978 წელს საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 1970 წელთან შედარებით გაიზარდა 79,5%-ით, ღორის, შესაბამისად 120%-ით, ხოლო ფრინველის თითქმის 3-ჯერ.

სახელმწიფო საკუთრების განსაზოგადოების ამაღლებას როგორც აღნიშნულთა ახასიათებს ძირითადი საწარმოო ფონდების მოცულობის ზრდა. ამასთან, ამ პროცესს თან სდევს მათი ხარისხობრივი გაუმჯობესებაც, რაც მათში აქტიური ფონდების ხვედრითი წილის ამაღლებაში გამოიხატება, კერძოდ, 1970 წელს საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების საერთო მოცულობაში აქტიური ფონდები შეადგენენ მხოლოდ 8,7%-ს, 1975 წელს 11,3%; 1976 წელს—11,4%; 1977 წელს 11,6%-ს, ხოლო 1978 წელს 11,8%-ს. ეს ფაქტიც მეტყველებს სახელმწიფო საკუთრების განსაზოგადოების დონის ამაღლებაზე.

სახელმწიფო საკუთრების განსაზოგადოების დონის ამაღლების პროცესი დაჩქარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში საწარმოო კოოპერაციისა და ინტეგრაციის პროცესის სწრაფი განვითარებით. თანდათან იზრდება იმ სახელმწიფო საწარმოთა და საბჭოთა მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც მონაწილეობენ სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციაში.

ითვლება რა განსაზოგადოების დონის ამაღლების ახალ ფორმად, სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია და აგროსამრეწველო ინტეგრაცია, წარმოებისა და შრომის განსაზოგადოების ამაღლებით, სოციალისტური საკუთრების ფორმათა შემდგომ დაახლოებას იწვევს. ჩვენს რესპუბლიკაში სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციას თან სდევს მათში მონაწილე საბჭოთა მეურნეობების რიცხვის ზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობით რესპუბლიკაში მოქმედებს 14 სამეურნეობათაშორისო გაერთიანება 176 საბჭოთა მეურნეობით, ხოლო შერეული ტიპის 222 სამეურნეობათაშორისო გაერთიანებაში საბჭოთა მეურნეობების რიცხვია 893 ანუ მონაწილე მეურნეობათა 21,2%.

⁷ 1970—1978 წწ. საბჭოთა მეურნეობის რესპუბლიკური ჟღმლი.

საწარმოო ძალების განვითარების შედეგად სახელმწიფო საკუთრების განსაზოგადოების ამაღლება ასახვას პოულობს საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების ხვედრითი წილის ზრდაში. ამ მხრივ, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში ასეთი სურათი გვაქვს: სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ფონდის მოცულობა 1975 წელს 3,614 ათასი მანეთიდან გაიზარდა 1976 წელს 4462 ათას მანეთამდე. ხოლო 1978 წელს, 1975 წელთან შედარებით, გაიზარდა 3-ჯერ და მიაღწია 10,865 ათას მანეთს.

სოციალისტური საკუთრების განსაზოგადოების ამაღლებას იწვევს: საკუთრების ფორმების დაახლოება, სოციალისტურ საწარმოთა გეგმიანობის ამაღლება, წარმოების ორგანიზაციულ ფორმათა სრულყოფა, ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ განსხვავებათა თანდათანობით დაძლევა და სხვ.

საზოგადოებრივი წარმოების ზრდის მაღალი ტემპი, ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი სტრუქტურული ძვრები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ეკონომიკური კავშირთა თვითობის გაფართოება გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს სახალხო მეურნეობის გაძლიერების მეთოდებსა და ფორმებს. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად შემუშავებულ იქნა ურთიერთდაკავშირებული გეგმების ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამას. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს. სოციალისტურ საწარმოთა გეგმიანობის ამაღლების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის შემოქმედების გაძლიერების შესახებ“. ამ დადგენილებით გათვალისწინებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმების შედგენისადმი კომპლექსური მიდგომის გაძლიერება. სხვადასხვა კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნობრივი პროგრამები თანდათან გახდება ხუთწლიანი გეგმების შემადგენელი ნაწილი. გეგმების სხვადასხვა ვარიანტის შემუშავებისა და საგეგმო გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციის მიზნით დადგენილებაში გათვალისწინებულია საპროგრამო პრაქტიკაში საგეგმო გაანგარიშებათა მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის დასახული ღონისძიებებით და დაგეგმვის სისტემის გარდაქმნა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ სოციალისტური საკუთრების ორივე ფორმა განიცდის სრულყოფას, განსაზოგადოების დონეთა ამაღლებას.

სოციალისტური საკუთრების ფორმების დაახლოების პროცესი საკომ-მეურნეო-კოოპერაციული საკუთრების განსაზოგადოების ამაღლებასთან ერთად სახელმწიფო საკუთრების განსაზოგადოების ამაღლებასაც გულსახმობს. სოციალისტური საკუთრების ფორმების დაახლოებისა და შემდგომი განვითარების პროცესი მრავალ მარჯვენებელში აისახება. წარმოების ორივე სექტორში შრომის განსაზოგადოების დონის ამაღლება იწვევს სასოფლო-სამეურნეო შრომის გარდაქმნას შრომის ინდუსტრიულ შრომის ნაირსახეობად, მექანიზებული შრომის ხვედრითი წილის გაზრდას საერთო და მთელ სასოფლო-სამეურნეო შრომაში.

მექანიზაციის დონეთა მიხედვით სოციალისტური საკუთრების განსაზოგადოების დონეთა გამოთანაბრება ნათლად ჩანს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მავალითზე. კერძოდ, თუ 1970 წელს საბჭოთა მეურნეობებში კულტურების თესვა, მოსავლის აღება და ჩითილების რგვა მექანიზებული იყო 26,5%-ით, კოლმეურნეობებში კი-29,6%-ით, ეს მაჩვენებლები 1978 წელს შეადგენდა შესაბამისად 67,2 და 31,1%-ს. 1970 წელს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებული იყო 58%, კოლმეურნეობებში-23%, ხოლო 1978 წელს შესაბამისად 64 და 38,4%. ასევე, საბჭოთა მეურნეობებში მიწების მორწყვა 1970 წელს მექანიზაციით შეადგენდა 15,6%-ს, კოლმეურნეობებში-13,3%-ს, ხოლო 1978 წელს მისი ხვედრითი წილი გაიზარდა და შეადგინა შესაბამისად 27,7 და 15,1%.

მექანიზაციის დონე ზრდადი ტემპით ხასიათდება წარმოების ორივე სექტორის მეცხოველეობაშიც. მაგ., 1970 წელს მსხვილფეხა რქ. პირტყვის საერთო რაოდენობის 29,3%-ს საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებულად მიეწოდებოდა წყალი, 1978 წელს კი—საერთო სულადობის 40%-ს. კოლმეურნეობებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა შესაბამისად 23,9-დან 41,3%-მდე.

ამრიგად, მექანიზაციის დონეთა ამაღლება და სოციალისტურ საწარმოთა ამ მაჩვენებლების მიხედვით დაახლოება მიუთითებს განსაზოგადოების დონეთა ამაღლებაზე ორივე სექტორში.

სოციალისტური საკუთრების ფორმების განსაზოგადოების ამაღლებისა და მათი ერთმანეთთან დაახლოების განხორციელების საწინდარია კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ზრდა. ამ მხრივ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო კაპიტალურ დაბანდებათა გადანაწილება სოფლის მეურნეობის სასარგებლოდ. უკანასკნელ ხუთწლედში, სოფლის მეურნეობაში კაპიტალურმა დაბანდებამ შეადგინა 17.000 მლნ. მანეთი. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, 1918 წლიდან 1980 წლამდე, კაპიტალურმა დაბანდებებმა შეადგინა 477,988 მლნ. მანეთი, მარტო უკანასკნელ მეთათე ხუთწლედში მისი მოცულობა ამ საერთო დაბანდებათა 35,7%-ს შეადგენს.

განსაზოგადოების დონეთა გამოთანაბრება წარმოების ორ სექტორს შორის მოითხოვს, რომ საკოლმეურნეო-კოოპერაციულ მეურნეობებში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის ტემპი გარკვეულ პერიოდამდე წინ უსწრებდეს სახელმწიფო საწარმოებში დაბანდებათა ზრდის ტემპს. ამ მხრივ რესპუბლიკაში ასეთი მდგომარეობა გვაქვს: 1970 წელთან შედარებით 1971 წელს სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდა შეადგენდა 4%-ს, კოლმეურნეობებში 6%-ს. 1972 წელს-5 და 8%-ს, 1973 წელს-5 და 17%-ს, 1974 წელს-12 და 22%-ს; 1975 წელს-18 და 35%-ს, ხოლო 1976 წელს-27 და 18%-ს. ანუ 1971—76 წლებში საშუალოდ კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის ტემპი სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებში შეადგენდა 11,8%-ს, ხოლო კოლმეურნეობებში-17,6%-ს.

ამასთან, განსაზოგადოების დონეთა გამოთანაბრება და შემდგომი ამაღლება მხოლოდ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გაზრდით როდი გამოიხატება. აუცილებელია ამ დაბანდებათა რაც შეიძლება ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენება. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ზრდა და

სტრუქტურის ცვლილება სოციალისტურ საწარმოთა განსაზოგადოების ამაღლების პირობაა.

სოციალისტური საკუთრების ფორმების განსაზოგადოების დონეთა ამაღლება იწვევს ქალაქსა და სოფელს შორის, მუშებსა და გლეხებს შორის არსებულ სოციალურ განსხვავებათა დაძლევას. საქმე ეხება ქალაქად და სოფლად საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების გამოყენებაში არსებულ განსხვავებათა დაძლევას. ეს განსხვავება აისახება ქალაქად და სოფლად მცხოვრებთათვის სამედიცინო მომსახურების, საავადმყოფოებისა და სანატორიუმების რაოდენობის, კულტურულ ღონისძიებათა ქსელის მოცულობის, შესრულებულ საყოფაცხოვრებო მომსახურების დონეთა არაერთგვაროვნებაში. ამ მხრივ განსხვავებათა დაძლევა კი გულისხმობს განსაზოგადოების სრულყოფას საკუთრების ორივე ფორმისათვის.

სოციალისტური საკუთრების განსაზოგადოების პროცესის განხილვას საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ელემენტების დიალექტიკურ ერთიანობაში მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი ამაღლების პროცესი აუცილებლად იწვევს როგორც საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ისე სახელმწიფო საკუთრების განსაზოგადოების ამაღლებას. მათი განსაზოგადოების ამაღლებისა და დონეთა გამოთანაბრების პროცესი კი სოციალისტური საკუთრების ფორმების დაახლოებისა და საერთო-სახალხო საკუთრებად შერწყმის წინაპირობას წარმოადგენს.

საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება და წარმოების განსაზოგადოების ამაღლება იწვევს სოციალისტური საკუთრების ფორმების თანდათან დაახლოებას. საერთო სახალხო საკუთრების ჩამოყალიბების პროცესი მოითხოვს გარკვეულ ცვლილებებს ქვეყნის ეკონომიკის საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარებაში.

სოციალისტური საკუთრების კომუნისტურ საკუთრებაში გადასვლა ორ ეტაპს მოიცავს: 1) სოციალისტური საკუთრების ფორმების საფუძველზე ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრების ჩამოყალიბება; 2) საერთო სახალხო საკუთრების გადაზრდა კომუნისტურ საკუთრებაში. საერთო-სახალხო საკუთრების ჩამოყალიბების შესახებ ეკონომისტთა შორის სხვადასხვა აზრი არსებობს. საერთო-სახალხო საკუთრების ჩამოყალიბების ერთ-ერთ გზად დასახელებულია კოლმეურნეობების გარდაქმნა საბჭოთა მეურნეობებად ორგანიზაციული ღონისძიებებით და არა მათი ეკონომიკური განვითარების შედეგად. ეკონომიკაში ორგანიზაციულ გარდაქმნათა განხორციელება მატერიალური ტექნიკური ბაზის შესაბამისი დონის მიუღწევლად ყოველთვის ცუდი ეკონომიკური შედეგით მთავრდებოდა. ასე მოელოდა კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნის იდეასაც. კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად ხელოვნური გარდაქმნა უარყოფდა იმ გრანდიოზულ შესაძლებლობებს, რომლებიც საკოლმეურნეო წარმოებას გააჩნდა. კოლმეურნეობების შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენა, მისი ეკონომიკის სწრაფი ამაღლება ითვლება სწორ გზად საერთო-სახალხო საკუთრების ჩამოყალიბებისათვის.

საერთო-სახალხო საკუთრების ჩამოყალიბების ერთ-ერთ გზად მიჩნეული იყო კოლმეურნეობათა გაერთიანება საკავშირო მასშტაბით.



ასეთი საკავშირო საკოლმეურნეო გაერთიანების შექმნას ხსნიდნენ სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი კოლმეურნეობებისათვის შემოსავლების გამოთანაბრების აუცილებლობით, როდესაც მოხდებოდა ძლიერი კოლმეურნეობებისაგან სუსტი კოლმეურნეობების დახმარება. მართალია ეს პირველ ხანებში გამოიწვევდა კოლმეურნეობების შემოსავლების გამოთანაბრებას, მაგრამ შემდგომში ძლიერ კოლმეურნეობათა დაინტერესების პრინციპი შესუსტდებოდა და ამით მთელი ეკონომიკის წინსვლაც შეფერხდებოდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საკავშირო გაერთიანების შექმნით მათი საკუთრება საერთო-სახალხო საკუთრებად ცხადდებოდა, რაც არასწორია. საერთო-სახალხო საკუთრების ჩამოყალიბება რთული ისტორიული პროცესია. იგი გულისხმობს საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობაში ყოფნას და ამ შესაბამისობის დარღვევა სასურველ შედეგს არ მოგვეცემს.

საკუთრების ფორმების განვითარებაში ამოსავალი უნდა იყოს საწარმოო ძალების მალალი დონე.

სოციალისტური საკუთრების ფორმების საერთო-სახალხო საკუთრებად გადაზრდა ხორციელდება საკუთრების ორივე ფორმის განუხრელი განვითარებით. ამასთან, არსებობს რა განსხვავება განსაზოგადოების დონეთა შორის, მათი შემდგომი გამოთანაბრებისათვის აუცილებელია საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების წინ გამსწრები ტემპი სახელმწიფო საკუთრებასთან შედარებით. საერთო-სახალხო საკუთრების ჩამოყალიბებისა და მისი კომუნისტურ საკუთრებაში გადასვლის პროცესი ეკონომიკურ ლიტერატურაში მრავალი ტერმინით ხასიათდება, როგორცაა: „დაახლოება“ „შეერთება“, „შერწყმა“, „გადაზრდა“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინები იგივეობრივი კი არაა, არამედ სოციალისტური საკუთრების განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მიუთითებენ, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, თუ მათ დავალაგებთ ისე, რომ აღნიშნავდნენ საკუთრების ფორმების თანმიმდევრულ განვითარებას კომუნისტურ საკუთრებამდე.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების პირველდაწყებითი ეტაპი უკავშირდება საკუთრების ორი ფორმით ჩამოყალიბებას. ამ პერიოდიდან დღემდე საკუთრების ფორმები განიცდიან განვითარებას, როგორც საწარმოო ძალების ისე წარმოებით ურთიერთობათა მიხედვით. ამ პერიოდში სახელმწიფო საკუთრება წამყვან როლს თამაშობს, ეხმარება საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საკუთრებას განვითარებაში და ამით ადგილი აქვს მათი დაახლოების პროცესს. რამდენადაც სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საკუთრებას შორის ვარკვეული განსხვავება არსებობს, იმდენად მათი დაახლოების პროცესი ძალაშია მანამ, სანამ არ მოხდება საერთო-სახალხო საკუთრების ჩამოყალიბება. ამრიგად, „დაახლოების“ პროცესი ახასიათებს საკუთრების ფორმების განვითარებას საერთო-სახალხო საკუთრების ჩამოყალიბებამდე. ამ ეტაპზე „დაახლოების“ პროცესს თან ახლავს საკუთრების ფორმათა „შეერთება“, რომლის მაგალითია სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის ფორმირება. ეს „შეერთება“ უბრალო მექანიკური შეერთება კი არაა, არამედ გულისხმობს საკუთრების როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მომწიფებას.

სოციალისტური საკუთრების განვითარების შემდგომი ეტაპი „შერწყმაში“ ვლინდება. იგი გამოხატულებას პოულობს აგროსამრეწველო ინტეგრაციის



ფორმირებაში. ამასთან, ამ დროს საკუთრების სრული შერწყმა ჯერ კიდევ არ მომხდარა. ადგილი აქვს საკუთრების ფორმების შერწყმის პირველ სტადიას. აგროსამრეწველო ინტეგრაცია საერთო-სახალხო საკუთრების ჩამოყალიბებას კი არ გულისხმობს, არამედ იგი უფრო მეტად იძენს საერთო-სახალხო საკუთრების ნიშნებს. მას შემდეგ, რაც აგროსამრეწველო გაერთიანებებში საერთო სახალხო საკუთრების ელემენტები გაბატონებულ პოზიციას დაიჭირენ ადგილი ექნება „შერწყმის“ საბოლოო სტადიას და ასეთი გაერთიანება საერთო-სახალხო საკუთრება გახდება.

ამრიგად, ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრების ჩამოყალიბება ხასიათდება შემდეგი ტერმინებით: სახელმწიფო საკუთრება >> „დაახლოება“ → „შეერთება“ → „შერწყმა“ ორი სტადიით → ერთიანი საერთო სახალხო საკუთრება → „გადაზრდა“ კომუნისტურ საკუთრებაში.

ერთიანი საერთო სახალხო საკუთრების ჩამოყალიბების შემდეგ ადგილი აქვს მის „გადაზრდას“ კომუნისტურ საკუთრებაში.

ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრების განსხვავება კომუნისტური საკუთრებისაგან იმის შესაძლებლობასაც გულისხმობს, რომ მისი ჩამოყალიბება და მთავრდეს განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ეს კი დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპებზე, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ფორმირების დაჩქარებაზე, სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საწარმოთა ეკონომიკის აღმავლობაზე და სხვ.

Т. Т. КОЧИАШВИЛИ

ДАЛЬНЕЙШЕЕ ПОВЫШЕНИЕ УРОВНЯ ОБОБЩЕСТВЛЕНИЯ ФОРМ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ СОБСТВЕННОСТИ

Резюме

В период строительства социалистической экономики происходит обобществление форм собственности. По теории марксизма-ленинизма, процесс обобществления собственности должен быть рассмотрен в диалектическом единстве производительных сил и производственных отношений.

Ведущую роль в сближении форм социалистической собственности выполняет государственная собственность. В противовес заявлениям некоторых экономистов, вместе с обобществлением колхозно-кооперативной собственности обобществляется и государственная собственность.

Укрепление и совершенствование уровня обобществления государственной и колхозно-кооперативной собственности ведет к формированию общенародной собственности.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგრარულ პრობლემათა განყოფილებამ

დავით კურბანიძე

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობის საძირკვენი საჭარბოვალის სსრ მანქანათმშენებელ მრეწველობაში

სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ „პარტიის ეკონომიური სტრატეგიის ღებძი, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც მეათე ხუთწლედს, ისე ხანგრძლივ პერსპექტივასაც, ის არის, რომ კიდევ უფრო გავზარდოთ ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, გავაძვაროთ და ძირეულად გავაახლოთ საწარმოო ფონდები, უზრუნველვყოთ მძიმე მრეწველობის, ეკონომიკის საძირკვლის მყარი შეწონასწორებული ზრდა“¹.

თანამედროვე პერიოდში, საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებისათვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება უკვე შექმნილი, ძირითადი საწარმოო ფონდების რაციონალური გამოყენების პრობლემას. შრომის საშუალებების ეფექტური გამოყენებით მიიღწევა პროდუქციის გამოშვების მოცულობის ზრდა დამატებითი კაპიტალური დაბანდებების გარეშე. იმისათვის, რომ გადაიჭრას ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების ამოცანა, საჭიროა გავგაჩნდეს მათი გამოყენების ეფექტურობის შეფასების მაჩვენებლები.

ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტურობა განისაზღვრება ღირებულებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემით. როგორც ცნობილია, ღირებულებით მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენებას, მიეკუთვნება ფონდტუგება, ფონდტევადობა, ძირითადი ფონდების რენტაბელობა. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ახასიათებენ ცალკეული სახის ძირითადი ფონდების გამოყენებას.

ეკონომიკური რეფორმის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების როგორც ღირებულებითი, ისე ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების როლი და მნიშვნელობა. ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები თუმცა ვერ იძლევიან მთლიან წარმოდგენას ძირითადი ფონდების გამოყენების შესახებ, მაგრამ, მათი გამოყენებით შეიძლება გამოვლინდეს წარმოების რეზერვები და განისაზღვროს მათი უკეთ გამოყენების გზები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენებას ეფექტურობის განსაზღვრისათვის საჭიროა გამოყენებული იქნეს არა ერთი რომელიმე მაჩვენებელი, არამედ ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ურთიერთს განაპირობებენ. უპირატესი მნიშვნელობა აქვს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ღი-

¹ სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 56—57.

რებულებით მაჩვენებლებს. ისინი წარმოადგენენ სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის საფუძველს. ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობა, ისევე როგორც კაპიტალური დაბანდებისა, უნდა განისაზღვროს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის კრიტერიუმის გათვალისწინებით.

ცხრილი 1

საქართველოს სსრ მანქანათმშენებელ მრეწველობაში ფონდუკუგების დინამიკა 1965—1976 წწ.
(განავარიშებულია მთლიანი პროდუქციის მიხედვით (მან. კაპ.)

მანქანათმშენებელი მრეწველობის ქვედარგები	წლები											
	1965	1966	1967	1968	1969	1970	1971	1972	1973	1974	1975	1976
მანქანათმშენებელი მრეწველობა მთლიანად	1,82	1,91	1,94	1,93	1,89	1,91	1,77	1,71	1,83	1,89	1,79	1,63
მათ შორის:												
ელექტროტექნიკური მრეწველობა	2,65	2,83	2,68	2,68	2,60	2,61	2,28	2,15	2,29	2,33	2,23	1,92
ჩარხმშენებელი და ინსტრუმენტული მრეწველობა	1,19	1,15	1,43	1,30	1,26	1,37	1,49	1,55	1,63	1,65	1,57	1,47
ხელსაწყოთმშენებლობა	1,47	1,90	1,52	1,71	2,01	1,80	1,75	1,79	2,64	2,84	2,78	2,12
ავტომობილმშენებელი მრეწველობა	1,43	1,50	1,55	1,79	1,75	1,80	1,81	1,82	1,85	1,88	1,68	1,70
ტრაქტორებისა და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა	0,42	1,40	1,60	1,46	1,10	1,17	1,43	2,17	2,04	2,07	2,22	2,34
მსოფლიო და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობა	1,58	1,70	2,14	2,04	2,21	2,07	1,58	1,44	1,43	2,66	1,55	1,36
საამშენებლო-საგზო და კომუნალური მანქანათმშენებლობა	1,84	1,47	1,29	1,24	1,15	1,15	1,17	1,22	1,23	1,29	1,30	1,31
ამწე ტრანსპორტის მანქანათმშენებლობა	3,43	3,47	3,69	4,43	4,72	4,84	5,18	5,14	4,34	4,89	4,30	3,38
სამთო-სამახტე და სამთამადნო მანქანათმშენებლობა	2,08	2,21	2,59	2,56	2,52	2,93	3,20	2,40	2,68	2,77	2,21	1,95
დარგთაშორისი პროდუქციის წარმოება	0,63	0,69	0,75	0,72	0,73	0,69	0,54	0,45	0,47	0,49	0,46	0,45

ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება მაჩვენებელი ფონდუკუგება, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება პროდუქციის ღირებულების ძირითად საწარმოო ფონდებთან ფარდობის დინამიკა. შრომის ფონდშიარაღება გვიჩვენებს თანაფარდობას ძირითად საწარმოო ფონდებსა და მუშათა რაოდენობის ზრდას შორის. ფონდშიარაღების ამალგება არის შრომის მწარმოებლურობის ზრდის მთავარი მატერიალური წინამძღვარი. ამავ დროს, შეიძლება შეიმჩნეს სხვა კანონზომიერებაც, რომლის დროსაც ფონდუკუგება იცვლება შრომის მწარმოებლურობის პირდაპირპროპორციულად. ამგვარად, ფონდუკუგება მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომის მწარმოებლურობასა და ფონდშიარაღებასთან.

განვიხილოთ საქართველოს მანქანათმშენებელ მრეწველობაში ძირითადი

* აქ და ქვემოთ მოტანილი ცხრილები შედგენილია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

ფონდების გამოყენების საკითხები. 1965 — 1976 წლებში საქართველოს მანქანათმშენებელი მრეწველობა ხასილდება ერთ მანეთ ძირითად ფონდებზე პროდუქციის გამოშვების გადიდებით ან სტაბილიზაციით. იგივე შეიძლება ითქვას მის მნიშვნელოვან ქვედარგზე — ჩარხმშენებელ და ინსტრუმენტულ მრეწველობაზე. ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, ზოგიერთ წლებში, შეიმჩნეოდა ფონდუკუების შემცირება (ცხრილი 1).

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს ფონდუკუება მნიშვნელოვნად ამაღლდა ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაში, ტრაქტორებისა და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობაში და სხვა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობის ზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ საანალიზო პერიოდში, ფონდუკუების დონე მნიშვნელოვნად მერყეობდა რაც მრავალ ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორთა ზემოქმედებით არის განპირობებული. იმისათვის, რომ ჩაგვეტარებინა ყოველმხრივი ეკონომიკური ანალიზი, ჩვენ დავაჯგუფეთ ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოები შრომის ფონდშეიარაღების მიხედვით.

პირველ ჯგუფში გაერთიანებული არიან ის საწარმოები, რომელთათვისაც შრომის ფონდშეიარაღება არის 5000 მანეთამდე, მეორეში — 7000 მანეთამდე, მესამეში — 10000 მანეთამდე, მეოთხე ჯგუფში — 14000 მანეთამდე და მეხუთე ჯგუფში — 14 000 მანეთზე ზევით (ცხრილი 2).

ცხრილი 2

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოთა დაჯგუფება შრომის ფონდშეიარაღების დონის მიხედვით 1976 წლისათვის

საწარმოთა ჯგუფები	მუშათა შრომის ფონდშეიარაღება (მან.)	საწარმოთა რაოდენობა ჯგუფებში		მუშათა შრომის ფონდშეიარაღება (საშუალო ჯგუფში)		ფონდუკუება გაანგარიშებული მთლიანი პროდუქციის მიხედვით (საშუალო ჯგუფებში)		ფონდუკუება გაანგარიშებული წინა პრიოდის მიხედვით (საშუალო ჯგუფებში)		შრომის მწარმოებლობა გაანგარიშებული მთლიანი პროდუქციის მიხედვით (საშუალო ჯგუფებში)		შრომის მწარმოებლობა გაანგარიშებული წინა პრიოდის მიხედვით (საშუალო ჯგუფებში)	
		ჯგუფების სვედრითი წონა გამოშვებული პროდუქტის მიხედვით (%)	მან.	%	მან.	%	მან.	%	მან.	%	მან.	%	
		მან.	%	მან.	%	მან.	%	მან.	%	მან.	%		
I	5000 და ნაკლები	5	12,1	3866	53,5	3,17	165,1	1,11	194,7	7234	68,2	3322	105,1
II	5000—7000	6	22,1	5943	82,3	1,95	101,6	0,68	119,3	9195	86,7	3125	98,9
III	7000—10000	4	20,6	8295	114,9	2,75	143,2	0,47	8,25	17190	162,0	2993	94,7
IV	10000—14000	3	20,7	11097	153,6	1,59	82,2	0,39	68,4	14043	132,3	1877	59,4
V	14000 და მეტი	2	24,4	10510	270,2	0,86	44,8	0,18	31,6	9300	87,7	1965	62,2
	ელექტროტექნიკური მრეწველობა მთლიანად		100	7220	100	1,92	100	0,57	100	10610	100	3160	100

აღმოჩნდა, რომ ფონდშეიარაღების ზრდასთან ერთად ფონდუკუების მაჩვენებელი მცირდება და იზრდება შრომის მწარმოებულობა. ამასთან, შეიმჩნევა შემდეგი კანონზომიერება: მეხუთე ჯგუფის საწარმოებში, სადაც ფონდშეიარაღება 5-ჯერ მაღალია პირველთან შედარებით, ფონდუკუება (განგარიშებული მთლიანი პროდუქციის მიხედვით) 3,7-ჯერ დაბალია. ასეთივე

კანონზომიერება შეიმჩნევა ფონდშეიარაღებასა და ფონდუკუგებას შორის გაანგარიშებული წმინდა პროდუქციის მიხედვით. მეხუთე ჯგუფის საწარმოებში ფონდუკუგება იყო 6,2-ჯერ მცირე პირველთან შედარებით. დაბალი ფონდშეიარაღების საწარმოებში, რომელთა პროდუქციის ხვედრითი წონა ელექტროტექნიკური მრეწველობის მთლიან პროდუქციაში შეადგენს 12,1% ფონდუკუგება 1,6-ჯერ აღემატება ქვედარგის დონეს. მეორე ჯგუფის საწარმოებში (პროდუქციის ხვედრითი წონა 22,1%). ფონდუკუგება თითქმის ემთხვევა ელექტროტექნიკური მრეწველობის ფონდუკუგებას, ხოლო 14 000 მანეთისა და მეტი ფონდშეიარაღების საწარმოთა ჯგუფში ფონდუკუგება დაბალია 2,2-ჯერ. ასევე შეიძლება გაანალიზდეს ფონდშეიარაღებისა და წმინდა პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდუკუგებას შორის დამოკიდებულება. ანალოგიური მდგომარეობა შეიმჩნევა ჩარხმშენებელ და ინსტრუმენტულ მრეწველობაში. ცხრილი 2-დან ჩანს, თუ როგორ იცვლება შრომის მწარმოებლურება ფონდშეიარაღების ცვლილებით. შეინიშნება პირდაპირი დამოკიდებულება

ცხრილი 3

საქართველოს სსრ მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	1970 წ. % წლიან შე- დარებით	1975 წ. % წლიან შე- დარებით
მანქანათმშენებელი მრეწველობა მთლიანად		
შრომის ფონდშეიარაღება	119,5	141,3
შრომის მწარმოებლურობა მთლიანი პროდუქციის მიხედვით	134,3	129,7
შრომის მწარმოებლურობა წმინდა პროდუქციის მიხედვით	132,1	152,8
ფონდუკუგება მთლიან პროდუქციის მიხედვით	114,4	92,1
ფონდუკუგება წმინდა პროდუქციის მიხედვით	113,7	110,6
ელექტროტექნიკური მრეწველობა		
შრომის ფონდშეიარაღება	125,6	142,4
შრომის მწარმოებლურობა მთლიანი პროდუქციის მიხედვით	124,9	120,2
შრომის მწარმოებლურობა წმინდა პროდუქციის მიხედვით	125,7	134,5
ფონდუკუგება მთლიანი პროდუქციის მიხედვით	98,5	84,2
ფონდუკუგება წმინდა პროდუქციის მიხედვით	103,8	93,4
ჩარხმშენებელი და ინსტრუმენტული მრეწველობა		
შრომის ფონდშეიარაღება	136,5	138,9
შრომის მწარმოებლურობა მთლიანად პროდუქციის მიხედვით	154,7	138,6
შრომის მწარმოებლურობა წმინდა პროდუქციის მიხედვით	138,3	145,4
ფონდუკუგება მთლიანი პროდუქციის მიხედვით	115,1	98,7
ფონდუკუგება წმინდა პროდუქციის მიხედვით	102,2	103,4

ბა ამ მაჩვენებლებს შორის. ფონდშეიარაღების ზრდით შრომის მწარმოებლურობა იზრდება. მაგალითად, იმ საწარმოთა ჯგუფებში, რომელთა ფონდშეიარაღება იცვლება 5000 — 7000 მანეთიდან 7000 — 10000 მანეთამდე, შრომის მწარმოებლურობა იზრდება 2,4-ჯერ. 14000 მანეთამდე ფონდშეიარაღების



ზრდით უკვე არ შეინიშნება შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი ზრდა. თუმცა, არ შეიძლება კატეგორიულად მტკიცება იმისა, რომ საწარმოები 10. 000 მანეთი ფონდშეიარაღებით შრომის მწარმოებლურობის დონის თვალსაზრისით ითვლება ეფექტურად და შემდგომ ფონდშეიარაღების ზრდა მიზანშეუწონელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდა, მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის რაოდენობისა და პროდუქციის მოცულობის გადიდება. საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დინამიკა, როგორც წესი, არათანაბარზომიერად მიმდინარეობს, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს ფონდშეიარაღების მაჩვენებელსა და წარმოების ეფექტურობაზე. ამიტომ, აქ ახლა უპრიანია განვიხილოთ თუ რა ცვლილებებს ჰქონდა ადგილი საქართველოს სსრ მანქანათმშენებელ მრეწველობაში მერვე და მეცხრე ხუთწლეულებში. როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს მანქანათმშენებლობის დარგში მთლიანად, აგრეთვე ელექტროტექნიკურ მრეწველობაშიც შრომის ფონდშეიარაღება მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხრე ხუთწლეულში, წინა ხუთწლეულთან შედარებით, ხოლო ჩარხმშენებელ და ინსტრუმენტულ მრეწველობაში — რამდენადმე შემცირდა. მეცხრე ხუთწლეულში მანქანათმშენებლობაში შრომის ფონდშეიარაღება, შრომის მწარმოებლურობასთან შედარებით, უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდა, რამაც გამოიწვია ფონდლუკუვების შემცირება. ასეთივე სურათი შეიმჩნევა ელექტროტექნიკურ მრეწველობაშიც. ჩარხმშენებელ და ინსტრუმენტულ მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი მეცხრე ხუთწლეულში შეადგენდა 10,8%, ხოლო მერივეში — 6,9%, ფონდლუკუვების, შესაბამისად, — 2,3% და 3,5%. მნიშვნელოვნად გაიზარდა წმინდა პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდლუკუვების ზრდის ტემპი მეცხრე ხუთწლეულში. უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდლუკუვების ნამეტის მაღალი საშუალო წლიური ტემპი მერვე ხუთწლეულში, საერთოდ, მანქანათმშენებლობის დარგში და, კერძოდ, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში აიხსნება მატერიალური დანახარჯების ზევდრითი წონის შემცირებით მთლიან დანახარჯებში და, მათთანადავ, წმინდა პროდუქციის ზრდის უფრო მაღალი ტემპით მთლიან პროდუქციასთან შედარებით.

შრომის მწარმოებლურობისა და ფონდლუკუვების ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ცვლილება, დღის წესრიგში სვამს შრომითი რესურსების და ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებლების ერთ განმარტვადებელ მაჩვენებელში გამოსახვის ამოცანას.

ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტურობის ღირებულებითი მაჩვენებლების დახმარებით ანალიზის დროს აუცილებელია შესწავლილ იქნეს სხვადასხვა ფაქტორთა გავლენა ამ მაჩვენებელთა ცვლილებაზე. ფონდლუკუვების გადიდება შეიძლება გამოიწვიოს, მაგალითად, გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტში ძვირადღირებული ნაწარმის ზევდრითი წონის გადიდება, გარე კოოპერირებული მოწოდებების ზევდრითი წონის გადიდება და სხვ. უკანასკნელი ფაქტორი გავლენას არ ახდენს წმინდა პროდუქციის მიხედვით გამოთვლილ ფონდლუკუვებაზე, თუმცა პროდუქციის ასორტიმენტში მაღალი რენტაბელობის ნაწარმის წილის გადიდება იწვევს, აგრეთვე, წმინდა პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდლუკუვების მაჩვენებლის დამახინჯებას. წმინდა პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდლუკუვების მაჩვენებელზე

გავლენას ახდენს გადასამუშავებელი მასალების ღირებულება და რაოდენობა. მაგალითად, წარმოების პროცესში უფრო ძვირადღირებული მასალების გამოყენება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით, აგრეთვე დადგენილ ნორმასთან შედარებით მათი გადახარჯვისას წმინდა პროდუქციის მოცულობა შეფარდებით მცირდება, იაფი მასალების გამოყენება და მათი ეკონომია კი განაპირობებს წმინდა პროდუქციის ზრდას და ამის შესაბამისად იცვლება ფონდუკუგებაც.

მანქანათმშენებლობაში ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობის ღირებულებით მაჩვენებლებზე დიდ გავლენას ახდენს მოქმედებაში ახლადშესული სიმძლავრეები. ამ პირობებში, ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობის სწორი შეფასებისათვის, მიზანშეწონილია ფონდუკუგება გაანგარიშებულ იქნეს ძველი და ახალი ფონდების მიხედვით. ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელთა ცვლილებაზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, ახალი ძირითადი საწარმოო ფონდების ფასების ცვლილება, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს მშენებლობის ღირებულების ცვლილებით. ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულების განსაზღვრისას, რომელიც საჭიროა ფონდუკუგების გასაანგარიშებლად, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ახალი ფონდების ნამეტის შეფარდებით გამოვიკების ფაქტორი.

ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტურობის შეფასება არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მხოლოდ ერთი მაჩვენებლის—ფონდუკუგების გამოთვლამდე როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ მაჩვენებელთა სისტემის მეოხებით (ფონდუკუგება, შრომის მწარმოებლურობა, მასალატევადობა და სხვ.), მათი ფაქტორული ანალიზის გზით შეიძლება განისაზღვროს და შეფასდეს საწარმოს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობა³.

საბჭოთა ეკონომისტები სხვადასხვა თვალსაზრისს გამოთქამენ ფონდუკუგების ცვლილებაზე. ზოგიერთი თვლის, რომ ფონდუკუგების ამაღლება კანონზომიერი მოვლენაა, წარმოების ტექნიკური აღჭურვა პირველად იწვევს ფონდუკუგების შემცირებას, ხოლო შემდეგ ამაღლებას, ფონდუკუგება იცვლება ციკლურად, ფონდუკუგების არათანაბარზომიერი ზრდა კანონზომიერია და ა. შ.⁴

ჩვენ ვიზიარებთ იმ ავტორთა თვალსაზრისს, რომლებიც თვლიან, რომ ფონდუკუგების არათანაბარზომიერი ცვლილება კანონზომიერი მოვლენაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთლიანი პროდუქციის მიხედვით გამოანგარიშებული ფონდუკუგების მაჩვენებელი ყოველთვის ვერ გვიჩვენებს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობას. ამ მაჩვენებლის

³ Улучшение использования основных фондов предприятий. Под ред. Тарасова Н. Н., Каменцера С. Е., Воскресенского Б. В. М., 1977, с. 36.

⁴ Вежнер В. Г., Кваша Я. Б., Ноткин А. И. и др. Производство, накопление, потребление, М., 1965, с. 143; Малышев П. А., Структура и эффективность фонда накопления в СССР, М., 1968, с. 21; Краковский А. И. Эффективность использования основных фондов в машиностроении, М., 1972, с. 19; Алымов В. и др. Повышение эффективности основных производственных фондов — важная задача в угольной промышленности в новой пятилетке. «Экономическая газета», 1966, № 12, с. 23; Саванков В. Н. Технический прогресс и структура основных производственных фондов, М., 1969, с. 107.

შეზღუდულობა შეიმჩნევა განსაკუთრებით იმ საწარმოებში, სადაც ინტენსიურად ხორციელდება ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების ღონისძიებები. მაგალითად, საწარმოში დამხმარე საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია იწვევს ძირითადი ფონდების ღირებულების გადიდებას, მაგრამ პროდუქციის ნამეტს არ იძლევა, ამის შედეგად ფონდუკუგების მაჩვენებელი მცირდება. არ შეიძლება კატეგორიული მტკიცება იმისა, რომ ეს ღონისძიება არაეფექტურია. ტექნიკური პროგრესი ჩვენი შეხედულებით იწვევს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობის გადიდებას, თუმცა ცალკეულ პერიოდში მან შეიძლება გამოიწვიოს ფონდუკუგების შემცირება.

მთლიანი პროდუქციის მიხედვით გამოანგარიშებული ფონდუკუგება გვიჩვენებს ეფექტის ერთ ნაწილს, რომელიც ასახავს პოულობს პროდუქციის გამოშვებაში და არასაკმარისად ასახავს ეფექტის მეორე ნაწილს, რომელიც გლინდება მიმდინარე დანახარჯების შემცირებაში. ამასთან, ამ დანახარჯების შემცირებას პროდუქციის ერთეულზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს ნაციონალური შემოსავლის ზრდისათვის, ვიდრე წარმოების მოცულობის ზრდას. მთლიანი პროდუქციის მიხედვით გამოანგარიშებული ფონდუკუგება არასრულად ასახავს ძირითადი ფონდების რაოდენობრივ მხარეს, ტექნიკური პროგრესს. ეს მაჩვენებელი არა თუ ყოველთვის ვერ ასახავს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობას, არამედ ზოგჯერ გვიჩვენებს საწინააღმდეგო სურათსაც. ასე მაგალითად, დავუშვათ, რომ საწარმოში გაფართოვდა ძირითადი ფონდები და ამის მეოხებით, მიღებულ იქნა იმდენივე პროდუქცია, რამდენიც წინა წელს მნიშვნელოვნად ნაკლები დანახარჯებით და ნაკლები რაოდენობის მომუშავეებით. ამასთან, ფონდუკუგება შემცირდა, მაგრამ გაიზარდა შრომის მწარმოებლურობა და გადიდა მოგება. ცხადია, წინა წელს საწარმომ იმუშავა ნაკლებ ეფექტურად, მაგრამ მთლიანი პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდუკუგება ვერ ასახავს ამ მოვლენას. ასეთი წინააღმდეგობა შეიმჩნევა პრაქტიკაშიც. ასე მაგალითად, თბილისის ვ. ი. ლენინის სახ. ელმავალშენებელ ქარხანაში 1970 — 1976 წლებში იზრდებოდა წმინდა პროდუქციის წარმოება და მოგება ერთ მანეთ ძირითად ფონდებზე. ზრდამ შეადგინა შესაბამისად 20 და 18,25 პუნქტი. შრომის მწარმოებლურობა 1976 წელს, 1965 წელთან შედარებით, გაიზარდა 19,4%-ით მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის რაოდენობა შემცირდა 3,5%-ით. ე. ი. არის ყოველგვარი საფუძველი დავასკვნათ, რომ ძირითადი საწარმოო ფონდები გამოყენებულია ეფექტურად, მაგრამ მთლიანი პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდუკუგება გვიჩვენებს საწინააღმდეგო სურათს. იგი 1976 წელს, 1970 წელთან შედარებით, შემცირდა 12,8 პუნქტით.

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობის განსაზღვრისათვის გამოიყენება პირობით-წმინდა პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდუკუგება, რაც საშუალებას იძლევა გაიზომოს ცალკეული კონკრეტული საწარმოს მუშაკთა შრომითი წვლილი. ამ მაჩვენებელმა ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა გამოყენება, რაც აისხნება პირობით-წმინდა პროდუქციის შესაღარ ფასებში განსაზღვროს ზოგიერთ სირთულეში, მაგრამ მთავარი მიზეზი მდგომარეობს ფასწარმოქმნის სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებში.

ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტურობის განსაზღვრისათვის ზოგიერთი ეკონომისტი გვთავაზობს გამოვიანგარიშოთ ფონდუკუგება მოგების მი-

ხედვით. ამ მაჩვენებლის დახმარებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ძირითადი საწარმოო ფონდების, როგორც რაოდენობრივი (პროდუქციის წარმოების მოცულობა), ისე ხარისხობრივი (თვითღირებულების შემცირება) მხარე, თუმცა ეს მაჩვენებელიც არასაკმარისად ახასიათებს ძირითადი ფონდების გამოყენებას. საქმე ისაა, რომ მოგება, ისე როგორც მთლიანი და წმინდა პროდუქცია, დამოკიდებულია მრავალ ისეთ ფაქტორზე, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობასთან.

საინტერესოა მთლიანი პროდუქციის, პირობით — წმინდა პროდუქციისა და მოგების მიხედვით გამოანგარიშებული ფონდუკუგების დინამიკათა შედარება. თბილისის ს. მ. კიროვის სახ. ჩარხმშენებელ ქარხანაში მთლიანი პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდუკუგება 1976 წელს, 1975 წელთან შედარებით, 18,1%-ით გაიზარდა, ასევე მოხდა თბილისის ინსტრუმენტულ ქარხანაშიც. ზრდამ 1976 წელს, 1966 წელთან შედარებით, შეადგინა 16,8 პუნქტი, ხოლო, რაც შეეხება თბილისის ელმავალმშენებელ, ქუთაისისა და ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხნებს, აქ მთლიანი პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდუკუგება შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ამ საწარმოებში აღნიშნული მაჩვენებელი 1976 წ., 1965 წელთან შედარებით, შემცირდა შესაბამისად 44, 11,4 და 74,2%-ით. აღსანიშნავია მთლიანი და წმინდა პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდუკუგების მაჩვენებელთა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ცვლილება. მაგალითად, ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში 1975 წლის მთლიანი პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდუკუგება, 1965 წელთან შედარებით, გაიზარდა 19,6%-ით, ხოლო წმინდა პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდუკუგება შემცირდა 15,1%-ით. მთლიანი და წმინდა პროდუქციის მიხედვით გამოთვლილი ფონდუკუგების მაჩვენებელთა ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული დინამიკა აიხსნება წარმოებაში გამოყენებული მასალების, ნახევარფაბრიკატების და საკომპლექტო ნაწარმის ღირებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით. ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობის უფრო სრული შეფასებისათვის უცვლელი კოოპერირების პირობებში მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მთლიანი პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული ფონდუკუგების მაჩვენებელი, იგი საშუალებას იძლევა შრომის საშუალებების გამოყენების ეფექტურობა განისაზღვროს წარმოების მთლიანი მოცულობის გათვალისწინებით.

ფონდუკუგება წარმოადგენს გამოშვებული პროდუქციისა და ძირითადი ფონდების ფუნქციას და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. დაგეგმვისა და მართვის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ამა თუ იმ პროდუქციის მოცულობის განსაზღვრა და მისი გამოშვება ნატურალურ და ღირებულებით მაჩვენებლებში: ამ ამოცანის განხორციელებისათვის ზოგიერთი საწარმოო ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ძირითადი ფონდები შეიყვანოს მოქმედებაში. ამის შედეგად იზრდება შრომის ფონდშეიარაღება, არ ითვალისწინებენ, ამასთან, რა ზომამდე შეიძლება ვაფაროთ დედს საწარმოო სიმძლავრე, თუმცა ზღვარს წარმოადგენს შრომითი რესურსების რაოდენობა. ჩვენი აზრით, ასეთი მდგომარეობის შედეგია ის, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს მანქანათმშენებელ საწარმოებში პროდუქციის გამოშვების ზრდას წინ გაუსწრო ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდამ, რამაც თავის ასახვა ჰპოვა მთლიანი პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებულ ფონდუკუგებაში. ასე მაგალითად, საქართველოს

ცხრილი 4

საქართველოს სსრ მანქანათმშენებელი მრეწველობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებს
დინამიკა (1965—1976 წწ.) პროცენტებით

დარგები	მთლიანი პროდუქცია		ძირითადი ფონდების საშუალოწლიური ღირებულება		ფონდუქუებება		ფონდშეიარაღება		შრომის მწარმოებელთა, (განაგარიშებული მთლიანი პროდუქციის მიხედვით)		
	წლები	წინა წელთან შედარებით	წინა წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	წინა წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	წინა წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	წინა წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	
		1965 წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	1965 წელთან შედარებით	
მანქანათმშენებელი მრეწველობა მთლიანად	1965	—	100	—	100	—	100	—	100	—	100
	1966	112	112	98	98	114	104	92	92	108	108
	1967	104	117	103	102	101	106	105	97	101	109
	1968	111	131	111	113	99	106	108	104	109	119
	1969	103	136	105	120	97	103	105	110	102	122
	1970	109	149	108	131	101	104	108	119	109	134
	1971	104	155	112	146	92	97	101	129	101	135
	1972	105	163	108	159	96	93	108	141	105	143
	1973	112	184	106	169	107	101	103	146	110	157
	1974	110	204	106	180	103	103	103	152	106	168
	1975	113	231	120	216	94	93	114	174	108	182
	1976	93	227	107	223	91	90	105	183	69	176
ელექტროენერჯიზა	1965	—	100	—	100	—	100	—	100	—	100
	1966	112	112	104	104	106	106	102	102	109	109
	1967	92	103	98	103	94	101	101	103	91	98
	1968	108	111	106	110	101	101	106	109	112	110
	1969	100	112	103	114	97	98	106	115	101	111
	1970	110	123	109	125	100	98	109	126	113	125
	1971	99	123	113	142	87	86	112	141	97	122
	1972	98	121	104	149	94	81	106	149	100	121
	1973	112	135	104	156	106	96	103	154	110	134
	1974	112	153	111	173	101	87	107	164	106	142
	1975	115	177	120	210	95	84	113	186	110	156
	1976	95	170	111	233	86	72	108	200	94	146
ჩაბმომწოდებელი მრეწველობა	1965	—	100	—	100	—	100	—	100	—	100
	1966	105	105	109	109	96	96	82	82	106	106
	1967	119	126	96	105	124	120	129	106	121	129
	1968	105	134	117	124	90	109	120	127	107	137
	1969	100	136	103	129	96	105	104	133	100	137
	1970	113	154	104	134	108	115	103	137	113	155
	1971	110	170	101	137	108	125	100	137	110	170
	1972	107	183	103	141	104	130	102	139	107	182
	1973	111	204	106	150	105	136	102	142	109	198
	1974	105	215	104	156	101	138	104	148	105	209
	1975	110	238	115	181	95	131	116	173	109	228
	1976	103	247	111	201	93	123	110	190	103	245

სსრ მანქანათმშენებელ მრეწველობაში 1976 წელს ფონდუქუებება (როგორც მთლიანი ისე წმინდა პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებული) შემცირდა 10%-ით, 1965 წელთან შედარებით (ცხრილი 4). ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ იმ წლებში, რომლებშიც მთლიანი პროდუქცია იზრდება სწრაფად, ეიდრე ძირითადი ფონდები, ფონდუქუებაც იზრდება. 1974 წ., 1965 წელთან შედარებით, მთლიანი პროდუქციის 2,04-ჯერ და ძირითადი ფონდების 1,8-ჯერ ზრდის დროს, ფონდუქუებება გაიზარდა მხოლოდ 1,04-ჯერ. ძირითადი

ფონდების ზრდის მაღალმა ტემპმა, მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპთან შედარებით, 1965 — 1976 წლებში გამოიწვია ფონდუქუვების შემცირება. ეს აიხსნება შრომის მწარმოებლურობის ნაკლები ზრდით, შრომის მწარმოებლურობის ზრდის ჩამორჩენილობით ძირითადი ფონდებისა და მუშათა ფონდშეიარაღების ზრდასთან შედარებით, სხვადასხვა ეტაპზე მუშათა ფონდშეიარაღების ამალეების არაერთნაირი ვავლენით შრომის მწარმოებლურობის ამალეებაზე. ცხრილის მონაცემები ადასტურებს ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოსაზრების სისწორეს ფონდუქუვების არათანაბარზომიერი ცვლილების ობიექტურობის შესახებ. ცხრილი 4-დან ჩანს, რომ ელექტროტექნიკურ მრეწველობაში 1965 — 1976 წლებში ფონდუქუვების მაჩვენებელი ხასიათდებოდა შემცირების ტენდენციით, ხოლო იგი მეტყუებით ხასიათდება ჩარხმშენებელ და ინსტრუმენტულ მრეწველობაში. ეს გამოწვეულია გამოსაშვები პროდუქციის თავისებურებით, პროდუქციის ტექნოლოგიის სპეციფიკურობით, ძირითადი ფონდების სხვადასხვა შემადგენლობით, საწარმოო სიმძლავრეების მოქმედებაში შეყვანისა და ათვისების სხვადასხვა ვადებით. უფრო ზშირად, ფონდუქუვების შემცირება წარმოებს იმ ფაქტორების იგნორირების შედეგად, რომლებიც ვავლენას ახდენენ ფონდუქუვებაზე: ახალი ტექნიკის არარაციონალური გამოყენება, მონტაჟის ვადის ხანგრძლივობა და სხვ.

მანქანათმშენებლობის მდგომარეობისა და განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს არსებული შრომის საშუალებების გამოყენების დონე. სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ შინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ 1978—1980 წლებში“, განსაკუთრებით არის გამოყოფილი მანქანათმშენებლობაში ვაწყობილობის მუშაობის ცვლის კოეფიციენტის ამალეების ამოცანა. დადგენილებაში მითითებულია მანქანათმშენებლობაში ვაწყობილობის ცვლის კოეფიციენტის დაბალი დონის შესახებ და ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მეათე ხუთწლედში ეს მაჩვენებელი უნდა ვაიზარდოს 20—30%-ით.

საქართველოს მანქანათმშენებლობაში ვაწყობილობის მუშაობის ცვლის კოეფიციენტის დინამიკა მოცემულია მე-5 ცხრილში.

ცხრილიდან ჩანს, რომ თუმცა 1969 წლიდან ვაწყობილობის ცვლის კოეფიციენტმა დაიწყო ზრდა, იგი მაინც ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს, სადაც ეს მაჩვენებელი 1,4-ის ტოლია. ვაწყობილობის გამოყენების დაბალი დონე საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობის მრეწველობაში განპირობებული იყო ჯერეთი, ძირითადი საწარმოო ფონდების მნიშვნელოვანი წინსწრები ტემპით დასაქმებულთა ზრდასთან შედარებით. წარმოების პროცესში შრომითი რესურსების სრულად ჩაბმის პირობებში დამატებითი კაპიტალდაბანდებით ზშირად იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი კადრებით. მეორე, მანქანათმშენებელი მრეწველობის საწარმოებში, განსაკუთრებით ხელსაწყომშენებლობაში ვაიზარდა სპეციალური ვაწყობილობის. რაოდენობა, რომელთა დატვირთვა საჭიროებს ნაწარმის უნიფიკაციის მაღალ დონეს, ერთგვაროვანი ნაწარმის წარმოების კონცენტრაციას, საგნობრივი და ტექნოლოგიური სპეციალიზაციის საწარმოებში. ამ სახის სპეციალიზაციის არასაკმარისი განვითარების პირობებში სპეციალური ვაწყობილობის პარკას ზრდა იწვევს მანქანების გამოყენების დროის შემცირებას.

მანქანათმშენებელი მრეწველობის გაწყობილობათა მუშაობის ცვლის კოეფიციენტი

ქვედა რეგები	წლები				
	1965	1969	1971	1973	1976
მანქანათმშენებელი მრეწველობა მთლიანად	0,95	0,94	0,96	0,99	1,17
მათ შორის:					
ელექტროტექნიკური მრეწველობა	1,07	1,16	1,04	1,10	1,13
ჩარხმშენებელი და ინსტრუმენტული მრეწველობა	1,04	0,93	1,08	1,04	1,35
ხელსაწყოთმშენებლობა	0,96	0,82	0,90	0,91	1,00
ავტომობილმშენებელი მრეწველობა	1,07	1,07	1,08	1,11	1,27
ტრაქტორებისა და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა	0,98	0,67	0,71	0,82	1,11
მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობა	0,91	1,00	0,85	0,90	1,25
სამშენებლო-სავაზო და კომუნალური მანქანათმშენებლობა	0,81	1,15	1,18	1,19	1,40
ამწე სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა	0,85	0,87	0,83	0,88	1,89
სამთო-საშახტე და სამთამადნო მანქანათმშენებლობა	0,82	0,81	0,88	1,12	1,08
დარგთაშორის ბროდუქციის წარმოება	1,10	0,88	0,98	0,80	1,25

უნდა აღინიშნოს, რომ მანქანათმშენებელი მრეწველობის ზოგიერთ ქვე-დარგში არ არსებობს გაწყობილობის მუშაობის ცვლის კოეფიციენტისა და ფონდუკუგების დინამიკას შორის ურთიერთკავშირი. ასე მაგალითად, ავტომობილმშენებელი მრეწველობისა და ტრაქტორებისა და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობაში გაწყობილობის მუშაობის ცვლის კოეფიციენტის უმნიშვნელო ცვლილებით ფონდუკუგება გაიზარდა შესაბამისად 120,8 და 39,3%-ით. ბუნებრივია, რომ ფონდუკუგების ზრდა მიღწეული იქნა სხვა ფაქტორების ხარჯზე.

გაწყობილობის მუშაობის ცვლის კოეფიციენტის გადიდების გზების განსაზღვრა შეუძლებელია ღრმა ანალიზის, ყველა რეზერვების ყოველმხრივი გამოყენების, ტექნიკის, წარმოების ორგანიზაციის, დაგეგმვის, სტიმულირების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კადრების მომზადების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვ. გაუმჯობესების გარეშე. აქ აუცილებელია სისტემური მიდგომა, მართვის ახალი მეთოდები და მიზანდასახული, მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების გამოყენება.

საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობაში ჯერ კიდევ მაღალია მუშათა, მანქანებისა და გაწყობილობის სამუშაო დროის გაცდენები (დანაკარგები ტოლია წლიური სამუშაო დროის 10%-ის). საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ერთდროული დაკვირვების მონაცემებით სამუშაო დროის დანაკარგებმა ერთ მუშაზე გაანგარიშებით 1977 წელს დღე-ღამეში 0,48 კაც-საათი შეადგინა, ნაცვლად 0,42 კაც-საათისა 1975 წელს. მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს წარმოებისათვის კადრების დიდ დენადობას. კადრების დენადობის კოეფიციენტმა მანქანათმშენებლობაში 1976 წელს შეადგინა 0,27. საჭიროა ამ დარგში დასაქმებულ მუშაკთა სოციოლოგიური შესწავლა დენადობის მიზეზების გამოვლენის და მისი აღმოფხვრის მიზნით.

მანქანათმშენებელ საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეები მომდევნო ხუთწლიდში გაიზარდება 5,4-ჯერ. გათვალისწინებულია მათი გამოყენების მაჩვენებელთა გადიდების ღონისძიებებიც 79,4%-დან (1975 წლის დონე) 90%-მდე. 1990 წელს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გაიზარდოს მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქცია 6,1-ჯერ.

საქართველოს მანქანათმშენებელ საწარმოებში ხორციელდება რიგი ღონისძიებები პროდუქციის ხარისხის გასაძლიერებლად. ხარისხისნიშნაანი პროდუქციის ხვედრითმა წონამ 1977 წელს მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქციაში შეადგინა 19,7%. ე. ი. გაიზარდა 11,3 პუნქტით, 1976 წელთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ცალკეული პროდუქცია (ელმავლები ВЛ—10, ზოგიერთი სახის ლითონდამმუშავებელი ჩარხები და სხვ. ვერ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნათა დონეს. ხარისხისნიშნაანი პროდუქციის ხვედრითი წონა ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის მთლიან მოცულობაში შეადგენს 27%-ს (სსრკ—38%), ჩარხმშენებელ და ინსტრუმენტულ მრეწველობაში — 7%-ს (სსრკ—14%), ხელსაწყოთმშენებლობაში — 1-ს (სსრკ—16%). როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს მანქანათმშენებელ მრეწველობაში პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლა ერთ-ერთი სადღეისო პრობლემაა.

ამგვარად, საქართველოს მანქანათმშენებელი მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობის საკითხების შესწავლას არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. იგი ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების დონის და, მამასადამე, მისი ეკონომიკური პოტენციალის გადიდებას.

Д. А. КУРТАНИДЗЕ

ВОПРОСЫ ЭФФЕКТИВНОСТИ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ОСНОВНЫХ ПРОИЗВОДСТВЕННЫХ ФОНДОВ В МАШИНОСТРОИТЕЛЬНОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

В работе рассмотрены показатели экономической эффективности использования основных производственных фондов в машиностроительной промышленности Грузинской ССР. Дается анализ динамики производительности труда и фондоотдачи, рассчитанный по валовой и чистой продукции на период 1965—1977 гг. В работе вскрыты причины изменения противоположных направлений фондоотдачи по валовой и чистой продукции. Методом группировки предприятий электротехнической промышленности по фондовооруженности труда выявлено, как изменяется фондоотдача и производительность труда, что дает возможность установить оптимальный размер предприятий.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილებამ

ქართველ ფილანთროპებს, მათგან ოლიგოქონი

მეცხოველეობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხისათვის საპროდუქტულ სსრ მაღალმთიან რაიონებში

მეცხოველეობის დარგის განვითარება და მისი ეფექტიანობის გადიდება, საიმედო ბაზას ქმნის მეცხოველეობის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებისათვის. რესპუბლიკის მთიან რაიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, იგი ხელს უწყობს შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და გულისხმობს მთელი რიგი სხვა პრობლემების გადაწყვეტასაც. როგორც ეს სკკ XXV ყრილობამ ამოცანად დასახა „ეკონომიკის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე უფრო სრულყოფილად დავაკმაყოფილოთ ხალხის მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნებიანი“¹.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დაჩქარებული ტემპით ზრდას და მისი ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთის რაიონების მეურნეობებისათვის იმდენად, რამდენადაც მეცხოველეობა მათი შემოსავლის მთავარი წყაროა. მაგალითად, 1978 წლის მონაცემებით, რაიონების მიხედვით, საზოგადოებრივი მეურნეობების სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქტიაში მეცხოველეობის პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები შეადგენდა ღუშეთში 80%-ს, თიანეთში 96,5%-ს, ყაზბეგში 83%-ს, ლენინგორში 81%-ს, ჭავჭავაძეში 89%-ს და ა. შ.

მთიანი რაიონების წინაშე დიდი ამოცანები დგას მეცხოველეობის ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით. როგორც სკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჩევი აღნიშნავდა „...სულადობის ზრდის ღონისძიებებთან ერთად, მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს აგრეთვე ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ეფექტიანობის ამაღლებას“².

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, როგორც რესპუბლიკის, ისე მთის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში. ამ გარემოებამ გააძლიერა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაფართოების სტიმული. 1978 წელს 1975 წელთან შედარებით ღუშეთის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში რძის წარმოება გაიზარდა 20,3%-ით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წონამატი — 19,7%-ით, ღორის წონამატი 31,8%-ით, ხოლო მატყლის წარმოება — 6,2%-ით. ეს მაჩვენებლები ლენინგორის რაიონში შესაბამისად გაიზარდა — 32,1%-ით — 19,5% — 46,4% — 16% ; ხოლო თიანეთში — 22% — 30,5% — 42,5% — 15%. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში პრო-

¹ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი, თბილისი, 1976, გვ. 80.

² ლ. ი. ბრეჩევი, სიტყვა სკკ ც-ის პლენუმზე, 1976 წლის 25 ოქტომბერი, თბილისი, 1976, გვ. 21.

დუქციის წარმოება გაიზარდა, ზოგიერთი პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი ჩამორჩა 1975 წლამდე პერიოდის წარმოების ზრდის ტემპს. მაგალითად, აღმოსავლეთ კავკასიონის მაღალმთიანი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში 1975 წელს, 1970 წელთან შედარებით, წარმოება გაიზარდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ფრინველის წონამატის — 8,1%-ით, ღორის წონამატის — 78,8%, რძის — 30,43, მატყლის — 19,8%-ით, ხოლო 1977 წელს, 1975 წელთან შედარებით, წარმოების ზრდამ შესაბამისად მხოლოდ 9, 44, 20, 7 და 2,3 პროცენტი შეადგინა.

წარმოების ზრდის ტემპების შემცირება იმან გამოიწვია, რომ საკვლევმა მეურნეობებმა სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესასრულებლად 1976 — 1977 წლებში მცირე წონისა და დაბალი შეხორცების პირუტყვი ჩააბარეს, ასეთ პირობებში საზოგადოებრივ მეურნეობებს სახელმწიფოზე მეტი რაოდენობის პირუტყვის მიყიდვა მოუხდათ, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საერთოდ პირუტყვის სულადობის ზრდაზე. ეს მდგომარეობა 1978 წლიდან ნაწილობრივ გამოსწორდა, მკვეთრად გაუმჯობესდა სახელმწიფოზე მიყიდული 1 სული პირუტყვის ცოცხალი წონა. მაგალითად, 1978 წელს კარგი მაჩვენებლები ჰქონდა ყაზბეგის რაიონს. აქ კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ერთი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ცოცხალმა წონამ შეადგინა 400 კგ., რაც რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით 148 კგ-ით, ანუ 58,7%-ით მეტი იყო; ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობებიდან სახელმწიფოსათვის მიყიდული ღორის ცოცხალმა წონამ შეადგინა 125 კგ., რაც საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს 33 კგ-ით, ანუ 35,8%-ით აღემატებოდა; ჯავის რაიონის საბჭოთა მეურნეობებიდან სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ერთი სული ცხვრის ცოცხალმა წონამ შეადგინა 36 კგ, ხოლო ღუშეთის რაიონის მეურნეობათაშორისო გაერთიანებებიდან ჩაბარებული ცხვრის ცოცხალმა წონამ 44 კგ., რაც საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს შესაბამისად 12 და 19 კგ-ით აღემატებოდა. როგორც 1978 წლის ივლისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევიარდნაძე აღნიშნავდა, რესპუბლიკაში პირუტყვის საშუალო ჩასაბარებელი წონა გაიზარდა 22 კილოგრამით. ეს ცუდი ზრდა როდია, მაგრამ რაიონების უმრავლესობამ ჯერ ვერ მიადწია საშუალო ჩასაბარებელ წონას — 265 კილოგრამს, როგორც ეს 1977 წლისათვის განსაზღვრა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა. იმისათვის, რომ დასაკლავად ჩასაბარებელი პირუტყვის წონა გაიზარდოს, პირველ ყოვლისა, საჭიროა ფართოდ გაიშალოს ინტენსიური სუქება, როგორც კომპლექსებში, ისე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში.

მეცხოველეობის ზონის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და შემოსავლის ამაღლების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფოსათვის მისასყიდი პირუტყვის წონის კიდევ უფრო გადიდება.

საქართველოს კპ ცკ-ის 1979 წლის დეკემბრის პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობის შემდგომი ამაღლების საკითხებს, განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობაზე. ამასთან დაკავშირებით ამხ. ე. ა. შე-

ვარდნაქმ საზოგადოებრივი წარმოების შენდგომი განვითარების მაგისტრალურ გზად მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამოღების გზა აღიარა.

თუ 1978 წელს მაღალმთიანი რაიონების მუშაობას სახელმწიფოზე მიყიდული პროდუქციის ხარისხიანობის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ სრულიად განსხვავებული სურათი გვექნებოდა. თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებიდან სახელმწიფოზე მიყიდული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიდან მაღალი შეხორცებისა იყო მხოლოდ 26,7%, დუშეთში—18,9%; მთლიანად ჩამოწველილი რძიდან პირველი ხარისხისა იყო დუშეთში 97,8% და თიანეთში 30%; ცხვარი და თხა მაღალი შეხორცებისა იყო დუშეთში — 35%, ყაზბეგში 33,1%, ლენინგორში 15,6%. შესაბამისად მატყლი მაღალხარისხოვანი იყო დუშეთის რაიონში 97%, ყაზბეგში 86% და ლენინგორში 98,4%; სახელმწიფოზე მიყიდული ღორიდან მაღალი შეხორცებისა იყო დუშეთის რაიონში 93%, თიანეთის რაიონში 90%. თიანეთის რაიონის რაიონული მრეწველობის 1978 წელს ჩაბარებული პირუტყვის მთლიანი წონიდან მხოლოდ 6% იყო მაღალი ნასუჭობის, 44% — საშუალო, 30% — დაბალი და 20% — ჯანდავი. ამის გამო რაიონული მრეწველობა 33239 მანეთი იზარალა, რადგან სახელმწიფოზე ჩაბარებული 370 ცენტნერი ცხვრის და 14 ცენტნერი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წონამატი ჯანდავი შეხორცების იყო.

ამდგვარი ნაკლოვანებები მეტნაკლებად დამახასიათებელი იყო საქართველოს მთის რაიონების თითქმის ყველა საზოგადოებრივი მეურნეობისათვის.

აღმოსავლეთ კავკასიონის მთის რაიონებში ცხვრის სულადობის სათანადო ზრდას, პირველ რიგში, ხელს უშლიდა ის, რომ ბუნებრივი ნამრავლი ნაკლები იყო ან მცირე რაოდენობით აღემატებოდა ცხვრის ფარის ყოველწლიურ გასავალს. ასე მაგალითად, დუშეთის რაიონში ცხვრის გასავალი ბუნებრივ ნამრავლს აღემატებოდა 1965 წელს 10071 სულით, 1970 წელს 4186 სულით, 1975 წელს 8481 სულით, 1978 წელს 13038 სულით.

უკანასკნელ წლებში ცხვრის კვლავწარმოებისათვის ძალზე ცუდი პირობები შეიქმნა ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებში. 1977 წელს აქ ცხვრის ნამრავლი უდრიდა 63755 სულს, გასავალი 64374-ს, ე. ი. გასავალი ბუნებრივ ნამრავლს აღემატებოდა 619 სულით. 1978 წელს კი ცხვრის ნამრავლი უდრიდა 63363 სულს, გასავალი 66647-ს, გასავალი ნამრავლს აღემატებოდა 13284 სულით ანუ 25%-ით.

მეცხოველეობის მთიან რაიონებს შორის ამ მხრივ ყველაზე უკეთესი მდგომარეობა იყო ლენინგორის რაიონში. აქ 1978 წლის მონაცემებით ცხვრის ბუნებრივი ნამრავლი უდრიდა 36840 სულს, გასავალი 35061-ს, ანუ ნამრავლი გასავალს აღემატებოდა 1779 სულით. ე. ი. აქ ცხვრის გადართობულ აღწარმოებას აქვს ადგილი. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში, სულადობის გასაღიდეებლად, ცხვარს ყიდულობდნენ მოსახლეობიდან. მაგალითად, დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა მოსახლეობიდან შეიძინეს: 1970 წელს — 1974 სული, 1975 წელს — 1370 სული, 1978 წელს — 1834 სული ცხვარი. შესაბამისად ყაზბეგის რაიონში 1970 წელს — 3512, 1975 წელს — 2641, 1978 წელს — 1370 სული და ა. შ.

მთის მეცხოველეობის ზონის უმეტეს რაიონებში საზოგადოებრივი ცხვრის სულადობის ზრდას სხვა გარემოებებთან ერთად ხელს უშლიდა, აგრეთვე, სულადობის დაცემის დიდი პროცენტი.

მაგალითად, 1977 წელს ყაზბეგის რაიონში მიღებული 45045 სული ბატ-

კნიდან დაეცა 17805 ბატკანი ანუ 39,5%: შესაბამისად თიანეთის რაიონში 13684 სულიდან 3959 სული ანუ 29%; ლენინგორის რაიონში 33040 სულიდან 5338 სული ანუ 16,2%: დუშეთის რაიონში — 59234 სულიდან 5046 სული ანუ 10,2% და ა. შ.

მეცხოველეობის განვითარებისათვის განსაკუთრებით საჭიროა მოგვარდეს გაფართოებული კვლავწარმოების ძირითადი საფუძვლის — ნამრავლის მიღებისა და მისი მთლიანად შენარჩუნების საკითხი.

მთიანი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის ნაყოფიერების მაჩვენებლების დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა: 1978 წელს 100 დედა პირუტყვზე მიღებული იყო 76 ხბო, ე. ი. 6,2%-ით ნაკლები 1975 წლის ამავე მაჩვენებელთან შედარებით; 100 დედა ღორზე გოჭი — 835 სული ანუ 22,3%-ით მეტი ვიდრე 1975 წელს და ბატკანი 83, ანუ 2,5%-ით მეტი ვიდრე 1975 წელს.

მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1978 წელს პირუტყვის ნაყოფიერება (გარდა ღორისა), ამ ზონის მეურნეობებში, 1975 წელთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ იგი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს გაფართოებული აღწარმოების გზით პირუტყვის სულადობის გადიდებას. თუმცა, მეცხოველეობის ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში არის მოწინავე ფერმები, რომლებიც ცალკეულ წლებში ნაყოფიერების მაღალ მაჩვენებლებს იძლევა, მაგრამ ნაყოფიერების მაჩვენებელი აქაც მყარი არ არის. ამ მიმართებით საჭიროა ზოოვეტერინალურ ღონისძიებათა გაუმჯობესება.

მთის რაიონებში პირუტყვის ნაყოფიერების მონაცემების 1970 — 1978 წლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთი რაიონი ცალკეულ წლებში აღწევს დედა პირუტყვის ნაყოფიერების შედარებით მაღალ მაჩვენებლებს, ეს მაჩვენებელი ხშირად მერყეობს, ამასთან, პირუტყვის ნაყოფიერების უმაღლეს და უმდაბლეს დონეთა შორის ამპლიტუდა ზოგჯერ ძალიან დიდია, არა მარტო სხვადასხვა რაიონებს შორის, არამედ თვით ერთი რაიონის შიგნითაც. 1970 წელს ძროხის ნაყოფიერების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა დუშეთის რაიონს, სადაც 100 ძროხიდან მიღებული იყო 74 ხბო. ყველაზე დაბალი კი — ჭავის რაიონის კოლმეურნეობებს, სადაც 100 ძროხიდან მიღებული იყო 62 ხბო, ხოლო 1978 წელს 100 ძროხიდან მიღებული ხბოს მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ლენინგორის რაიონს — 76, ყველაზე დაბალი ჭავის — 67.

დედა ცხვრის მაღალ და დაბალ ნაყოფიერებას შორის სხვაობა ამ ზონაში 1970 წელს შეადგენდა 20 ბატკანს, 1971 წელს — 29 ბატკანს, 1975 წელს — 24 ბატკანს, 1977 წელს — 14 ბატკანს და 1978 წელს კი 33 ბატკანს.

ღორის მაღალ და დაბალ ნაყოფიერებას შორის სხვაობა ზონაში უდრიდა 1970 წელს — 74 გოჭს, 1975 წელს — 387 გოჭს, 1978 წელს — 565 გოჭს.

ყურადღებას იქცევს არა მარტო რაიონებს შორის პირუტყვის ნაყოფიერების მაჩვენებლის მკვეთრი მერყეობა, არამედ ისიც, რომ ცალკეული რაიონის მაჩვენებელი წლების მანძილზე შესამჩნევად ცვალებადობს. აქ აღსანიშნავია არა მარტო დიდი მერყეობა, არამედ ნაყოფიერების შემცირების აშკარად გამოსახული მოვლენები, რაც IV ზონაში დიდად უშლის ხელს პირუტყვის სულადობის აღწარმოებას და პროდუქციის წარმოების შემდგომ გადიდებას.

აღმოსავლეთ კავკასიონის მთის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში ძროხის საშუალო წლიური წველადობა 1970 — 1978 წწ. რესპუბლიკურ მო-



ნაცემებთან შედარებით დაბალი იყო (პროცენტობით): 1970 წელს — 34,8, 1975 წელს — 34,5, 1978 წელს — 33,4. ეს გარემოება სხვა მიზეზებთან ერთად გამოწვეული იყო პირუტყვის დაბალი ჯიშობრივი შემადგენლობით, არა სათანადო მოვლით და მტკიცე საკვები ბაზის უქონლობით.

ძროხის საშუალო წლიური წველადობის დინამიკა IV ზონის ცალკეული რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

1975 წელს, 1970 წელთან შედარებით, ძროხის საშუალო წლიური წველადობა საკოლმეურნეო წარმოების მიხედვით გაიზარდა: ღუშეთში 1,3-ჯერ, თიანეთში — 1,3-ჯერ, ლენინგორში — 1,6-ჯერ, ჯავაში — 1,1-ჯერ; საბჭოთა მეურნეობრივი წარმოების მიხედვით: თიანეთში — 1,1-ჯერ, ლენინგორში — 2-ჯერ, ჯავაში — 1,2-ჯერ, ხოლო ღუშეთში შემცირდა 10%-ით. საბჭოთა მეურნეობრივი წარმოების მიხედვით 1978 წელს, 1975 წელთან შედარებით, საშუალო წლიური წველადობა გაიზარდა: თიანეთში — 1,3-ით, ლენინგორში — 2,5, 1%-ით, ჯავაში — 3,2%-ით, ხოლო ღუშეთში შემცირდა 26,2%-ით.

აღმოსავლეთ კავკასიონის მთის რაიონებში 1970 — 1975 — 1978 წლებში ერთი ცხვრიდან მატყლის საშუალო ნაპარსი მერყეობდა 0,9 კგ-დან — 2,5 კგ-ს შორის, იგი ყველაზე მაღალი იყო 1978 წელს ლენინგორის რაიონში — 2,5 კგ, რაც რესპუბლიკურთან შედარებით 8%-ით მეტია, ყველაზე დაბალი 1978 წელს, ჯავის რაიონში — 0,9 კგ, რაც რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით 55%-ით ნაკლებია.

მატყლის გამოსავლიანობა 1978 წელს, 1975 წელთან შედარებით, შემცირდა: ღუშეთის რაიონში 8%-ით, თიანეთის რაიონში 8,7%-ით, ყაზბეგის რაიონში 0,3%-ით, ხოლო გაიზარდა: ლენინგორის რაიონში 4,2%-ით და ჯავის რაიონში 3,2%-ით.

მთის მეცხოველეობის ზონაში რეზერვების არასრული გამოყენების შედეგად მეურნეობებმა დიდი რაოდენობით იზარალეს. ასე მაგალითად, 1975 წელს ერწოს მეზორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობაში ზარალმა 361 568 მანეთი შეადგინა, ხოლო ანანურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში 110 415 მანეთი; ეს მდგომარეობა მრავალი მიზეზებით იყო გამოწვეული. აღნიშნულ მეურნეობებში დაბალ დონეზე იყო შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა. ერწოს საბჭოთა მეურნეობაში ერთი მუშის სამუშაოზე გამოსვლა თვეში საშუალოდ 14 დღეს შეადგენდა, ამის გამო, საშუალო თვიური ხელფასი 28 — 50 მანეთს არ აღემატებოდა. ანანურის საბჭოთა მეურნეობაში ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 13 დღეს და 36 მანეთს შეადგენდა.

როგორც მთის ზონის ცალკეული რაიონების მეცხოველეობის ეფექტიანობის მაჩვენებლების ანალიზიდან ირკვევა, აქ არსებობს მთელი რიგი გამოუყენებელი რეზერვები, რომელთა რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანდ განამტკიცებს საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკას.

მეცხოველეობის დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

პირუტყვის საჭირო რაოდენობის საკვებით უზრუნველყოფის მიზნით, უნდა ამაღლდეს სათიბების პროდუქტიულობა, ამისათვის საჭიროა აღიკვეთოს სათიბების საძოვრებად გამოყენება. ცნობილია, რომ მეცხოველეობის IV ზონის საზოგადოებრივი მეურნეობები სათიბებს ფართო მასშტაბით იყენებს საძოვრებად არა მარტო შემოდგომაზე, არამედ ადრე გაზაფხულზედაც. სათიბების ასეთი სისტემით ექსპლოატაცია დაბლა სწევს არა მარტო თივის მოსავლიან-

ნობას, არამედ ბალახნარის ხარისხსაც, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათიბების გონივრულ გამოყენებას, უპირატესად თივის წარმოების გასაფართოებლად. იმ მიზნით, რომ დამყარდეს სათანადო პროპორცია ზაფხულისა და ზამთრის საკვების მარაგს შორის, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ზამთრის საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლებას, მათი მასივების სასმელი წყლით უზრუნველყოფას. ცნობილია, რომ ცხვრის სულადობის გადიდება უმთავრესად ზამთრის საძოვრების უკმარისობა უშლის ხელს. აქედან გამომდინარე, საჭიროა მათი გაფართოება დასარეველიანებული ნაკვეთების გაწმენდის ხარჯზე. მათი მოსავლიანობის ზრდა მეცხვარეობის მძლავრი განვითარების ფაქტორი უნდა გახდეს.

როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლების ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი მთავარია საძოვართბრუნვებისა და ნაკვეთმორიგეობითი ძოვების სისტემის მტკიცედ დაცვა. განსაკუთრებული დაკვირვებით და ყველა საჭირო პირობების დაცვით უნდა იქნეს შედგენილი საძოვართბრუნვებისა და ნაკვეთმორიგეობითი ძოვების კალენდარი.

ამ მიზნით, საზოგადოებრივ მეურნეობათა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმები დაკომპლექტებული უნდა იქნეს მხოლოდ დარაიონებული ჯიშებით. ჩვენი აზრით, საყურადღებოა ხევესურული, მთის ჯიშის ძროხების შერჩევა. ამ ზონაში, ამჟამად, შემორჩენილია ველის წითელი და ლებედინის ჯიშის პირუტყვი. ისინი უნდა შეიცვალოს ზემოთ აღნიშნული დარაიონებული ჯიშის პირუტყვით, რადგანაც არც ველის წითელი და არც ლებედინის ჯიში აღმოსავლეთ კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონის ბუნებრივ პირობებს არ შეესაბამება.

IV ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში უნდა აღდგეს ცხვრის თუშური ჯიში; ღორის ჯიშებიდან უნდა მოვაშენოთ მსხვილი თეთრა და მანგალიცე.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჯოჯის სტრუქტურის სრულყოფას, განსაკუთრებით კი, ცხვრის ფარის სტრუქტურის გაუმჯობესებას.

IV ზონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ფარაში დედა ცხვრის ხედარი წონა, შესაბამის სულადობაში, არ უნდა იქნეს 70 — 80 პროცენტზე ნაკლები. მთელი მოზარდული, სარემონტო სულადობის გამოკლებით, პირველ წელსავე უნდა გაიყიდოს. ჭედილების ყოლა ზამთრის პერიოდში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ძროხების ხედარი წონა ნახირში უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 40 — 54 პროცენტს, ხოლო ყაზბეგის რაიონში კი უფრო მაღალი უნდა იყოს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დედა პირუტყვის ბერწიანობის ლიკვიდაციას, რადგანაც იგი შესამჩნევად ამცირებს პროდუქციის წარმოებას, აღიბებს პროდუქციის თვითღირებულებას და დაბლა სწევს წარმოების ეფექტიანობას. ამ მიზნით საჭიროა არა მარტო დედა პირუტყვისა და მწარმოებლის სათანადო შედგენილობის საკვებით (თივით, სილოსითა და სხვა მონელებადი ცილებით მდიდარი) უზრუნველყოფა, არამედ დაგრილებისა და დათესვლის ორგანიზაციაში არსებული ეფექტების თავიდან აცილება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხელოვნური დათესვლის ფართოდ დანერგვას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას.

აღმოსავლეთ კავკასიონის მთის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში ცხოველების შენახვის შემდეგი სისტემები უნდა შემოვიღოთ: მსხვილფეხა რქიანი მეცხოველეობისათვის ბაგურ-საძოვრული (ზამთარში—ბაგური, ხო-

ლო, ზაფხულში — საძოვრული); მეცხვარეობისა და მელორეობისათვის უპირატესად მომთაბარეობა. პირუტყვი უნდა უზრუნველვყოთ უხეში (უპირატესად თივით) წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით. ამ უკანასკნელის ზვედრი წონა საკვების საერთო ბალანსში უნდა შეადგენდეს 30 — 35%-ს.

მთის მეცხოველეობის ეფექტიანობის არა სათანადო დონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის დაბალი დონე არის. ამას მრავალი მიზეზი განაპირობებს. იგი ცალკეულ მეურნეობათა კონკრეტულ პირობებზეა დამოკიდებული. მაგრამ ეკონომიკურ თუ ტექნიკურ-ორგანიზაციულ მრავალ მიზეზთა შორის უმთავრესია უყუათო საკვების (რომელიც არ შეიცავს კვებისათვის საჭირო აუცილებელ შეუნაცვლებელ ფაქტორებს) გამოყენება, პირუტყვის არა სათანადო შენახვა, დედა პირუტყვის დაბალი ხარისხობრივი შედგენილობა, სულადობის აღწარმოებისა და გამოზრდის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, მექანიზაციის დაბალი დონე და სხვ.

ჩვენი აზრით, ყველა ჩამოთვლილი რეზერვის ამოქმედება მნიშვნელოვნად აამაღლებს მეცხოველეობის ეკონომიკურ ეფექტიანობას.

К. М. ЦИКЛАУРИ, М. А. ОДИШВИЛИ

К ВОПРОСУ О ПОВЫШЕНИИ ЭФФЕКТИВНОСТИ ЖИВОТНОВОДСТВА В ВЫСОКОГОРНЫХ РАЙОНАХ ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

В статье рассмотрены вопросы повышения эффективности животноводства в горных районах Грузинской ССР в свете решений XXV съезда и последующих пленумов ЦК КПСС.

В частности, рассмотрены современное состояние экономики животноводства, вопросы улучшения качества проданной государству товарной продукции, повышения продуктивности животноводства, сохранения приплода и др.

В статье указаны конкретные мероприятия для повышения экономической эффективности животноводства.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგრარულ პრობლემათა განყოფილებამ

ლილი გვენეტაძე, ლინა ფათუნაშვილი

აჭარის ასსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოების მკონომიკის
ძირითადი საკითხები

საკბ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივნისის პლენუმმა მაღალი შეფასება მისცა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის უდიდეს ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელობას. სპეციალიზაციამ და კოოპერაციამ უფრო ფართო გაქანება შეიძინა.

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს სსრ-ში თანამიმდევრულად ხორციელდება პროგრამა, რომლის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცეს ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად.

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლება სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების შექმნის მატერიალურ ტექნიკურ საფუძველს წარმოადგენს.

სამეურნეობათაშორისო კოოპერირება სოფლის მეურნეობაში იღებს სულ უფრო მასიურ ხასიათს. აჭარის ასსრ-ში ამჟამად არსებული სამეურნეობათაშორისო საწარმოებიდან 5 მეცხოველეობის მიმართულებისაა, ერთი — მეფრინველეობის, 2 კი — დახურული გრუნტის მებოსტნეობის სამეურნეობათაშორისო საწარმო, აქედან ერთი — ქობულეთის დახურული გრუნტის მებოსტნეობის სამეურნეობათაშორისო საწარმო, მშენებარეა.

აჭარის ასსრ-ში მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოების შექმნა შემთხვევითი არ არის. რესპუბლიკა ძირითადად მემცენარეობის (კერძოდ, მრავალწლიანი კულტურების) მიმართულებისაა. მეცხოველეობა აქ წარმოდგენილია, როგორც დამხმარე დარგი, რომელიც გაბნეულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მცირე ზომის ფერმებში. მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოების შექმნით მაღლდება მისი კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონე, რაც წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ნიშნველოვან პირობას წარმოადგენს.

აჭარის ასსრ-ის საზოგადოებრივ მეცხოველეობაში იზრდება სამეურნეობათაშორისო საწარმოების ხვედრითი წონა. ასე მაგალითად, 1976 წელს სამეურნეობათაშორისო საწარმოებზე მოდიოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის 8,8%, 1978 წელს კი გაიზარდა 8,3 პუნქტით და შეადგინა 17,1%. პირუტყვის სულადობის შესაბამისად იზრდება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხვედრითი წონაც, თუ 1976 წელს საზოგადოებრივ მეცხოველეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოების ხვედრითი წონა საქონლისა და ფრინველის ხორცის წარმოების მიხედვით უდრიდა 24,4%, 1978 წელს გაიზარდა 11,9 პუნქტით და შეადგინა 36,3%. წარმოების შესაბამისად 1978 წელს,

1976 წელთან შედარებით, საქონლისა და ფრინველის ხორცის რეალიზაციის ხვედრითი წონა გაიზარდა 15,2 პუნქტით და შეადგინა 49,5%.

ასეთ პირობებში, აჭარის ასსრ-ში სამეურნეობათაშორისო საწარმოების ეკონომიკის საკითხების შესწავლა და წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების რეზერვების გამოძებნა აქტუალური საკითხია და პირდაპირ პასუხობს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმების დადგენილებებთან პრაქტიკულად განხორციელების საქმეს.

აჭარის ასსრ-ის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების შესწავლა გვიჩვენებს, რომ სამეურნეობათაშორისო საწარმოებს ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გააჩნიათ.

სამეურნეობათაშორისო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ნატურალური მაჩვენებლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ შრომის პირდაპირი დანახარჯები 1978 წელს, 1976 წელთან შედარებით, გაიზარდა (კაცსაათებით) „აჭარცხოველმრეწში“ საშუალოდ 1 ცენტ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატზე 12,1, ღორის წონამატზე კი 11,3 კაცსაათით. სხვაგვარად რომ ვთქვათ შრომის ნაყოფიერება შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის წონამატზე შესაბამისად 13,9 და 18,1%-ით. საჭიროა აღინიშნოს, რომ აჭარის ასსრ-ის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების დონე მერყევია. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აქ შრომის პირდაპირი დანახარჯები 1 ცენტ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოებაზე 85,6 — 98,6 კაცსაათს შორის მერყეობდა, ღორის ხორცის წარმოებაში კი — 62,6 — 73,6 კაცსაათს შორის, „აჭარცხოველმრეწში“ ერთ ცენტ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე და ღორის წონამატზე დიხარჯა შესაბამისად 57,4 და 59,7%-ით მეტი კაცსაათი, ვიდრე საქართველოს სსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოებში საშუალოდ.

შრომის ნაყოფიერების ისეთი მაჩვენებლების შესწავლამ, როგორცაა მთლიანი პროდუქციის წარმოება ერთ კაცსაათზე და ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე, გვიჩვენა, რომ „აჭარცხოველმრეწში“ შრომის ნაყოფიერების ნატურალური მაჩვენებლების შესაბამისად შემცირდა შრომის ნაყოფიერების ღირებულებითი მაჩვენებლებიც. ასე მაგალითად, ერთ კაცსაათში და ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე წარმოებული მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1978 წელს, 1976 წელთან შედარებით, შემცირდა შესაბამისად 20 და 10%-ით.

1978 წელს, საშუალოდ საქართველოს სსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოებში აჭარის ასსრ-ის სამეურნეობათაშორისო საწარმოებთან შედარებით, ერთ კაცსაათში მთლიანი პროდუქციის წარმოება მაღალი იყო 54%-ით, ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე წარმოებული მთლიანი პროდუქციის ღირებულება კი 18%-ით.

სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, რომლებიც მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან. „შრომის მწარმოებლური ძალა, — წერს მარქსი, — განისაზღვრება მრავალნაირი გარემოებით, სხვათა შორის, მუშის საშუალო დახელოვნების ხარისხით, მეცნიერების განვითარებისა და მისი ტექნოლოგიური გამოყენების დონით, წარმოების პროცესის საზოგადოებრივი კომბინაციის, წარმოების საშუალებათა მოცულობით და ქმედითი უნარიანობით და ბუნებრივი პირობებით“¹.

¹ კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 55—56.

„აჭარცხოველმრეწვში“ შრომის ნაყოფიერების შემცირება ძირითადად განპირობებულია პროდუქტიულობის შემცირებით. აქ 1978 წელს, 1977 წელსთან შედარებით, გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება მხოლოდ სულადობის გადიდების შედეგად. პროდუქტიულობის შემცირებამ 12%-ით, „აჭარცხოველმრეწვში“ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება შეამცირა 24%-ით. წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და პირუტყვის პროდუქტიულობის დაბალი დონე მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც აპირობებენ აჭარის ასსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეს.

„აჭარცხოველმრეწვში“ მთლიანი და სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურით გავიანგარიშეთ სპეციალიზაციის კოეფიციენტი K_c მთლიანი პროდუქციის $= 0,55$ და K_c სასაქონლო პროდუქციის $= 0,65$, როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციით გაანგარიშებულმა სპეციალიზაციის კოეფიციენტმა გვიჩვენა, რომ აქ მაღალია სპეციალიზაციის დონე. სპეციალიზაციის მაღალი დონე, მხოლოდ მაშინ იძლევა სასურველ შედეგს, როდესაც წარმოების ზომაც ოპტიმალურია. ცნობილია, რომ სპეციალიზებული საწარმო 10 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდასა და სუქებაზე ითვლება ოპტიმალურად, აჭარის ასსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოები კი დაბალი კონცენტრაციის დონით ხასიათდებიან, რაც, საბოლოოდ, გავლენას ახდენს წარმოების ისეთ შედეგობრივ ეკონომიკურ მაჩვენებელზე როგორცაა შრომის ნაყოფიერება.

აჭარის ასსრ მეფრინველეობის პროდუქციის წარმოება ძირითადად თავმოყრილია ხელვაჩაურის მეფრინველეობის ფაბრიკაში და ქობულეთის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში. მეფრინველეობის სპეციალიზებულ მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების დინამიკა გვიჩვენებს, რომ შრომის ნაყოფიერების დონე შედარებით მაღალია „საქფრინველმრეწვში“, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის შედარებით მაღალი ტემპი შეინიშნება მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში, და, მათ შორის, ქობულეთის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში. ასე მაგალითად, 1978 წელს „საქფრინველმრეწვში“ ერთ კაცსაათში წარმოებული მთლიანი პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 4,57 მან., რაც 26%-ით მეტია, ვიდრე ქობულეთის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში და 41%-ით მეტი, ვიდრე საქართველოს სსრ მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში. 1978 წელს, 1976 წელსთან შედარებით, ქობულეთის სამეურნეობათაშორისო საწარმოში გაიზარდა ერთ კაცსაათში და ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე წარმოებული მთლიანი პროდუქციის ღირებულება შესაბამისად 2,6 და 1,5-ჯერ.

„საქფრინველმრეწვში“ შედარებით მაღალია წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონე. საშუალოდ ერთ ფაბრიკაში კვერცხმდებლების საშუალო წლიური სულადობა 1978 წელს უდრიდა 76 ათას ფრთას, კვერცხის წარმოება 326 მილიონს, დედლის კვერცხმდებლობა კი 168 ცალს. მაშინ როდესაც საშუალოდ ერთ მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოზე გაანგარიშებით კვერცხმდებლების საშუალო წლიური სულადობა არ აღემატებოდა 14 ათასს ფრთას, კვერცხის წარმოება 1,6 მილიონს, ხოლო დედლის საშუალო წლიური კვერცხმდებლობა უდრიდა 116 ცალს. ქობულეთის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში კვერცხმდებლების საშუა-

ლო წლიური სულადობა უდრიდა 22 ათას ფრთას, კვერცხის წარმოება 3388 ათასს, ხოლო დედლის საშუალო წლიური კვერცხმდებლობა კი — 155 ცალს. წარმოების სპეციალიზაცია — კონცენტრაციისა და ფრინველის პროდუქტიულობის დაბალი დონე მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც აპრობებენ მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეს.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ზრდას. ამასთან დაკავშირებით, აჭარის ასსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოებში საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც აამაღლებს პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობას. მაგალითად, ცხოველის კვება მეცნიერულად დასაბუთებული საკვების ნორმებით და მეთოდებით, შენობებში ოპტიმალური პირობების შექმნა, მიკროკლიმატის რეგულირების მაქსიმალური გამოყენება, პირუტყვის და ფრინველის გამოზრდა ზოოტექნიკურად გამართლებული მიმართულებით, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, გამოყენება და სხვ.

წარმოების ეფექტიანობის სინთეზურ მაჩვენებელს მიეკუთვნება პროდუქციის თვითღირებულება, რომელშიაც გამოხატულებას პოულობს სამუშაო ღირისი, ნედლეულის და მასალების ეკონომია.

აჭარის ასსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოებში საერთოდ მეცხოველეობისა და მათ შორის მეფრინველეობის პროდუქციის თვითღირებულება მაღალია და ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 1978 წელს, 1976 წელთან შედარებით, გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და ღორის წონამატის თვითღირებულება საშუალოდ, როგორც საქართველოს სსრ-ის, ისე აჭარის ასსრ-ის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში. „აჭარცხოველმრეწვის“ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და ღორის წონამატის თვითღირებულება 1978 წელს, 1976 წელთან შედარებით, გაიზარდა შესაბამისად 61 და 42%-ით. საქართველოს სსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოებში კი-72 და 14%-ით. „საქფრინველმრეწვის“ კვერცხისა და ფრინველის წონამატის თვითღირებულება 1978 წელს, 1976 წელთან შედარებით, გაიზარდა შესაბამისად 18 და 14%. საქართველოს სსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოებში გაიზარდა კვერცხის თვითღირებულება 16%-ით, ფრინველის წონამატის თვითღირებულება შემცირდა 5%-ით. ქობულეთის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში კი გაიზარდა როგორც კვერცხის, ისე ფრინველის წონამატის თვითღირებულება შესაბამისად 57 და 9%-ით.

მეფრინველეობის სპეციალიზებულ მეურნეობებში ფრინველის, კვერცხისა და წონამატის თვითღირებულების დინამიკა გვიჩვენებს, რომ კვერცხის თვითღირებულება შედარებით მაღალია საქართველოს სსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოებში. ქობულეთის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში კი 1978 წელს კვერცხის თვითღირებულება 15%-ით მეტია ვიდრე საშუალოდ „საქფრინველმრეწვის“ და 12%-ით ნაკლები, ვიდრე საქართველოს სსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოებში. ფრინველას წონამატის თვითღირებულება ქობულეთის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში 42%-ით მეტია ვიდრე საშუალოდ „საქფრინველმრეწვის“ და 7%-ით მეტი, ვიდრე საქართველოს სსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოში.

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქციის თვითღირებულების დონეზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, რომელთა შორის აღსანიშნავია პრო-

დუქტიულობა, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია და ელექტრიფიკაციის დონე, შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურების სისტემა, პირუტყვისა და ფრინველის შენახვისა და კვების სისტემა, წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია, პირუტყვის და ფრინველის ჯიშობრივი შედგენილობა და სხვ.

„აჭარცხოველმრეწვის“ დაბალია პროდუქტიულობის ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა პირუტყვის სადღელამისო წონამატი. 1978 წელს აქ საშუალოდ სადღელამისო წონამატი უდრიდა 287 გრ-ს, მაშინ როდესაც ეკონომიკურად გაუმართლებლად ითვლება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ინტენსიურად გამოზრდა-სუქება თუ სადღელამისო წონამატი 800 გრ-ზე ნაკლებია².

წარმოების კონცენტრაციისა და პირუტყვის პროდუქტიულობის დაბალი დონე მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც აპირობებენ „აჭარცხოველმრეწვის“ საწარმოებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის წონამატის მაღალ თვითღირებულებას.

აჭარის ასსრ-ში მხოლოდ ქობულეთისა და ხელვაჩაურის შერეული ტიპის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში წარმოებს ღორის გამოზრდა-სუქება. მეღორეობაში პროდუქციის მაღალ თვითღირებულებას განსაზღვრავს პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებელი. აქ საშუალოდ ერთ დედა ღორზე მიღებული იქნა 9 გოჭი, საშუალო სადღელამისო წონამატი კი უდრიდა 135 გრ-ს. მაშინ როდესაც, როგორც მოწინავე სამრეწველო საწყისებზე მომქმედი მეურნეობის გაჩოცილება გვიჩვენებს, ერთ დედა ღორზე შეიძლება აყვანილი იქნეს 12—14 სულამდე გოჭი, სადღელამისო წონამატი კი 500 — 600 გრამამდე გაიზარდოს.

პროდუქტიულობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც აპირობებს აგრეთვე ქობულეთის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში კვერცხის თვითღირებულების მაღალ დონეს, 1978 წელს აქ კვერცხმდებლობა უდრიდა 155 ცალს, მაშინ როდესაც საშუალოდ „საქფრინველმრეწვის“ ერთი კვერცხმდებლისგან მიღებული იქნა 168 ცალი კვერცხი.

როდესაც ფრინველის პროდუქტიულობასა და პროდუქციის თვითღირებულების უკუპროპორციულ დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სხვა გარემოებაც, მაგალითად, წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონე. იქ, სადაც მაღალია წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონე, შედარებით დაბალია პროდუქციის თვითღირებულება.

იმის საილუსტრაციოდ თუ რა გავლენას ახდენს წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონე ფრინველის კვერცხის თვითღირებულების დონეზე, მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოები კვერცხის წარმოების მიხედვით დაეჯგუფეთ (იხ. ცხრილი 1).

როგორც დაჯგუფებამ გვიჩვენა წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის დონის ზრდასთან ერთად 1000 ცალ კვერცხზე საკვების დანახარჯები და პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება. ასე მაგალითად, IV ჯგუფში 1 ჯგუფთან შედარებით ერთ საწარმოში წარმოებული კვერცხის რაოდენობა საშუალოდ გაიზარდა 38-ჯერ, კვერცხმდებლების საშუალო წლიური სულადობა — 16,7-ჯერ. თუ პირველ ჯგუფში კვერცხის ღირებულების ხვედრითი წონა სასაქონლო პროდუქტიაში უდრიდა 13,5%-ს,

² Передовой опыт повышения эффективности сельского хозяйственного производства, М., 1977, 101.

მე-4 ჯგუფში 62%-მდე გაიზარდა. დახარჯული საკვები 1000 ცალი კვერცხის წარმოებაზე შემცირდა 36,8%-ით. პროდუქციის თვითღირებულება კი—73,8%-ით.

ცხრილი 1

მეფრინველობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში წარმოების კონცენტრაციის ღონის გავლენა კვერცხის თვითღირებულების ღონეზე³

	მეფრინველობის სამეურნეობათაშორისო საწარმოთა დაჯგუფება წარმოებული კვერცხის რაოდენობის მიხედვით (მლ. ცალი)	მეფრინველობის საწარმოთა რაოდენობა % -ით ჯგუფში	საშუალო ერთ საწარმოში წარმოებული კვერცხის რაოდენობა (მლ. ცალი)	კვერცხმწვლედი რედაქციის საშუალო წლიური სულ ღირება (ათასი ფრთა)	მეფრინველობის სასაქონლო პროდუქტებში კვერცხის ღირებულების ხვედრითი წონა (%-ში)	დახარჯული საკვები 1000 ცალი კვერცხის წარმოებაზე (ც. საქ. ერთ.)	1000 ცალი კვერცხის თვითღირებულება (მან.)
I	0,5 ჩათვლით	14,3	0,1	0,18	13,5	5,7	402,74
II	0,5—1,5	42,9	0,9	10,4	25,3	5,2	149,55
III	1,5—2,5	19,0	1,8	15,2	50,9	3,9	113,51
IV	2,5-ის ზევით	23,8	3,8	30,0	62,0	3,6	105,56
V	საშუალოდ	—	1,8	16.2	45.5	4,1	119,58

ქობულეთის მეფრინველობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში ფრინველის პროდუქტიულობის, წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ღონის ამალგებით შეიძლება მნიშვნელოვნად შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.

მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სპეციალიზებულ მეურნეობებში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის საჭიროა ეკონომიის მკაცრი რეჟიმის დაცვა, მატერიალური საშუალებებისა და ფულადი სახსრების რაციონალური გამოყენება, რისთვისაც საჭიროა ეფექტიანად გამოიყენებოთ საკვები, ელექტროენერგია, სათბობი, შენობები, ტექნიკა და მოწყობილობები. საჭიროა დავიცვათ ცოცხალი შრომის გამოყენების მკაცრი რეჟიმი და სხვ.

აჭარის ასსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოებში პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ როგორც მეცხოველეობის, ისე მეფრინველეობის თვითღირებულების სტრუქტურაში დანახარჯების ძირითად მუხლს მიეკუთვნება საკვების ხარჯები. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის წონამატის თვითღირებულების სტრუქტურაში საკვებზე მოდის შესაბამისად 71,7 და 57,1%, ქობულეთის მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში კი კვერცხისა და ფრინველის წონამატის თვითღირებულების სტრუქტურაში საკვებზე მოდის 40,3 და 51,9%.

„აჭარცხოველმრეწვეში“ ერთ ცენტ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვზე 1978 წელს დაიხარჯა 12,9 ცენტ საქ. ერთეული, ერთი პირუტყვის საშუალო წონა უდრიდა 134 კგ-ს, 1976—1980 წწ. საკვების ხარჯვის ნორმატივის მიხედვით კი უნდა დახარჯულიყო 9,3 ცენტ საკვები ერთეული⁴.

³ ცხრილი შედგენილია წლიური ანგარიშების მიხედვით.

⁴ Нормативы для планирования сельского хозяйства (животноводства). М., 1975, с. 27.

აჭარის ასსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოებში პროდუქციის თვით-ღირებულების სტრუქტურაში საკვები მნიშვნელოვანი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი, ამიტომ პროდუქციის ერთეულზე საკვების დანახარჯების შე-პკირებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ინტენსიური გამოზრდა-სუქება მნი-შვნელოვნად ამცირებს საკვების დანახარჯებს. პროდუქციის ერთეულზე გა-ანგარიშებულია, 400-კგ-იანი მოზვერი რომ გამოვზარდოთ ოცდაათი თვის ასაყ-ში, საჭიროა დიხხარჯოს დაახლოებით 4 ათასი საკვები ერთეული. თუ გავზრდით სადღეღამისო რაციონის ყუათიანობას, გაიზრდება წონამატაც. ისე რომ 400 კგ მიიღება არა 30, არამედ 18 თვის ასაყში. ნამდვილი ინტენსიური გამოზრდისა და სუქების შემთხვევაში კი შეიძლება ასეთი წონა 15 თვის ასაყშიც იქნეს მი-ღებული, რაც თითოეულ მოზვერზე 2400 საკვები ერთეულით ამცირებს საკ-ვების დანახარჯებს. გამოდის, რომ ინტენსიური სუქებით ყოველი 1000 სულ პირუტყვზე ჩვენ იმდენი საკვების ეკონომიას მივიღებთ, რომ დამატებით შეი-ძლება 660 სული პირუტყვის გასუქება. აი სად არის დაფარული საკვების ეკო-ნომიისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვები.

ინტენსიურ სუქებაზე გადასვლა ნიშნავს მეცხოველეობაში სამრეწველო ტექნოლოგიის მეთოდების დანერგვას, ეს არის დარგის ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც კომპლექსური მექანიზაციის დანერგვასთან ერთად ძირე-ულად იცვლება საკვებწარმოების სტრუქტურა და სანაშენე საქმიანობა, ზოო-ტექნიკური და ვეტერინარული მუშაობის დონე და ხარისხი, ინერგება შრო-მის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა, რომელიც ემსახურება პირუტყვის ერთ-გვაროვან ჯგუფს, წარმოებას უწყვეტი კონვეიერული ხასიათი ეძლევა.

მეცხოველეობის განვითარების მთავარი ფაქტორი საკვები ბაზაა. არც მეცხოველეობის პროდუქციით წარმოების თანამედროვე ტექნოლოგია, არც სანაშენე მუშაობის ყველაზე სრულყოფილი მეთოდები არ მოგვეცემს სასურ-ველ ეფექტს, თუ მეურნეობაში საკვების წარმოება არ არის მოწესრიგებული. ინტენსიური მეცხოველეობისათვის ინტენსიური საკვებწარმოებაა საჭი-რო. მეცხოველეობის პროდუქციის სამრეწველო წარმოება შეუძლებელია თუ მეურნეობა განუწყვეტლივ არ დავაკმაყოფილეთ საკმარისი რაოდენობის სა-ჭირო ასორტიმენტისა და ხარისხის საკვებით.

სპეციალიზაციის გარმავება მოითხოვს საკვებწარმოება გამოიყოს მი-წათმომქედების დამოუკიდებელ დარგად, თავისი კადრებით, ტექნიკითა და მიწით, რომელზეც განლაგებული იქნება სპეციალიზებული საკვები თესლ-ბრუნვა.

სამრეწველო ტიპის მეცხოველეობის სპეციალიზებული მეურნეობების მომარაგებისათვის სასურველია შეიქმნას საკვებმწარმოებელი მეურნეობები კოოპერაციის საფუძველზე.

სასურველია არა მარტო გაიზარდოს საკვების წარმოება, არამედ ყოველ-ნხრივ ავამაღლოთ მისი ხარისხიც. საჭიროა საკვები შეიცავდეს აუცილებე-ლი რაოდენობის ცილებსა და ვიტამინებს, გააჩნდეს ისეთი ტექნოლოგიური თვისებები, რომელიც მის შენახვას გააიოლებს, ტრანსპორტაბელური იქნება და საკვებდარიგებისათვის მოსახერხებელი. მაგრამ მეცხოველეობის ორგანი-ზაციის დროს საკვების დამზადების და გამოყენების როგორი მეთოდიც არ უნდა იქნეს გამოყენებული, საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ის, რომ

ფურაჟის ზრდის ტემპი აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს პირუტყვის სულადობის ზრდის ტემპს. არის შემთხვევა, როდესაც მეურნეობა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების მიზნით მკვეთრად ზრდის პირუტყვის სულადობას. თუ სულადობის შესაბამისად არ გავზარდეთ სრულფასოვანი საკვების წარმოებაც, ეს გამოიწვევს, როგორც პირუტყვის პროდუქტიულობის შემცირებას, ისე გაიზრდება ერთ ცნტ პროდუქტიაზე საკვები ერთეულის დანახარჯები, რაც საბოლოოდ გააუარესებს წარმოების შედეგობრივ ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

Представления выносились: по месту работы или учебы подростка (42%), по месту работы родителей или лиц, их заменяющих (17%), в исполком — включая КДН — (15%), в адрес потерпевшей организации (13%), в адрес органов МВД (8%), в адрес органов народного образования (5%). Обращает на себя внимание весьма низкий процент вынесенных представлений непосредственно в комиссию по делам несовершеннолетних. По данным украинских исследователей, почти каждое пятое представление направлялось непосредственно в КДН²³.

Представления выносились по следующим вопросам: о ненадлежащем воспитании детей в семье (24%), о недостатках воспитательного процесса в учебном заведении (48%), о несвоевременном выявлении правонарушителей органами МВД (13%), о недостатках в охране объектов (13%), об аморальном поведении родителей в быту (1%), о недостатках работы КДН (1%). Как видно, только в 1% случаев органы расследования вынесли представление относительно семейного воспитания подростка с указанием конкретных причин, способствующих совершению преступлений. Лишь в 1% случаев в представлении ставился вопрос о недостатках в работе КДН, тогда как по данным, приведенным выше, только к 14% осужденных несовершеннолетних ранее применялись меры, назначаемые КДН. Ни одного представления не было вынесено по вопросам о ненадлежащей работе инспекций по делам несовершеннолетних.

Что касается частных определений, то в 61% случаев они также не выносились. Таким образом, причины и условия, способствующие совершению преступлений несовершеннолетними, в более чем половине случаев либо не выяснялись, либо оставались без соответствующего реагирования. Между тем существует законодательная регламентация (ст. 60 УПК Грузинской ССР) о необходимости выявления причин и условий совершения преступлений, кроме того, в Постановлении № 16 «О практике применения судами законодательства по делам несовершеннолетних и о вовлечении их в преступную и иную антиобщественную деятельность» специально напоминалось, что суды «не по всем делам выясняют причины и условия, способствующие совершению преступлений»²⁴.

В случаях вынесения судом частных определений они направлялись по месту учебы или работы подростка (18%), по месту работы родителей или лиц, их заменяющих (24%), в адрес органов МВД (19%), в адрес комсомольских организаций (3%), в органы народно-

²² Профилактическая деятельность следствия и суда имеет и другой аспект, не связанный с расследованием и судебным разбирательством уголовных дел. Его изучение предусмотрено нами на следующем этапе исследования.

²³ Теоретические проблемы предупреждения правонарушений несовершеннолетних. Киев, 1977, с. 232.

²⁴ Бюллетень Верховного Суда СССР. 1977, № 1, с. 12.

го образования (6%), в адрес потерпевшей организации (12%), в исполком (включая КДН) (18%). По своему характеру лишь 54% из выносимых определений можно считать удовлетворительными. Остальная часть определений не отвечает требованиям, предъявляемым к ним, так как в них ведутся общие рассуждения о воспитательной работе. Вместо того, чтобы писать частные определения и посылать их в соответствующие инстанции, суды, как правило, практикуют рассылание вместо них копий приговоров для соответствующего реагирования на местах. Такая подмена не должна иметь места. Представляется целесообразным посылать частные определения вместе с копией приговора. Это избавило бы суды от необходимости в частном определении излагать содержание приговора, тем самым сконцентрировав все внимание на конкретных причинах и условиях, способствующих совершению преступлений и даче реально выполнимых рекомендаций по их устранению.

Не является полным и круг вопросов, по которым суды выносят частные определения. Так, по нашим данным выносилось следующее количество частных определений: о ненадлежащем воспитании в семье (23%), об аморальном поведении родителей в быту (9%), о недостатках воспитательного процесса по месту учебы или работы подростка (35%), о недостатках в работе правоохранительных органов (18%), о недостатках в охране объектов (15%). Ни одно частное определение не ставило предметом обсуждения недостатки в работе КДН и ИДН, а также в воспитательной работе комсомольских организаций, что можно объяснить или плохой осведомленностью судей о прямой компетенции этих органов, либо просто игнорированием роли этих организаций в профилактике преступности несовершеннолетних. Следует отметить, что лишь 16% уголовных дел рассматривалось на выездной сессии. По нашим данным лишь в 10% случаев в деле участвовали представители общественности. Для повышения роли общественности в деле воспитания подрастающего поколения следует гораздо чаще привлекать ее представителей к участию в судебном разбирательстве.

Таким образом, подытоживая сказанное, необходимо отметить, что в соответствии с результатами исследования в регионе существует ряд не решенных еще до конца проблем в борьбе с преступностью несовершеннолетних. Уже на данном этапе исследования можно выделить такие из них, как незанятость определенной части несовершеннолетних ни учебой, ни работой, в связи с чем повышается возможность совершения некоторыми из них преступлений. Далее, все еще оставляет желать лучшего организация досуга несовершеннолетних, особенно в летний период. Должно вызывать озабоченность и положение в связи с большим процентом преступников выходцев из неполных семей, а также неблагополучных в другом отношении, о чем говорилось выше. Повышенное внимание должно быть уделено также и обеспечению криминологического аспекта в деятельности собственно правоохранительных органов.

С учетом сказанного, а также принимая во внимание, то, что преступность несовершеннолетних в целом весьма чувствительно реагирует на меры воспитательно-правового характера, в регионе необходимо уделить повышенное внимание разрешению следующих задач:

— организации действенного контроля за поведением несовершеннолетних с целью оперативного реагирования на случаи незанятости подростков ни учебой, ни работой;

— оказанию необходимой помощи государственным и общественным организациям в проведении мероприятий (с охватом всех несовершеннолетних, требующих повышенного контроля) по организации досуга (особенно в летний и каникулярный период) подростков, по месту жительства, учебы или работы;

— выявлению семей с ненадлежащими условиями воспитания, с целью оказания им необходимой помощи в воспитании детей;

— повышению качества воспитательно-профилактических мероприятий в учебных заведениях (особенно по линии ПТУ) и на производстве;

— обеспечению информационного аспекта в деятельности следствия и суда по расследованию и судебному разбирательству конкретных уголовных дел (наличие в каждом конкретном случае в уголовном деле необходимых данных с места жительства, учебы или работы подростков или их родителей или лиц, их заменяющих, а также и информации о несовершеннолетних, которой располагают КДН и ИДН — как специализированные звенья системы профилактики);

— повышению качества выявления и соответствующего реагирования (по каждому конкретному случаю совершения преступления несовершеннолетним) на обстоятельства, способствующие совершению преступлений несовершеннолетними (вынесение представлений и частных определений в каждом отдельном случае с указанием на конкретные причины, способствующие совершению преступлений, и дачей реально выполнимых рекомендаций по их незамедлительному устранению).

Представлена отделением криминологии и криминальной психологии Института экономики и права АН ГССР

მინდია უბრაშელიძე

ცნობილი ამერიკელი კრიმინალისტის
ფუნდამენტური ნაშრომი

SUBSTANTIVE CRIMINAL LAW

M. CHERIF BASSIOUNI

LL.B., J.D., LL.M., S.J.D.

Professor of Law, DePaul University College of Law
Chicago, Illinois

თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის სამეცნიერო ბიბლი-
ოთეკამ ძვირფასი უცხოური წიგნი
შეიძინა. ეს არის ცნობილი ამერი-
კელი კრიმინალისტის შერიფ ბასი-
ონის ფუნდამენტური ნაშრომი —
„მატერიალური სისხლის სამართა-
ლი“¹.

შ. ბასიონი გამორჩეული ფი-
გურაა უცხოელ მეცნიერ კრიმინა-
ლისტთა შორის. იგი დე პოლის
უნივერსიტეტის ჩიკაგოს სამართ-
ლის კოლეჯის პროფესორია და სხვა

რამდენიმე მნიშვნელოვან თანამდებობასაც ითავსებს. როგორც სისხლის სა-
მართლის საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდივანი და სისხლისსა-
მართლებრივ მეცნიერებათა უმაღლესი სწავლების საერთაშორისო ინსტიტუ-
ტის² დეკანი, შ. ბასიონი აქტიურ და მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწევა მსოფ-
ლიოს მასშტაბით.

შ. ბასიონის მეცნიერული თვალსაწიერი არ შემოიფარგლება მარტო
სისხლისსამართლებრივი თემატიკით. იგი სისხლის სამართლის პროცესის, სა-
ერთაშორისო სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის პრობლემათა აღიარ-
ებული მკვლევარიცაა; მრავალი მონოგრაფია თუ სტატია დაუწერია ამ დარ-
გებში³. მატერიალური სისხლის სამართლისადმი მიძღვნილი მისი ბოლო ნაშ-
რომი ერთგვარი შეჯამებაა მთელი წინამორბედი კვლევა-ძიებისა, რომელიც
სამართლის მომიჯნავე დარგებში მიღწეულ მეცნიერულ შედეგებსაც მოიცავს.

¹ M. Cherif Bassiouni. Substantive Criminal Law. Springfield (Illinois), 1978.

² ეს ინსტიტუტი იტალიის ქალაქ სირაკუზაში (სიცილია) მოქმედებს.

³ იხ. მაგალითად, M. C. Bassiouni. Criminal Law and its Processes (1969); The Law of Dissent and Riots (1974); International Extradition and World Public Order (1974); The Growth and Developing Trends of International Criminal Law, „Revue Internationale De Droit Penal“, 1974, № 43; Bassiouni and Sewell, Scientific Theories of Delinquency and Criminality, „De Paul Law Review“, 1974 № 23.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ შ. ბასიონის თაოსნობით და თანარედაქტორობით საბჭოთა მეცნიერ ვ. სივციკისთან ერთად 1979 წელს აშშ-ში გამოიცა ვრცელი კოლექტიური მონოგრაფია „სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემა სსრ კავშირში“ (იხ. The Criminal Justice System of the USSR. Edited by M. Cherif Bassiouni and U. M. Savitski. Springfield (Illinois) 1979).

ომის შემდგომი პერიოდის ამერიკულ იურისპრუდენციაში ცოტა თუ მოიპოვება ისეთი მასშტაბური სისხლისსამართლებრივი გამოკვლევა, როგორც შ. ბასიონის ნაშრომი. მართალია, ყველაზე უფრო ავტორიტეტულად აშშ-ში დამსახურებულად ითვლება ჯერომ ჰოლის წიგნი „სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები“⁴. მაგრამ ეს წიგნი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრობლემატიკით ამოიწურება მხოლოდ. შ. ბასიონის ნაშრომის უპირატესობა ის არის რომ მასში შესწავლილია სისხლის სამართლის როგორც ზოგადი ისე განსაკუთრებული ნაწილის პრობლემები. დასაინია, რომ ჯ. ჰოლის წიგნისა არ იყოს, სისხლის სამართლის ამერიკული სისტემის სხვა სისტემებთან შედარება-შეპირისპირებას აქაც ერთობ მოკრძალებული ადგილი აქვს დათმობილი. მაგრამ სამართლის ამერიკული დოქტრინა საკმაოდ იშვიათად მიმართავს, ან, ყოველ შემთხვევაში, ვიწროდ იყენებს შედარებითი კვლევის მეთოდს. გასაგებია: ამერიკული კანონმდებლობა ხომ არსებითად ერთმანეთისადმი დაუქვემდებარებელი 53 დამოუკიდებელი საკანონმდებლო „სისტემის“ კონგლომერატია, რომელშიც თითოეულ ცალკეულ სისტემას (ფედერალურს, 50 შტატისა, კოლუმბიის ოლქისა და პუერტო-რიკოს ტერიტორიისა) ისტორიულად შეპირობებული უამრავი თავისებურება ახასიათებს⁵. ამ თავისებურებათა შედარებითი ანალიზი წარმოდგენს ამერიკული მეცნიერების უწინარეს ამოცანას. ამერიკელი სამართალმცოდნე უბრალოდ „ვერ იცლის“ ისედაც რთული ამერიკული საკანონმდებლო სისტემის სხვა სისტემებთან მეცნიერული შედარება-შეჯერებისათვის, ან კიდევ სპეციალურ ნაშრომებში ეწევა საამისოდ დამოუკიდებელ კვლევას⁶. აი საიდან წარმოდგება ან როგორ დამკვიდრდა შედარებითი მეთოდის შეზღუდვითი ინტერპრეტაცია და გამოყენება სამართლის ამერიკულ მეცნიერებაში.

სხვა ნაშრომთა შორის შ. ბასიონის წიგნი ყველაზე უფრო გვიან დაიწერა მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის ამერიკული კანონმდებლობის რეფორმა დაიწყო⁷. ეს საშუალებას აძლევს მკითხველს სრული წარმოდგენა იქონიოს ამერიკული სისხლის სამართლის განვითარების უაღრესად საინტერესო, რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესზე. ასეთი ეფექტი მართო იმით კი არ არის უზრუნველყოფილი, რომ ავტორი ხშირად მიმართავს ისტორიულ წიაღსვლებს. რაც მთავარია, წიგნი მდიდარია საკანონმდებლო მასალით და ცოცხალი მაგალითებით რეფორმის შემდგომი პერიოდის სასამართლო პრაქტიკიდან.

ქართველ მკითხველს უთუოდ ეუცხოვება შ. ბასიონის წიგნის აღნაგობა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მისი არქიტექტონიკა სამართლის ამერიკული სისტემის სპეციფიკურობისა და ამერიკულ მეცნიერებაში დამკვიდრე-

⁴ იხ. J. Hall. General Principles of Criminal Law, Indianapolis, 1960 (2 d ed).

⁵ იხ. Б. С. Н и к и ф о р о в. К вопросу о реформе уголовного законодательства в США (Политический аспект). „Правовые исследования“. Сборник научных статей, посвященных 70-летию Тинатин Васильевны Церетели, Тбилиси, 1977, с. 189.

⁶ ცნობილია მაგალითად, შ. ბასიონის ნაშრომი, რომელიც სისხლის სამართლის იუსტიციის ძირითადი სისტემების შედარებით ანალიზს ეძღვნება სავანგებოდ. იხ. M. C. Bassiouni. A Survey of the Major Criminal Justice Systems in the World. Encyclopedia of Criminology (Gieser ed.). 1974, p. 527.

⁷ ამ რეფორმის შესახებ დაწერილებით იხ. Wachsler. Codification of the Criminal Law in the US. „Columbia Law Review“. 1968, 68, 1423.

ბული ტრადიციების გამოკრთომა უფროა, ვიდრე ავტორის ნაზრვეის ორიგინალობისა.

წიგნი ათი თავისაგან შედგება. პირველია— „სისხლის სამართლის წყაროები და ფარგლები“. აქ განხილულია აშშ-ის კონსტიტუციით გათვალისწინებული დანაშაულობანი, საერთაშორისო სისხლის სამართლის საკითხები, ფედერალური კანონმდებლობა და მისი მიმართება საშტატო კანონმდებლობასთან. არ არის დაეწყებული საკოდიფიკაციო მოძრაობის ისტორია. საინტერესოა ე. წ. საერთო სამართლის (common law) დანაშაულთა თანაფარდობის გარკვევა სტატუტორულ დანაშაულთა ტიპებთან.

„სისხლის სამართლის მიზნები და მეთოდები“ — ასეა დასათაურებული მეორე თავი. ავტორი ცდილობს ჯერ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საზრისი გაარკვიოს და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს სისხლის სამართლის მიზნებისა და მეთოდების განსაზღვრას. ერთ-ერთი ცენტრალური პარაგრაფი კრიმინალიზაციის საფუძვლებს ეძღვნება. მნიშვნელოვანია სასაჯელთა ფორმების ანალიზი და სასაჯელთა თეორიების განხილვა: სასაჯელის ამერიკული თეორიები ხომ ნაკლებად ცნობილია საბჭოელი მკითხველისათვის. დასასრულ, ყოველმხრივ გაშუქებულია სიკვდილით დასჯის პრობლემა.

მესამე თავია „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოდელები“. აქ განხილულია პასუხისმგებლობის ხუთი მოდელი: 1—უშუალო პასუხისმგებლობა (direct responsibility); 2—სხვისმაგიერი პასუხისმგებლობა (vicarious responsibility); 3—იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა (corporate responsibility); 4—უფროსის პასუხისმგებლობა ხელქვეითის ბრალისათვის (command responsibility) და 5—აბსოლუტური პასუხისმგებლობა (strict accountability). ამ უბრალო ჩამოთვლიდანაც კი ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დაკინებულია მოქმედ ამერიკულ კანონმდებლობაში მორალური ბრალის მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც საკანონმდებლო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი შედეგი, როგორც მოვლიდნენ, იურიდიული ინსტიტუტებისა და ნორმების შემდგომი „მორალიზაცია“ უნდა ყოფილიყო.

მეოთხე თავში დანაშაულის კონსტიტუციური ელემენტებია გამოკვლეული. ავტორი ცალ-ცალკე აშუქებს დანაშაულის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს. მიზეზობრიობის პრობლემა რატომღაც ობიექტური მხარისაგან გამოცალკევებით არის განხილული. იქნებ იმიტომ, რომ ნაშრომში იგი არ არის გააზრებული როგორც წმინდა ობიექტური კატეგორია. შ. ბასიონის მიაჩნია, რომ მიზეზობრივი კავშირის არსებობა-არარსებობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეეძლო გაეთვალისწინებინა სამართალდაპრდევებს აკრძალული ქმედობის თანამდევ გარემოებათა ზეგავლენა მოვლენათა მსვლელობაზე⁸. ასეთი პოზიცია მცდარ მეთოდოლოგიურ საფუძველს ემყარება⁹, რომელმაც ლოგიკური თანამიმდევრობით მიზეზობრიობის კატეგორიის გაუქმებამდე უნდა მიგვიყვანოს.

წიგნის მეხუთე თავი დაუმთავრებელი დანაშაულის ცნებასა და ტიპებს ეძღვნება. ამ თავს ერთობ უცნაური სახელწოდება აქვს— „ახლადჩასახული დანა-

⁸ იხ. M. Cherif Bassiouni. Substantive Criminal Law, p. 192.

⁹ იხ. Т. В. Церетели. Причинная связь в уголовном праве. М., 1963, с. 163; Журн советского уголовного права в шести томах, т. II. Преступление. М., с. 155—160.

შაული“ (inchoate crimes). ამერიკელი სისხლის სამართალი „ახლადჩასახული დანაშაულის“ ცნებაში რამდენიმე შემთხვევას აერთიანებს. ესენია: მცდელობა (რომელიც მოსამზადებელ სტადიასაც გულისხმობს), დანაშაულებრივი შეთქმულება და წამქეზებლობა. აშშ-ის სისხლის სამართლის ახალი ფედერალური კოდექსის პროექტი (1971 წ.) ახლადჩასახულ დანაშაულთა კატეგორიას მიაკუთვნებს აგრეთვე დანაშაულუბრე დახმარებას. მაგრამ პროექტის შესაბამისი მუხლი საეჭვოა რომ დაკანონდეს, იმდენად მკაცრია მეცნიერთა კრიტიკული დამოკიდებულება მის მიმართ.

შ. ბასიონი ცდილობს გამოძებნოს საერთო და განმასხვავებელი ნიშნები მცდელობას, შეთქმულებასა და წამქეზებლობას შორის. გამაერთიანებელ ნიშნად იგი იმას მიიჩნევს, რომ სამივე შემთხვევაში ქმედობის სუბიექტური მხარე სრულად არის წარმოდგენილი (დამნაშავეს სურს, რომ დანაშაული განხორციელდეს), შესაბამისი ობიექტური მხარე კი ბოლომდე არ არის მიყვანილი. არა მგონია მხოლოდ, რომ მათ შორის განსხვავებას ავტორი სწორად ხედავდეს. მცდელობის დროს დამნაშავე საკუთარი ქმედობისათვის აგებს პასუხს, შეთქმულებისა და წამქეზებლობისას კი — სხვისი ქცევისთვის, წერს იგი¹⁰. წიგნის სხვა ადგილას შ. ბასიონი ამტკიცებს, წამქეზებისა და შეთქმულების მონაწილეთა პასუხისმგებლობა „დამოუკიდებელია დანაშაულის რეალურად ჩამდენი პირის პასუხისმგებლობისაგან“¹¹.

თანამონაწილეობის ბასიონისეული გაგება სამართლიანად არის გაკრიტიკებული ლიტერატურაში. თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი ის კი არ არის, რომ სხვამ დანაშაული ჩაიდინა, არამედ ის, რომ წამქეზებელს ან შეთქმულებელს მონაწილეს თავიანთი პირადი წვლილი შეაქვთ დანაშაულის ჩადენაში¹².

მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე თავები დათმობილი აქვს აშშ-ის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულთა ცალკეული ტიპების დაწვრილებით ანალიზს. მოკლე მიმოხილვის ფარგლებში ძნელად თუ მოხერხდება მათი შინაარსის გარჩევა. ამიტომ მხოლოდ სახელწოდებების თანამიმდევრობით ჩამოთვლას დავჯერდებით. პიროვნების საწინააღმდეგო დანაშაული; საკუთრებისა და ეკონომიკური ინტერესების საწინააღმდეგო დანაშაული; დანაშაული, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ ზნეობას; საზოგადოებრივი და სახელმწიფო წეს-წყობილების, აგრეთვე მართლმსაჯულების დაუბრკოლებლადი განხორციელების სისხლისსამართლებრივი დაცვა. — აი როგორია დასახელებული თავების შინაარსი.

განსახილველი წიგნის დასკვნითი მეთავე თავი ეძღვნება პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს, რომლებიც ინგლის-ამერიკულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში აღინიშნება ნახევრად პროცესუალური სახელწოდებით — „დაცვითი გარემოებანი“ (defences). ეს შემთხვევითაც არ არის. ინგლის-ამერიკის მეცნიერება საერთო პრინციპში ჭკრეტს ერთი მხრივ — სისხლის სამართლებრივ, ხოლო მეორე მხრივ — პროცესუალურ გარემოებებს: ალიბისა და აუცილებელ მოგერიებას, შეურაცხაობასა და ე. წ. *doubl jeopardy*-ს¹³. ამ ტრადიციას არც შ. ბასი-

¹⁰ იხ. M. Cherif Bassiouni, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

¹¹ იქვე, გვ. 147.

¹² იხ. თ. შერეილი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 54—57.

¹³ აქ კიდევ ერთხელ იქნენ თავს ინგლისურ-ამერიკული იურიდიული ტერმინებისათვის ქართული შესატყვისის გამოძებნის სირთულე. *doubl jeopardy*, რაც სიტყვა-სიტყვით ორმაგ რისკს.

ონის წიგნი ლალატობს, თუმცა ძირითადი ნაწილი მაინც მატერიალურ-სამართლებრივ ცნებებსა და ინსტიტუტებს ეძღვნება. ზემოთ ხსენებულ გარემოებებს გარდა, აქ განხილულია არასრულწლოვანობა, თანხმობა, მისატყვევებელი შეცდომა, უკიდურესი აუცილებლობა, იძულება, ალკოჰოლური ან ნარკოტიკული მოწამვლა და სხვ. მათ შორის ყურადღებას იპყრობს შეცდომის პრობლემა.

როგორც ცნობილია, საერთო სამართლის მიხედვით არც კანონის უცოდინარობა და არც იურიდიული შეცდომა გამამართლებელ გარემოებად არ ითვლებოდა. აშშ-ის მოქმედმა კანონმდებლობამ გამოიჭნა ეს ორი შემთხვევა და ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობაც მიანიჭა. თუ იურიდიულ შეცდომას შეუძლია გამამართლებელ გარემოებად გამოდგეს, კანონის უცოდინარობა ვერასოდეს ვერ გამოირიცხავს პასუხისმგებლობას. არსებობს პრინციპი: „იგულისხმება, რომ კანონი ყველამ იცის“. „ეს პრინციპი, რომელიც დიდი ხანია დამკვიდრებულია აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში, — წერს შ. ზასიონი, — სოციალური პოლიტიკისა და საზოგადოებრივ საჭიროებათა მოსაზრებებს ემყარება... მაგრამ ამ პრინციპს უმნიშვნელოვანესი სირთულე ახლავს. იგი მიისწრაფვის დააფუძნოს ბრალი გასაკიცხობის გარეშე, ან პასუხისმგებლობა — ბრალის გარეშე“¹⁴. სამწუხაროდ ავტორი ვერ პოულობს აღნიშნული სირთულის დაძლევის კონკრეტულ გზას და იმასღა სჯერდება, რომ მე-19 საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი იურისტის, ოლივერ უენდელ ჰოლმსის მოშველიებით ცდილობს გამამართლოს არსებული მდგომარეობა. ო. ჰოლმსს ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: „მსოფლიოს ყველა კანონმდებლობაში რაიმე პრინციპის გატარება დღემდე ფიქცია უფროა, ვიდრე რეალობა“¹⁵. (ო. ჰოლმსი ბრალისმცერი პასუხისმგებლობის პრინციპს გულისხმობდა — მ. უ.).

თუ ვინმეს ეკუთვნის ასეთი საყვედური, უწინარეს ყოვლისა ამას იმსახურებს ამერიკული სამართლის სისტემა, რომელიც იშვიათად თუ უწევს ანგარიშს მისატყვევებელ გარემოებათა არსებობას, მათ შორის გარემოებებს, რომლებიც გამოირიცხავენ კანონის ცოდნის რეალურ შესაძლებლობას.

მიუხედავად ამისა ვერ, ითქმის, რომ ამ მიმართებით აშშ-ის სისხლის სამართალს არავითარი ევოლუცია ზრ. განეცადოს. იურიდიული შეცდომის ნოტიო გარემოებების გამამართლებელი გარემოებებისადმი მიკუთვნება ახალი კანონმდებლობის წინგადანდგმული ნაბიჯია. ასეთ მისატყვევებელ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც ქმედობის იურიდიულ ბუნებაში გასარკვევად მოქალაქე კვალიფიციურ იურისტს მიმართავს, მაგრამ ამ ქმედობის ნებადართულობის დამადასტურებელ უსწორო რჩევას მიიღებს და, კეთილსინდისიერი რწმენის საფუძველზე, რომ მართლზომიერად მოქმედებს, კიდევაც განახორციელებს ობიექტურად დანაშაულებრივ ქცევას¹⁶. თუ ამგვარი უსწორო იურიდიული კონსულტაცია მართლმსაჯულე-

ნიშნავს, გამოიყენება იურიდიული პრინციპის აღსანიშნავად, რომლის თანახმად ერთი და იმავე ქმედობისთვის ორჯერ პასუხის მოთხოვნა დაუშვებელია (non bis in idem). სხვანაირად, ეს არის ერთი და იმავე განსჯადი ქმედობისათვის მოქალაქის ხელშეკრულად გასამართლების რისკის აკრძალვა.

¹⁴ M. Cherif Bassiouni, დასახ. ნაშრომი, გვ. 450.

¹⁵ O. W. Holmes. The Common Law. 1881, p. 50.

¹⁶ მსგავსი შეცდომა გამამართლებელ გარემოებად იქნა მიჩნეული, მაგალითად, ვინმე დევისის საქმეზე, რომელიც 1974 წელს გაიჩნა. იხ. State v. Davis, 63, Wis 2d 75, 216, New York., 2 d 31, 1974.

ბის ან სხვა ოფიციალური ორგანოებისაგან წარმოდგება, მაშინ იურიდიული შეცდომის გასამართლებლად კიდევ უფრო მტკიცე სამართლებრივი საფუძველი არსებობს. ორთავე დასახელებულ შემთხვევაში იურიდიული შეცდომა თავისი მნიშვნელობით ფაქტობრივ შეცდომას უთანაბრდება.

წიგნში ცალკეა განხილული იურიდიული და ფაქტობრივი შეცდომის გამიჯვნის საკითხი. ორკოლიანობის მავალითზე ნაჩვენებია ასეთი გამიჯვნის სირთულე და გადმოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები. მაგრამ ავტორი არ ცდილობს, დამოუკიდებელი თეორიული კონსტრუქცია შექმნას.

დასასრულ აღნიშნულია, რომ, რაოდენ მოსატყევებელიც არ უნდა იყოს ზნეობრივად, შეცდომას არავითარი გამამართლებელი მნიშვნელობა არ ენიჭება ე. წ. „აბსოლუტური პასუხისმგებლობის დელიქტებში“, სადაც აკრძალული ქმედობის ობიექტური მხარის განხორციელება პასუხისმგებლობის საკმაო საფუძველია, იმისდა მიუხედავად, მიუძღოდა თუ არა სუბიექტს ბრალი ამ ქმედობის ჩაღწევაში.

„აბსოლუტური პასუხისმგებლობის დელიქტების“ არსებობა კანონმდებლობაში ერთ-ერთი გამოჩატულებაა იმისა, თუ რაოდენ ვრცელი და განუსაზღვრელია დასჯად ქმედობათა წრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. სხვა მრავალი საბუთიც არსებობს ამ გარემოების საილუსტრაციოდ. ვერც შ. ბასიონი უარყოფს ამ ფაქტს. უფრო მეტიც, იგი პირდაპირ აცხადებს, ომის შემდგომი პერიოდის მთავარი დანაშაულობის ზრდისა და ახალ-ახალ ქმედობათა კრიმინალიზაციის ტენდენცია ძალუმაღ შეიჭრა აშშ-ის სინამდვილეში¹⁷. შეიქმნა ვითარება, რომელსაც „ქარბკრიმინალიზაციის კრიზისი“ ეწოდა. (crisis of over-criminalisation). ასეთი ვითარება არ შეიძლება შემფოთების გარეშე აღიქმებოდეს იმ ქვეყანაში, სადაც იურიდიული სენტენციაც კი არსებობს: „რაც უფრო ნაკლებია კრიმინალიზაცია, მით უმჯობესია სისხლის სამართალი“ («Criminal law is best, when it criminalizes least»).

იბადება კითხვა, სად არის ხსნა შექმნილი ვითარებიდან? უზარმაზარი ფორმატის 550 გვერდიან წიგნში, რომელიც მასალის სიჭრელის მიუხედავად, საოცრად ნათლად და გასაგები ენითაა დაწერილი, მკითხველი ვერ იპოვის რამდენადმე დამაკმაყოფილებელ პასუხს ამ კითხვაზე. „70-იან წლებში არჩევანი გამარტივდა, — წერს ბასიონი: ან უნდა გაზრდილიყო სათანადო რესურსები სისტემის მოთხოვნათა შესასრულებლად, ან კიდევ უარი უნდა გვეთქვა ზოგიერთ მოთხოვნაზე. უპირატესობა უკანასკნელ ალტერნატივას მიენიჭა და... დეკრიმინალიზაცია მაგიურ ფორმულად იქცა“¹⁸.

როდესაც სისტემა „სათანადო რესურსებით“ ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნათა შესრულებას, სხვა გზა არ არის, საკუთრივ მოთხოვნები უნდა გაუქმდეს. მაგრამ 70-იანი წლების ამერიკის ერთ-ერთი ტრადიცია სწორედ ის არის, რომ მოთხოვნებზე უარის თქმა თეორიულ მოწოდებად გაისმის, პრაქტიკული მოქმედების პრინციპი კი უცვლელი რჩება. ყოველ შემთხვევაში, კანონმდებლობის ანალიზი არ იძლევა სხვა დასკვნის საფუძველს. სულ უფრო მეტად ფართოვდება საერთო-ფედერალური ინტერესების სისხლისსამართ-

¹⁷ იხ. M. Cherif Bassiouni, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

¹⁸ იქვე.

ლებრივი დაცვის სფერო¹⁹, რაც იმის მათუწყებელია, რომ „სისტემის მოთხოვნები“ არათუ არ კლებულობს, არამედ კიდევ უფრო იზრდება.

ასეთია ზოგიერთი კერძო მოსაზრება, რომელსაც შ. ბასიონის ნაშრომის პირველი ზედაპირული მიმოხილვა წარმოშობს. მაგრამ შინაარსობრივად რთული ეს წიგნი შემდგომ სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს, რათა უფრო ღრმად და საფუძვლიანად იქნეს გამოკვლეული აშშ-ის სამართლის მეთოდოლოგიური წინამძღვრები და სოციალურ-პოლიტიკური მიზანდასახულობა. ამით არა მარტო განმტკიცდება ბურჟუაზიული სამართლის იდეოლოგიის შესწავლის ტრადიციები ქართველ იურისტებს შორის, არამედ კიდევ უფრო გამდიდრდება კვლევის არსენალი შედარებითი სამართალმცოდნეობის დარგში. შედარებითი გამოკვლევების გაშლა-გაღრმავება კი ქართველ მეცნიერ იურისტთა გადაუდებელი ვალია.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 წევრ-კორესპონდენტმა | თ. წერეთელმა |

¹⁹ იხ. Б. С. Никифоров, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში

1980 წლის 3 ივლისს შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის 1976—1979 წლების სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობა. სხდომაზე აღინიშნა, რომ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მთელი სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობა მიმართულია სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ ეკონომიკურ და სამართლებრივ მეცნიერებათა წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი მუშაობა ჩაატარა, დასახა და განახორციელა რიგი ღონისძიებებისა იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღნიშნული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიონული კომიტეტის ბუროს შესაბამის დადგენილებებში. მთავარი ყურადღება დაეთმო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სრულყოფას. ამ მიზნით გატარდა ღონისძიებანი, რათა ინსტიტუტის ძირითადი ეკონომიკური სამეცნიერო პოტენციული გამოყენებულ იქნეს განვითარებული სოციალიზმის პირობებში საქართველოს ეკონომიკის იმ თანამედროვე კომპლექსურ რეგიონულ პრობლემათა გადასაჭრელად, რომელთაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ეკონომიკის დარგში შემუშავებულ ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, ინსტიტუტში კვლევა წარმოებდა ეკონომიკური მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების მიხედვით, როგორცაა: სოციალისტური მეურნეობრივი მექანიზმის ფუნქციონირებისა და სრულყოფის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები (რეგიონულ ჭრილში) სოციალიზმის ეკონომიკური კანონების უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს სსრ მრეწველობაში, აღწარმოება და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობა, აგროსამრეწველო კომპლექსებისა და გაერთიანებების ფორმირებისა და განვითარების საკითხები საქართველოში, ეფექტიანობისა და ხარისხის პრობლემები, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის საკითხები, ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების და გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები, სოციალისტური წარმოების განვითარების გამოცდილების განზოგადოება, მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკა, სოციალისტური შეჯიბრების ეკონომიკური და სოციალური არსი და მნიშვნელობა და სხვ.

აღნიშნული პრობლემატიკიდან ჩანს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმაში გათვალისწინებულია თანამედროვე ეკონომიკური

მეცნიერების მეტად მნიშვნელოვანი საკითხების დამუშავება, მიზანშეწონილადაა შერწყმული თეორიისა და პრაქტიკის საკითხთა მეცნიერული კვლევა. თეორიული ხასიათის პრობლემებთან ერთად გეგმაში შეტანილია ისეთი თემებიც, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის.

სამართლის დარგში ინსტიტუტის საქმიანობა წარმართებოდა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და სრულყოფის, მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის, სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების, „კანონთა წიგნის“ შედგენის და სხვა სამართლებრივი პრობლემების შესაბამისად. სექტორის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა სახელმწიფოს, მმართველობის და სამართლის განვითარება სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, რომელიც მოიცავს პრობლემებს: სოციალისტური სახელმწიფოსა და საბჭოთა დემოკრატიის თეორიის განვითარება, მართვის სამართლებრივი პრობლემები განვითარებული სოციალიზმის პირობებში, სოციალისტური მართლმსაჯულების თეორიული პრობლემები და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია, მშვიდობის შემდგომი განმტკიცება და საერთაშორისო თანამშრომლობის პრობლემები, სამოქალაქო და შრომითი სამართლის პრობლემები განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, სახალხო მეურნეობის სამართლებრივი პრობლემები, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.

სტომაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ 1977 წლიდან ინსტიტუტში შეძობებულია წესი: თითოეული მეცნიერი თანამშრომელი შესრულებულ ნაშრომთან ერთად ინსტიტუტის დირექციას წარუდგენს ცნობას იმ სიახლის შესახებ, რასაც მან მიაღწია საკვლევე საკითხის დამუშავების შედეგად. ამან მკვეთრად გაზარდა თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა, შესაძლებელი გახდა რიგი კონკრეტული წინადადების შემუშავება კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების მიზნით. ამ პერიოდში დაინერგა მეორე სიახლეც — საინსტიტუტო კონკურსი. ინსტიტუტის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველწლიურად აცხადებენ კონკურსს ინსტიტუტის გვეგის შესაბამისად შესრულებულ საუკეთესო მეცნიერულ ნაშრომზე, რომელიც სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის რეკომენდაციებსა და წინადადებებს შეიცავს და რომელთა წარდგენას ზემდგომ ორგანოებში პრაქტიკაში დასანერგად საკონკურსო კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს. ამ ღონისძიებამაც საგრძნობლად აამალა თანამშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობა. აღსანიშნავია, რომ კონკურსის შედეგები მხედველობაში მიიღება სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული განყოფილებისათუ თანამშრომლის გამოვლენის დროს.

მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვის ერთ-ერთი ფორმა მათი პუბლიკაციაა. 1976 — 1979 წლებში ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნდა 50-მდე დასახელების წიგნი, საერთო მოცულობით 350 საავტორო თაბახამდე. გამოქვეყნებული ნაშრომების უმრავლესობა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმით არის შესრულებული.

ინსტიტუტის თანამშრომელთა სტატიები იბეჭდება რესპუბლიკურ, საკავშირო და უცხოურ ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში. რესპუბლიკის ცენტრალურ და რაიონულ გაზეთებში იბეჭდება წე-

რილები ეკონომიკურ და სამართლებრივ მეცნიერებათა აქტუალურ საკითხებზე. მათი რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 150-ს აღწევს.

სათანადო ყურადღება ექცევა პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებასა და მოხსენებითი ბარათის სახით ზემდგომ პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, თუ სამეურნეო ორგანოებში წარდგენას. მათი რაოდენობა ამ ბოლო სამი წლის მანძილზე 30-ს აღემატება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით ინსტიტუტთან შექმნილი იყო სამი სპეციალიზებული საბჭო: ერთი მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი (პოლიტიკური ეკონომიისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის სპეციალობებით) და ორი — მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი (ერთი — პოლიტიკური ეკონომიის, სახალხო მეურნეობის ისტორიისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის სპეციალობებით, მეორე — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობების ეკონომიკის სპეციალობებით). აღნიშნული საბჭოები შეიქმნა 1976 წლის ივლისში. მათი უფლებამოსილების ვადა 1979 წლის ივლისში დამთავრდა. ამ დროის განმავლობაში დაცული იყო 5 სადოქტორო და 33 საკანდიდატო დისერტაცია, უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ დამტკიცებული 30 დისერტაცია.

1979 წლის 24 თებერვლიდან ეკონომიკისა და საპართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთან შეიქმნა საპართლისმცოდნეობის სექცია.

სპეციალისტთა მომზადება ინსტიტუტში წარმოებს ასპირანტურის, მიზნობრივი ასპირანტურის, სტაჟირებისა და მაძიებლობის ხაზით. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში და სხვა საკავშირო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სტაჟირება გაიარა ინსტიტუტის 10 ახალგაზრდა მეცნიერმა თანამშრომელმა. ამჟამად სტაჟირებაზე იმყოფება 5 თანამშრომელი. მიზნობრივ ასპირანტურაში სწავლობს 5 ახალგაზრდა სპეციალისტი. ინსტიტუტის 12 თანამშრომელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ამჟამად ინსტიტუტში 47 ასპირანტია, მათ შორის 12 დასწრებულზე და 35 დაუსწრებულზე სწავლობს.

ინსტიტუტში ირიცხება 206 თანამშრომელი, მათ შორის სამეცნიერო პერსონალი — 168. ინსტიტუტში 3 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია, 12 — მეცნიერებათა დოქტორი, 50 — მეცნიერებათა კანდიდატი; 46 — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 99 — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, 16 — უფროსი ლაბორანტი და ლაბორანტი. ინსტიტუტში ეკონომიკური პროფილის 9 განყოფილებაა, ამათგან 4 შექმნილია ამ უკანასკნელ წლებში. საპართლის სექტორი აერთიანებს 6 განყოფილებას. ეკონომიკურ-მათემატიკურ გამოკვლევათა და მათემატიკური სტატისტიკის სექტორში 4 განყოფილებაა.

1976 — 1979 წწ. მოხდა ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივის მნიშვნელოვანი გაახალგაზრდავება.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ინსტიტუტში არსებითად შეიცვალა დამოკიდებულება სოციალისტური შევიზრებისადმი, მკვეთრად გაძლიერდა კონტროლი ნაყისრ ვალდებულებათა შესრულებაზე. როგორც ინსტიტუტის ქვედანაყოფებს, ასევე ცალკეულ თანამშრომლებს შორის გაშლილმა სოციალისტურმა შევიზრებამ ხელი შეუწყო კოლექტივის შემოქმედებითი აქტი-

ურობის შემდგომ ზრდას, სამეცნიერო გამოკვლევათა ხარისხის ამაღლებასთან ერთად მკვეთრად გაიზარდა ამ გამოკვლევათა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, უფრო მეტად განმტკიცდა კავშირი პრაქტიკასთან, გაფართოვდა და მოავალდებურვანი გახდა ინსტიტუტის თანამშრომელთა საზოგადოებრივი საქმიანობა. სწორად ორგანიზებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, მისი სტიმულირების მორალური და მატერიალური ფაქტორების უფრო რაციონალურად გამოყენებამ ხელი შეუწყო ინსტიტუტის კოლექტივს წლების მანძილზე წარმატებით შეესრულებინა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო 1978 და 1979 წლებში მოეპოვებინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია.

ინსტიტუტში სათანადო ყურადღება ეთმობა სამეცნიერო სესიების, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, სამეცნიერო სემინარების ჩატარებას. ასე მაგალითად, ყოველწლიურად ეწყობა ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციები, რომლის მუშაობაში რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობენ სსრ კავშირის რიგი სამეცნიერო ცენტრის, სხვადასხვა დაწესებულების წარგზავნილები. ჩატარდა საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს, აგრეთვე სესია თემაზე — „მომსახურების სფეროს შემდგომი სრულყოფის საკითხები სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის დადგენილებათა შუქზე“, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია — „სოციალისტური შეჯიბრების როლი შრომითი დისციპლინის განმტკიცებისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფაში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე“, საკავშირო თათბირი თემაზე — „სოციალიზმის არამარქსისტული მოდელების უსაფუძვლობა“.

ინსტიტუტი სათანადო ყურადღებას უთმობს თემატური სამეცნიერო კონფერენციებისა და სემინარების ჩატარებას, კერძოდ, ისეთ პრაქტიკულ საკითხებზე, როგორცაა საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება. ასეთი ღონისძიებები ინსტიტუტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან ერთად ჩაატარა ბაკურიანსა და ბიჭვინთაში, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად — სოხუმსა და ცხინვალში.

სამართლის სექტორს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქ. მოსკოვის კვლევით ინსტიტუტებთან, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან. 1977 წელს აკად. წევრ-კორ. თ. წერეთელი ხელმძღვანელობდა პოლონეთში გამართულ კოლოქვიუმს. 1978 — 1979 წწ. საქართველოში სამართლის ხაზით ჩატარდა ორი კოლოქვიუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ: მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, კიევის, ომსკის, ვლადივოსტოკის და ვერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო ცენტრების მეცნიერი იურისტები.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაღრმავდა მეცნიერული კავშირები დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის, სამხრეთ-ოსეთისა და ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.

ინსტიტუტის თანამშრომლები ეწევიან მრავალმხრივ და ნაყოფიერ პრობლემატიკულ მუშაობას. საზოგადოება „ეკონის“ ხაზით, ზემდგომი ორგანოების დავალებით რესპუბლიკის რაიონებში, ქალაქებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში ინსტიტუტის თანამშრომლები კითხულობენ ლექცია-მოსხენებებს, რომელთა რაოდენობა წლიურად საშუალოდ 300 შეადგენს. ინსტიტუტის თანამშრომლები რეგულარულად ასრულებენ ზემდგომი პარტიული, საბჭოთა და სამეცნიერო ორგანოების დავალებებს.

წლების მანძილზე ინსტიტუტს შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროავიაციის მემკვიდრე ქარხანასთან. ქარხანაში ინსტიტუტის თანამშრომლები ატარებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რასაც ინსტიტუტსა და ქარხანას შორის ყოველწლიურად დადებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს. ქარხანაში ინსტიტუტის ძალებით ეწყობა ლექცია-მოსხენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, კონფერენციები ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებზე.

1979 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან ჩამოყალიბდა კომპლექსური პრობლემის საქართველოს სამეცნიერო საბჭო (თავმჯდომარე აკად. ა. გუნია) რეგიონული (საქართველოს სსრ) ეკონომიკა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში. საბჭოს მუშაობა კოორდინირებულია საქავშირო მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ საპრობლემო საბჭოსთან — „სოციალიზმის განვითარებისა და მისი კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიკური კანონზომიერებანი“. აღნიშნულ საბჭოში გაერთიანებულია რესპუბლიკის იმ წამყვან სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა წარმომადგენლები, სადაც ზემოაღნიშნული პრობლემა მუშავდება. ეს გააძლიერებს ცალკეულ მეცნიერთა საქმიანობის კოორდინაციას, გამორიცხავს გაუმართლებელ დუბლირებას, უფრო ქმედითს გახდის კვლევის შედეგების დაწერვას.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა, ინსტიტუტს გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებანიც. მართალია, დიდი მუშაობა ჩატარდა მრავალთემიანობის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, კერძოდ, ინსტიტუტის განყოფილებები უნდა მუშაობდნენ კომპლექსურ პრობლემებზე, რომლებზედაც კონცენტრირებული იქნება განყოფილების მეცნიერ თანამშრომელთა ძალები, ეს მნიშვნელოვნად ამაღლებს კვლევის შედეგების ხარისხს, საგრძობლად შეამცირებს კვლევის ვადებს.

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა კოორდინირებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილებების საქმიანობასთან და ამჟამად ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ზრუნავს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და სოციალისტური ქვეყნების შესაბამის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთავიანობის დამყარებაზე, მაგრამ თვით რესპუბლიკაში ჯერ კიდევ საკმარისად არ ხორციელდება სამეცნიერო მუშაობის კოორდინაცია. პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის კოორდინაციის შემდგომი გაძლიერება. ამ ინსტიტუტების ურთიერთშეთანხმებული მუ-

შოაბა, როგორც აღნიშნა პრეზიდიუმმა, უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი თემების გაუმართლებელი დუბლირების აღმოფხვრას, ძალთა გაერთიანებას. ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები (ტარდება ერთობლივი ღონისძიებები, ერთობლივად მუშავდება სამეცნიერო-კვლევითი თემები), მაგრამ მომავალში ეს ურთიერთკავშირი უფრო მჭიდრო და ქმედითი უნდა გახდეს.

პრეზიდიუმმა დაავალა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს შემოქმედებითი კავშირების გაძლიერება არა მარტო ზემოაღნიშნულ დაწესებულებებთან, არამედ სხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის კათედრებთან. ინსტიტუტმა მიზანსწრაფულად, გეგმაზომიერად უნდა წარმართოს ეკონომიკის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა რესპუბლიკის მასშტაბით; მანვე ორგანიზაცია უნდა გაუკეთოს, სადისერტაციო თემების შერჩევას, რაც გამორიცხავს პარალელიზმსა და მთელ რიგ უხერხულობას, რომელსაც დღეისათვის აქვს ადგილი.


რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები უდიდეს ყურადღებას უთმობენ ეკონომიკის საკითხებს და ამ დარგის მეცნიერთაგან მოითხოვენ წარმოებისადმი მეტ დახმარებას რიგი საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტაში. ამასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ ინსტიტუტმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ისეთი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საკითხების დამუშავებას, როგორცაა ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის და სხვ. ეკონომიკური პრობლემები, ტურიზმის ეკონომიკას, რაც მეტად აქტუალური და პერსპექტიულია ჩვენს რესპუბლიკისათვის და სხვ. ინსტიტუტმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს, აგრეთვე მომსახურების სფეროს ეკონომიკის საკითხების კვლევას.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებას, ასპირანტურის მუშაობას. საჭიროა გაუმჯობესდეს ახალგაზრდა კადრების შერჩევის საქმე, ამაღლდეს მათი მუშაობისადმი სამეცნიერო ხელმძღვანელობის ხარისხი. ინსტიტუტმა უნდა გაითვალისწინოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პოლიტიკური ეკონომიის კათედრების დიდი მოთხოვნები ახალგაზრდა კვალიფიციურ კადრებზე და შესაძლებლობის ფარგლებში გაზარდოს ამ სპეციალობით დასწრებული სწავლების ასპირანტთა მიღება.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ინსტიტუტში ნაკლებად ეწყობა მეცნიერული დისკუსიები ეკონომიკის და სამართლის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, იშვიათად ტარდება გამოცემული წიგნების საჭარო განხილვები; ინსტიტუტი არ გამოდის ასეთი დისკუსიების ან განხილვების ინიციატორად რესპუბლიკის მასშტაბით.

ამასთანავე აღნიშნა, რომ ინსტიტუტს მუშაობაში გარკვეული სიძნელეები ელოდება, ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ინსტიტუტის ეკონომიკურ-მათემატიკურ გამოკვლევათა და მათემატიკური სტატისტიკის სექტორს. აღნიშნული სექტორის თანამშრომლები ნაყოფიერად მუშაობენ და მათ გარკვეული წილწეებიც აქვთ მოპოვებული: კვლევის შედეგები ფართო აღიარებას პოულობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც, სადაც სექტორის თანამშრომლები გამოდიან სამეცნიერო მოსხვენებებით; მათი გამოკვლევები იბეჭდება უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში. ყოველივე ეს მოწმობს, რომ აღნიშნული სექტორის სახით რესპუბლიკაში შექმნილია პერსპექტიული სამეცნიერო-კვლევითი უჯრედი ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტა-

თინათინ წერეთლის ხსოვნა



საბჭოთა იურიდიულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის ხელმძღვანელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ ნეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თინათინ ვასილის ასული წერეთელი. მისი სახით ქართულ საზოგადოებრიობას გამოაქვდა დიდი შემოქმედებითი ძალის მკვლევარი, თავდადებული საზოგადო მოღვაწე და ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი.

თინათინ წერეთელი დაიბადა 1903 წელს ჭიათურის რაიონის სოფ. ცხრუკვეთში ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ წერეთლის ოჯახში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თინათინ წერეთელმა სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე. პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მოწაფეობამ, მასთან მჭიდრო მეცნიერულმა თანამშრომლობამ განსაზღვრა თინათინ წერეთლის მომავალი სამეცნიერო მოღვაწეობა.

საფუძვლიანი სამართლებრივ-ფილოსოფიური განათლება, სამართლის სხვადასხვა დარგის ღრმა ცოდნა თინათინ წერეთელმა ფართოდ გამოიყენა მეცნიერულსა და პედაგოგიურ საქმიანობაში. ხანმოკლე პრაქტიკული მუშაობის შემდეგ იგი ჯერ კითხულობს სამოქალაქო სამართლის კურსს, ხოლო მერმე სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ლექციებს სისხლის სამართალში, რომელიც საბოლოოდ მისი სამეცნიერო საქმიანობის ასპარეზად იქცა. სწორედ ამ დარგში შექმნა მან ფუნდამენტური გამოკვლევა „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში“, რომელმაც ფართოდ გაუთქვა სახელი ქართულ სამართალმცოდნეობას, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. საყოველთაო აღიარება პოვა მისმა მონოგრაფიებმა დანაშაულის მომზადებასა და მცდელობაზე, თანამონაწილეობაზე, აგრეთვე მრავალმა სხვა ნაშრომმა, რომელთაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ქართული

იურიდიული მეცნიერებისათვის განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს შემაჯამებელი ნაშრომი „მოდერნება დანაშაულზე“. თინათინ წერეთელმა შექმნა იურიდიულ შეხედულებათა მწყობრი სისტემა. ამ შეხედულებებზე აღიზარდა მეცნიერ იურასტთა ახალი თაობა და თინათინ წერეთლის მეთაურობით საფუძველი ჩაეყარა ქართულ სისხლისსამართლებრივ სკოლას. როგორც საბჭოური, ისე უცხოური კანონმდებლობის ზედმიწევნითი ცოდნა, იურიდიული ანალიზის მეთოდების ფლობა, ღრმად ჩაწვდომა სასამართლო პრაქტიკაში და მისი განზოგადების უნარი შესაძლებლობას აძლევდა თინათინ წერეთელს საიმედო ხიდი გაედო თავის თეორიულ შეხედულებებსა და პრაქტიკული ხასიათის დასყენებს შორის. თინათინ წერეთელი დაუცბრომელ ინტერესს იჩენდა თანამედროვეობის მწვავე სამართლებრივი პრობლემებისადმი.

თინათინ წერეთელს დიდი ღვაწლი მიუძღვის სასწავლო და სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობაშიც. 1950—1952 წწ. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი იყო. 1957 წლიდან სიკვდილამდე თინათინ წერეთელი სათავეში ედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორს, რომელიც მისი ხელმძღვანელობითა და მეცადინეობით მძლავრ სამეცნიერო-კვლევით კერად იქცა რესპუბლიკაში. თინათინ წერეთელი ქმედითად მონაწილეობდა საკანონმდებლო აქტების მომზადებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შედგენაში. მისი ხელმძღვანელობითა და თანაუცბრობით განოცა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მეცნიერულ-პრაქტიკული კომენტარი. თინათინ წერეთლის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით განხორციელდა დიდი ეროვნული საქმე — შედგა და გამოიცა „იურიდიული ტერმინოლოგიის“ რუსულ-ქართული ნაწილი.

ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად თინათინ წერეთელი მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. იგი მრავალჯერ აირჩიეს სახალხო დემუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დემუტატად; სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო „ქართული საბჭოთა ენციკლოპედის“ რედაქციის წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა რესპუბლიკური კომისიის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, უმაღლესი სასამართლოს მსაჯულთა სამართლებრივი ცოდნის უნივერსიტეტის რექტორი, ჟურნალების „პრაგმეტიკის“, „მაცნეს“, „საბჭოთა სამართლისა“ და „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი და სხვ.

თავდადებული შრომა და ხალხისადმი უანგარო სამსახური ღირსეულად დაუფასდა თინათინ წერეთელს. იგი დაჯილდოვდა „შრომის წითელი დროშისა“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, აგრეთვე მედლებით და მთავრობის სხვა ჯილდოებით.

თინათინ წერეთლის ნათელი სახე, მისი შთაგონებული და შთამბეჭდავი სიტყვა-პასუხი, გამჭრიახი გონება და ზნეობრივი სიფაქიზე, უსასაღვრო კეთილმოსურნეობა და შეუვალი პრინციპულობა, მარად სახსოვარი იქნება მისი მეგობრების, თანამშრომლებისა და მოწაფეებისათვის, ყველასათვის, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია.